ლიტერატურული გაზეთი

№10(194) 19 მაისი - 1 ივნისი 2017 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო მეშველიანი

SEMANA SANTA

ავტომობილთა ხმაურიან ნაკადებს შორის
მოქცეულ მრგვალ და პატარა სკვერში,
სადაც ძელსკამზე ცხენისწაბლის ყვავილი ყრია,
ვზივარ და ვუსმენ, როგორ გალობს კედარზე შაშვი,
რომელიც თითქოს ლამპიონის შუქს ემალება,
მაგრამ არ უფრთხის ბარებიდან წამოსულ ყაყანს —
იცის, რაც უნდა, ყველამ იცის, რა ევალება,
გარდა პოეტის, ყოველდღე რომ მხოლოდ წყალს ნაყავს.
რას შველის? მხოლოდ სიმარტოვეს — იმ უნარს თუ ფლობ
(ფიქრებში მწუხრზე შემოაღწევს სრუტე კადიზის),
იწყება წმინდა კვირეული, სევდას მგვრის უფრო
ეს შეღამება, ეს ქალაქი, ეს სამზადისი.

//

სოსო მეშველიანი

ციკლიდან „Arboles Altos“

ბერმეო

მესმის ის განცდა, სულერთია, ახლა ვინც
უნდა იყოს იმ გემზე, ამ ღამით რომ პორტთან მიცურდა.
პატარა, ნათელ, ბნელ ყურესთან გატრუნულ ქალაქს
დავყურებ, ქვაზე ჩამომჯდარი, მწყემსის მინურთან.

მარილუსი

აქ, ხშირად მდგარი, ძველებს ახსოვთ, ხოსეს პაპიდა,
ღრმა სიბერემდე რომ ელოდა თავის კაპიტანს,
იდგა პალმებთან, გაჰყურებდა კადიზის სრუტეს,
მაცნედ ნუბერუს* თუ უხმობდა ზღვის სქელ ქაფიდან.

*ნუბერუ — ზღვის გრძნეული არსება ესპანურ მითოლოგიაში.

ცივი სახლი

ბნელი სარკმელი, თითსაც არვინ არ ახებს მინას,
არ ლღვება ჭირხლი, შიგნით ცივა, არავის სძინავს,
სამაგიეროდ, მგლის ყმუილიც არავის აფრთხობს,
ადრე აფრთხობდა, ადრე არა, ცოტა ხნის წინათ.

მიგელი

ილოკავს ტუჩებს და დეუსტოს ლობიოს მიქებს
ბარმენი (ამ დროს ძალიან ჰგავს ხოფურელ მიქეს),
მეტყვის: თუ მოხვდე დეუსტოში, ბარია „ზორბა,“
იქ გაიკითხე, ჩემზე უკეთ იციან იქ ეს.

* * *

წვიმს,
ევიწროებათ ტროტუარი
ქოლგიან ადამიანებს.

* * *

ქარიშხალი,
კლდოვან ნაპურებს შემსკდარი ტალღები,
წვიმაში გარეული მლაშე შხეფები და
ჩიტის წვივებივით გადამტყდარი ქოლგის სამაგრები —
ამ ქალაქის სეზონური აუცილებლობა.

ბავშვობა

მეც ხომ იმთავითვე ცოდვილი ვარ,
რაც უარვყავი ბუნების კანონზომიერება
და ბუზი გავათავისუფლე ობობას ქსელიდან.

მიყვარს ასეთი სოფელი

კაფე-ბარიდან გამოსული,
აყვავებული ანწლის ბუჩქებით,
რომ გაუყვები მოასფალტებულ გზას,
მიყვარს ასეთი ქალაქი,
მწვანე კონცხზე, ძველისძველი სახლი რომ დგას,
იმის დასტურად — აქ ოდესღაც სოფელი იყო.
მიყვარს ასეთი ხალხი,
გაღიმებული რომ მიგასწავლის
იმ სკვერს თუ ქუჩას, რომელსაც ეძებ.
და არ დაგცინებს,
თუ „კანიას“* ნაცვლად „კონიო“** წამოგცდა.
ეს ყველაფერი, ძალიან მიყვარს,
მაგრამ მაინც შინ მეჩქარება
იმ ხოჭოსავით,
გამხმარ ფუნაში რომ ცხოვრობს.

*კანია — ჭიქაში ჩამოსხმული ლუდი.
**კონიო — ქალის სასქესო ორგანო.

ადიდებული ცხენისწყალი

გიორგის

„შეხე, მამა, რამხელა შოკოლადის მდინარე“
შენ დისნეის სამყარო გგონია აქ.
ისე ბედნიერად გრძნობ თავს,
როგორც ჩარლი ვილი ვონკის ფაბრიკაში,
სადაც უმპა-ლუმპები დაცურავენ შოკოლადის
მდინარეში
პატარა, უიალქნო ხომალდებით.
არა, შვილო!
ეს „შოკოლადის მდინარე“ სინამდვილეში (შ)ავი სულია,
წყლის ბნელ მასად ქცეული
და ასე (შ)ავად მოლივლივე.
ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი,
ცოცხლებს კი არა, მკვდრებსაც არ ინდობს,
საფლავებს თხრის და სოფლებს ყლაპავს,
მას არ უხდება არც შელოცვა, არც შეჩვენება,
ის არ იცვლება, ასეთია, მკაცრი, სასტიკი,
იცი, რამდენი ქალი მოთქვამს მის დანახვაზე?..
შენ კი გგონია, ზღაპრებიდან მოედინება,
ან — ვილი ვონკის ფაბრიკიდან,
დაე გეგონოს, ეს არ მაღელვებს, ეს, რატომღაც,
მამშვიდებს კიდეც.

* * *

ეს ძველი სახლი მძიმე კარით, ხის დარაბებით,
პატარა ბოსტნით, ნარჩენია იმ სოფლის, დიდი
ქალაქის ერთ-ერთ გარეუბნად დრომ რომ აქცია.
მსხვილი სავაჭრო ცენტრებით და მორკალულ ხიდით,
ხმაურმა სრულქმნილ სიმშვიდეში შემოაღწია,

და ინვალიდის სავარძელში, აქვე, კაფესთან
ზის ღრმადმოხუცი ბერიკაცი. ხელის კანკალით ლუდს
წრუპავს და შორს
იხედება, შორს, საიდანაც ეს ყველაფერი ამაო ჩანს,
რაც ამაოა.
და მეც ვერთვები მის ფიქრებში, თითქოს იგი
ვერ გაიაზრებდა ჩემზე უკეთ, ან ვერ იტყოდა:
— დიახ, მაშინაც ზღვა ასეთი მშვიდი იყო და
ცაზე ვარსკვლავთა განლაგებაც ზუსტად იგივე.

საერთოდ არ აპირებდა იქ წასვლას. თითქოს თავისით მიიყვანეს ფეხებმა ქუჩის შესახვევთან. როდესაც მიხვდა, სად იყო, გულმა ისეთი ხმაური ატეხა, ეგონა, კენგურუთი მიხუტებული ანა გაიგებდა და ტირილით გაიღვიძებდა. ოფლმა დაასხა. ყურებმა შუილი დაუწყეს. სწრაფი ნაბიჯით გასცდა შესახვევს და პირველსავე ავტობუსში ავიდა, ისე, რომ ნომრისთვის არც შეუხედავს. ვიღაც ადგა და ადგილი დაუთმო. მადლიერი ჩამოჯდა და სული მოითქვა. ანას ისევ ეძინა. თვითონ ერთ წერტილში მიშტერებოდა ფანჯარას. ერთი მთლიანი წრე დაარტყა პატარა ქალაქს, შემდეგ სხვა ავტობუსში გადაჯდა და სახლისკენ წავიდა.

მეორე დილით ანაზე ადრე გაიღვიძა აფორიაქებულმა. ისე ენატრებოდა ძილი, ყოველ წუთს უფრთხილდებოდა. ამიტომ თავადვე გაუკვირდა ასე გარიჟრაჟზე მაღვიძარას და შვილის ტირილის გარეშე გაღვიძება. ყავა მოიდუღა, ფრთხილად გავიდა აივანზე და დილის სუსხიანი ჰაერი ღრმად შეისუნთქა. სიგიჟემდე მოუნდა სიგარეტი. წელიწადი, რვა თვე და რაღაც დღეები ჰქონდა უკვე დანებებული, მაგრამ დილაობით, ყავის პირველსავე ყლუპზე მაინც სთხოვდა ტვინი ნიკოტინს. შეეცადა, ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. გუშინდელი ამბავი გაახსენდა. შესცივდა. ცხელ ჭიქას ხელები მოხვია და ლოყაზე მიიდო.

— ნეტავ, ფოტოები მაინც წამომეღო მაშინ, — გაკრა გულში. ამ დროს ანას ტირილი მოისმა ოთახიდან. ჭიქა მაგიდაზე დადგა და ოთახში შევიდა.

სადილის შემდეგ ბავშვი კენგურუში ჩასვა და გარეთ გავიდა. ამასობაში მზემ გამოანათა და დათბა. გრძელზამთარგადაგორებული ნელი ნაბიჯით მისეირნობდა პარკში, შემდეგ სკამზე ჩამოჯდა და თვალდახუჭული ჯერ კიდევ სუსტ მზეს მიეფიცხა. უცებ მონატრებული, სასიამოვნო სუნი იგრძნო. თვალები გაახილა და გვერდით სკამზე ჩამომჯდარი ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭი დაინახა, რომელიც ჯერ კიდევ მიუჩვეველი მანერით, მაგრამ უზომოდ კმაყოფილი სახით ეწეოდა სიგარეტს. რამდენი წლის ხარ — უნდოდა, ეკითხა მკაცრი სახით, მაგრამ გადაიფიქრა. დედობის მიუხედავადაც არ ჰქონდა უფროსი ადამიანის აღმზრდელობით-დიდაქტიკური ტონი გამჯდარი.

ისევ მიწვდა მონატრებული სუნი. მძიმე ფიქრებს ხელი აუქნია და ბიჭს გახედა. *ალბათ უნდა ვუთხრა, რომ გადაჯდეს. რას აბოლებს ბავშვს ცხვირში? ან რატომ უნდა გადაჯდეს, ღია პარკია. თუ მაწუხებს, მე თვითონ უნდა წავიდე. ნეტავ, ის უნდა წავიდეს, თუ მე? არა, მორალის ამბავში გასაგებია, და კანონის?* უცებ თავის თავზე გაეცინა. *როდის აქეთაა, კანონებზე ზრუნვა რომ დავიწყე?* სიცილზე ბიჭმა გამოიხედა, სიგარეტი უხერხულად მიაწვა სკამს, ადგა და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა.

თვითონაც გზას გაუყვა.

ლიონში უნდა გადავსულიყავი, არ უნდა დავბრუნებულიყავი აქ, — ისევ თავისი აკვიატებული ფიქრი აეტორღიალა. დიდი ხანია, ეჭვი ღრღნიდა, რამდენად სწორად მოიქცა, როცა აქედან გაქცეული, ისევ აქ დაბრუნდა. ვერ ხვდებოდა, უაზრო, ბავშვური პროტესტი იყო, თუ ვინმესთვის ცდილობდა რამის დამტკიცებას. ის ნაცნობები, ვინც მაშინ არიდებდნენ მზერას, არც ახლა იკლავდნენ დიდად მასთან მეგობრობით თავს. ისევ უამრავი ცნობისმოყვარე თვალი დაყვებოდა ზურგს უკან, მორალის სადარაჯოზე ჩასაფრებულები, თითქოს ლუპით აკვირდებოდნენ მის ყოველ მოძრაობას.

ანამ გაიღვიძა და მშიერი ტირილი მორთო. ნატალიმ მოფარებული ადგილის მოსაძებნად გაიხედ-გამოიხედა. მიხვდა, ისევ იმ ქუჩაზე იდგა, ზუსტად იმ სახლის წინ. უმწეოდ ჩამოყარა მხრები. ვერ მიხვდა, რა ძალა ექაჩებოდა აქეთ. როგორც ჩანს, დიდხანს იდგა გაქვავებული და ანაც დიდხანს ტიროდა უყურადღებობას მიუჩვეველი, რადგან გრძელი, ღია სალათისფერი შენობის (რომელიც მის მეხსიერებაში მუქ ნაცრისფრად იყო ჩარჩენილი) კარი გაიღო და სასიამოვნო გარეგნობის შუა ხნის ქალმა ხმამაღლა გამოსძახა:

— ხომ არ დაგეხმაროთ?

ნატალი თითქოს სიზმრიდან გამოერკვა, ისევ ჩაესმა ანას ტირილი, კენგურუს გახსნა დაიწყო და ქალისკენ დაიძრა ჩქარი ნაბიჯით:

— შია... ანას შია. შეიძლება, სადმე ვაჭამო?

— კი, კი, რა თქმა უნდა, მობრძანდით, — გაუღიმა ქალმა, კარიც დაუჭირა და შეშვებისას ბავშვსაც დააკვირდა წინასწარ აღფრთოვანებული სახით, — რა ლამაზი ბავშვია, — სახე გულწრფელად აუვარდისფრდა და ახლა დედას შეხედა უფრო ყურადღებით, თან დერეფნის ბოლოსკენ გაუძღვა.

სანამ ოთახამდე მივიდოდნენ, ხმა არავის გაუღია. ანამაც კი შეწყვიტა ტირილი და ოთახის თვალიერებას შეუდგა. ქალმა კარი გააღო, რომელსაც დიდი, ბეჭდური ასოებით „ბიურო” ეწერა და გოგო შეატარა. ნათელ და მზიან ოთახში ორი მაგიდა, ქსეროქსის აპარატი, სკამები, რამდენიმე ღია კარადა და ბევრი ქოთნის ყვავილი ეწყო. ქალმა ანას სკამი კარისკენ ზურგით, მოფარებულ კუთხეში დაუდგა.

— რამე ხომ არ გჭირდებათ? — ჰკითხა ღიმილით და ისევ ბავშვს დახედა, — მართლა რა ლამაზია...

— მადლობა, — თვითონაც გაიღიმა, — მეტი არაფერი. მალე მოვრჩებით.

— ნუ იჩქარებთ. მაინც არაა მიღების საათები. არავინ მოვა.

ქალი მაგიდასთან დაჯდა და ფურცლებში ჩარგო თავი.

ანამ კმაყოფილი კრუტუნით დაიწყო ჭამა. ნატალიმ ოთახი მოათვალიერა.

იუნონა გურული

ნაგვის ლურჯი ტომრები

მგონი, არაფერი შეუცვლიათ. ყვავილებია მეტი. ეს ნეტავ, როდიდან მუშაობს აქ? კიდევ კარგი...

ფიქრი დასრულებული არ ჰქონდა, რომ ოთახის კარი გაიღო და ფურცლების დასტით ხელში მეორე, ასევე ასაკოვანი ქალი შემოვიდა და თავისუფალი მაგიდისკენ წავიდა. ნატალი გახევდა. ღამის რძეც გაუშრა წამში, ანამ ძუძუს ორჯერ ზედიზედ, მტკივნეულად მოქაჩა და უცებ ბოლო ხმაზე ტირილი მორთო. ქალი მოტრიალდა, რამდენიმე წამი თვალების ხამხამით, ხმის გაუღებლად მიაშტერდა ნატალის. შემდეგ მიუახლოვდა, ოდნავ წინ გადაიხარა და დააკვირდა:

— შეენ?

ნატალი ზანტად წამოდგა. მუხლებზე დადებული კენგურუ ძირს დაუვარდა და პერანგის შეუკვრელად, ანა ფარივით მიიკრა გულზე.

— კი. დიახ... გამარჯობა... — გასაქცევად მომართულიყო — მზად იყო, ამ დაბნეული ქალისთვის ხელის საკვრელად, კარის გამოსაგლეჯად, ცხრა მთის და ცხრა გზის გადასარბენად, იმ ფეხების ძირში დასამტვრევად, აქ რომ მოიყვანეს. ზამბარასავით დაჭიმული ელოდა, როდის დააყრიდა თავზე ქალი საყვედურების ნაკადს. თითქოს ანამაც იგრძნო დედის ფორიაქი და გაჩუმდა.

— შენ ცოცხალი ხარ? — ქალს დამრგვალებული თვალები უცებ ცრემლით აევსო, ფურცლების დასტა იქვე მაგიდის კიდეზე დადო, ისე, რომ ნაწილი ჩამოცვივდა და იატაკზე გაიფანტა, თუმცა არც ერთი განძრეულა ასაკრეფად. მერე ნატალის კიდევ უფრო მიუახლოვდა და თმებზე მოკიდა უხერხულად ხელი, თითქოს ამოწმებდა, ნამდვილი იყო თუ არა:

— ჩვენ მკვდარი გვეგონე.

— ვიცი, — თქვა ნატალიმ, ძალიან უნდოდა მზერის გადატანა, მაგრამ მონუსხულივით ვერ აშორებდა აცრემლებულ ქალს თვალს, — ვიყავი კიდეც მკვდარი...

— არა, ჩვენ მართლა მკვდარი გვეგონე. მაინც გინახავდი ოთახს სამი თვე, ვფიქრობდი, იქნებ ცოცხალია და გამოჩნდეს-მეთქი. ყველაფერი ოთახში ვნახეთ, პასპორტი, საბუთები, ტანსაცმელი... — ქალმა ხმაურიანად გადაყლაპა ნერწყვი, — შენი ოთახი...

— ვიცი, — ნატალიმ იგრძნო, როგორ დაკარგა ფერი, — მე ყველაფერს გადავიხდი. ერთბაშად ვერ, მაგრამ ნაწილ-ნაწილ. ხო შეიძლება, ნაწილ-ნაწილ გადახდა, არა? მე ახლა მარტო ვარ ბავშვთან, ჯერ ვერ ვმუშაობ. მაგრამ კარგად ვარ ახლა. უკვე დიდი ხანია, კარგად ვარ. მალე სწავლას გავაგრძელებ. მე ისევ ისეთი ვარ. მე არ მოვმკვდარვარ. მე ახლა ანა მყავს. მე ანა მყავს. მე...

რაღაც მომენტში მიხვდა, რომ ყვიროდა. მერე იმასაც მიხვდა, რომ ტიროდა. პირველმა ქალმა ბოდიში მოიხადა ბურტყუნით და ოთახიდან გავიდა. მეორე ქალმა სკამი მიუწია ახლოს, ღამის ძალით დასვა, ბავშვი გამოართვა, იატაკზე დაგდებული კენგურუ გაასწორა, მასზე წამოაწვინა ფრთხილად, თავად ნატალის წინ ჩაიმუხლა და უეცრად გაყინული ხელების სრესა და დაორთქვლა დაუწყო.

— ჰო. ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი კარგადაა, — იმეორებდა ქალი გაუჩერებლად.

ნატალის გული ამოუჯდა. ანა გაყურსული იწვა და ისე ყურადღებით უყურებდა უფროსებს, თითქოს ყველაფერი ესმოდა და არ უნდოდა, სიტყვა გამორჩენოდა.

ცოტა ხანში კარი გაიღო და პირველი ქალი შემობრუნდა. ნატალიმ დიდი ძალისხმევით შეიკავა თავი, ცრემლები ამოიმშრალა და ხმადაბლა თქვა:

— მადლობა, უკვე უკეთ ვარ. მაპატიეთ, ნერვების ბრალია. ძალიან ცოტა მძინავს და პატარა რაღაცაზეც ასეთ ამბავს ვტეხ, — თან ნაძალადევად გაიღიმა.

ტყუოდა. პირიქით, წლები იყო უკვე, რაც არ ეტირა. თუ რამე ძალიან შეაწუხებდა, კედელს ალეწავდა მუშტებს და ბალიშში თავჩარგული ღრიალებდა იოგების ჩაწყვეტამდე. ახლა კი, ამ ხუთი წლის უნახავ ნაცნობთან და სრულიად უცხო ქალთან ასეთი სისუსტის უფლება მისცა თავს. უხერხულობისგან აილეწა. ერთი სული ჰქონდა, ოთახიდან გასულიყო და უკანმოუხედავად გასცლოდა იქაურობას.

— ბინის ქირას რაც შეეხება, მართლა გადავიხდი. ანას მალე ბაგა-ბაღში მივიყვან და მუშაობას დავიწყებ. აუცილებლად გადაგიხდით ყველაფერს.

— მაგაზე ნუ ნერვიულობ. ეგ დიდი ხნის გადახდილია. დაზღვევა გვაქვს მსგავსი შემთხვევებისთვის.

— და ხშირად გაქვთ მსგავსი შემთხვევები? — ცოტა ირონიული შეკითხვა გამოუვიდა.

— ხანდახან ხდება, რომ სტუდენტები ბოლო ერთი ან ორი თვისას აღარ იხდიან, ან ოთახს ტოვებენ ცუდ მდგომარეობაში. ხუთი წლის წინ გამქრალი და მკვდრად მიჩნეული სტუდენტი რომ შვილთან ერთად გამოგვცხადებოდა, ასეთი შემთხვევა ჯერ არ გვქონია, — ქალმა გაიღიმა და ანას დახედა, რომელმაც, თითქოს მიხვდა, რომ ახსენეს, ხელების სავსავით გაიწია დედისკენ.

— გასაგებია. კიდევ ერთხელ მაპატიეთ ყველაფერი. წავალ მე მაშინ. ისედაც ამდენი დრო წაგართვით.

ნატალი ადგა, ჩახსნილი პერანგი შენიშნა, უხერხულად შეიშმუშნა, კედლისკენ მიტრიალდა და შეიკრა. შემდეგ ანა აიყვანა ხელში. კენგურუს დამაგრებაში ქალი დაეხმარა. როდესაც გაემზადა, ქალს გაუღიმა. ქალმა საპასუხოდ გაიღიმა და უთხრა:

— დღეს ალბათ ვერ წაიღებ, მაგრამ შენი ნივთები გვიწყვია სარდაფში. როცა მოახერხებ, მანქანით მოდი.

— ჩემი ნივთები? — ნატალის მოეჩვენა, რომ მთელი სხეული დაუდამბლავდა. ისე შექანდა, რომ შეშინებულმა ქალმა ხელი წაავლო და სკამი მიუდგა, რომელზეც ნატალი მოჭრილი ხესავით დაენარცხა.

— ჰო, ყველაფერი, რაც ვნახეთ... ნაგავი გადავყარეთ, რა თქმა უნდა.

— ნაგავი... — ნატალის მწარედ ჩაეცინა, — ნაგვის გარდა იყო იქ რამე?

— წამოდი, თუ გინდა, ახლავე ჩაგიყვან. შეხედე.

ფერდაკარგულმა ნატალიმ უხმოდ დაუქნია თავი და წამოდგა.

კიბით ჩავიდნენ რკინის კარით ჩარაზულ სარდაფში. შუქის ანთებისთანავე უამრავი დამტვერილი ავეჯი და ერთმანეთზე დაწყობილი ყუთები გამოჩნდა. ქალი გრძელი სარდაფის ბოლოში გაუძღვა.

— აი, ეს სულ შენებია, — უთხრა და კუთხეში მიწყობილ ნაგვის დიდ, ლურჯ ოთხ ტომარაზე მიუთითა.

ნატალის ოფლმა დაასხა.

— იცი, რა? თუ გინდა, მე ბავშვს გავიყვან გარეთ და ჩვენი კორპუსის უკან ბაღში გავასეირნებ. შენ დაათვალიერე. შეგიძლია, დღესვე გადაარჩიო... რაც არ გინდა, გადასაყრელად გაამზადე და დამლაგებელი გაიტანს ხვალ.

— დიდი მადლობა, — ნატალის სიღრმიდან ამოსდიოდა ყრუ, ხრიალა ხმა.

ქალმა სკამი მიუჩოჩა, ბავშვი გამოართვა და სარდაფიდან გავიდა. ნატალი რამდენიმე წუთი გაუნძრევლად იჯდა და ნაგვის დიდ, თავმოკრულ ტომრებს მისჩერებოდა. მისი მთელი წარსული იქ იყო მოქცეული. ის, რაც უკანმოუხედავად დატოვა და ის, რასაც სიზმარშიც ვერ იფიქრებდა, რომ როდესმე კიდევ ნახავდა. ბოლოს ღრმად ჩაისუნთქა და პირველი ტომრის გახსნა დაიწყო. ისე მაგრად იყო შეკრული, ღამის თითები დაემტვრა. ბოლოს ნერვებდაწყვეტილმა გვერდიდან გახია პარკი. უცებ საშინელი სუნი ეცა. თავისი ოთახის. წამლის. ოფლის. ჭუჭყის. უიმედობის. ნელი სიკვდილის. გულისრევა მოაწვა. თვალები დახუჭა და თვლა დაიწყო:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი... ახლა გამივლის... ხუთი, ექვსი, შვიდი... უკვე ყველაფერი კარგადაა... რვა, ცხრა, ათი... ანა, ანა...

თვალები გაახილა და ხელის კანკალით დაიწყო ტომრიდან ნივთების გადმოყრა. ტანსაცმელი იყო. ჯინსები, მაიკები, სარაფნები. ის კეტებიც კი შეენახათ, რამდენიმე წელი რომ ეცვა გაუხდელად და გადასაყრელად ვერ იმეტებდა. თითებით ასწია ჰაერში. გაცვეთილი, გაქექილი, ფერგადასული, გადაღრეცილი. ტალახიანი ზონრებით. კეტები ზიზღით დაყარა ტანსაცმლის გროვაზე და შემდეგ ტომარას მიუბრუნდა. გახსნა აღარც უცდია, პირდაპირ გახია და შიგთავსი იატაკზე გადმოაპირქვავა. აქაც ტანსაცმელი იყო, ზამთრის. გაწელილი, უფორმო ჯემპრები, ჟაკეტები, დაძენძილი კაშნები და ქუდები. მესამე ტომარაში პირსახოცები, ბალიშისპირები, საბანი და წიგნების ნაწილი ეწყო. მეოთხე ტომარაში ასევე წიგნები, დისკები, ბაინდერები, ათასი უსარგებლო ხარახურა. არც აკვირდებოდა დიდად არაფერს. ისტერიულად ისროდა ნივთებს ტომრიდან. ყველაფერი ერთ დიდ გროვად აღიმართა იატაკზე. მუხლამდე იდგა წარსულში და იხრჩობოდა — სუნისგან, მოგონებებისგან, სინანულისგან, ბრაზისგან. ღრიალი მორთო, გროვას წიხლები და მუშტები დაუშინა, ზემოდან დახტუნავდა ჭკუიდან გადასულივით, ტანსაცმელს გლეჯდა, წიგნებს კედელს ესროდა, ფურცლებს ხევდა, დისკებს ლეწავდა. უცებ რაღაც შეკრული პარკი მოხვდა ხელში, რომელიც მთელი ძალით კედლისკენ მოიქნია. პარკი კედელს მიასკდა, გაიხსნა და ფოტოები გადმოცვივდა. თითქოს დენმა დაარტყა. რამდენიმე წამით გაშეშდა, შემდეგ გროვიდან გადაძვრა და ძირს დაყრილ ფოტოებთან ჩაიმუხლა. ძირითადად შავთეთრი ფოტოები იყო. ბებიები. ბაბუები. მამა. დედა. ქეთი. თვითონ თითქმის ყველა ფოტოზე გაღიმებული, აცანცარებული, ბედნიერი. აქ მამასთან ერთადაა სოხუმში. დედა ქეთიზეა ფეხმძიმედ. ეს დღე როგორ კარგად ახსოვს. პირველი სექტემბერია. პირველი კლასი.როგორ მწარედ იტირა ქეთიმ, კლასიდან რომ გაიყვანა დედამ. აქ მამა უკვე აღარაა. როგორი ნაღვლიანი სახე აქვს დედას. აქ უკვე დედაც აღაარაა და ბებიას ჰყავს სასოწარკვეთილი სახით ქეთი ჩაბღუჯული, თვითონ კიდევ ბაბუის ზურგს უკნიდან იბღვირება.

ნატალი ატირდა. ტიროდა გადამწვარ ქალაქს, მოკლულ მამას, უსასრულო შიშს ორ თვეში გამოხრული დედის თვალებში, ბებიის დამჭკნარ ხელებს, ბაბუის მხოლოდ მაშინ მოთახთახე მხრებს, როცა ეგონა, არავინ უყურებდა. ტიროდა თბილისს, რომელიც წლების მერეც ვერ გახდა მისი სახლი. ტიროდა დაკარგულ რწმენას, არიდებულ მზერებს, დაჩიჩქნილ ხელებს, რომლებიც წლების წინ უნდა დაეწყო გულზე და ახლა ანას დაათრევდნენ ერთგულად და უსაყვედუროდ. ბოლოს იგრძნო, რომ რაღაც დიდისგან და უზომოდ მძიმისგან დაიცალა და გათავისუფლდა. ფოტოები მოხიკა, პარკში გამოკრა და ქამარში ჩაიტენა უკნიდან.შემდეგ ღია კარადის თაროზე დადებულ ნაგვის პარკებს რამდენიმე მოახია, დანარჩენი ნივთები ისევ უკან ჩატენა, თავი მოუკრა და კედელთან ააყუდა ახალი ტომრები.

სარდაფიდან ამოსული ბაღში გავიდა. ასე ეგონა, პირველად სუნთქავდა სუფთა ჰაერს, რომელიც ისეთი სიმსუბუქით უვსებდა ფილტვებს, თითქოს საჰაერო ბუშტი იყო და გასაფრენად ემზადებოდა. მინწას ვერ გრძნობდა ფეხქვეშ. მზესაც პირველად ხედავდა, მთელი ცხოვრება ბნელ კატაკომბებში გატარების შემდეგ. ხმებიც პირველად ესმოდა — ჩიტების ჭიკჭიკი, მანქანების ხმა, სიცილი, გადაძახილები. თვალები დახუჭა და გაღიმებული დადგა მზის გულზე.

— ანამ დაიძინა, — მოესმა უცებ. თვალი გაახილა და გაღიმებული ქალი დაინახა, — ხო ყველაფერი კარგადაა?

— კი, რაც სარდაფში დავტოვე, შეგიძლიათ გადაყაროთ. მე რაც მინდოდა, უკვე წამოვიღე.

ქალს აშკარად გაუკვირდა, რადგან ნატალის არაფერი ეჭირა ხელში, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. ფრთხილად მოიხსნა კენგურუ და ნატალის დაუმაგრა.

— მაშინ ბედნიერად. და თავს მიხედე. ძალიან გამიხარდა, რომ კარგად ხარ... და ბავშვიც...

ქალი უხერხულად ჩაეხუტა.

— აბა, შენ იცი.

— მადლობა, ყველაფრისთვის დიდი მადლობა, — ნატალიმაც მოხვია ხელები და ასე იდგნენ რამდენიმე წუთს ჩახუტებულები, შუაში მძინარე ბავშვმოქცეულნი.

შემდეგ ქალმა ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო, ხელით წაწერილი ნომრით.

— ეს გქონდეს მაინც, თუ რამეში დაგჭირდეს.

ნატალიმ ქაღალდი გამოართვა, კიდევ ერთხელ შეხედა უზომო მადლიერებით და გზას გაუდგა.

ქალი ცარიელ ოთახში შებრუნდა. მაგიდასთან დაჯდა და ჩარჩო აიღო. ფოტოდან ახალგაზრდა, ქერა გოგო უცინოდა. ქალმა სახეზე გადაუსვა ხელი. რამდენიმე წამს უყურა და ისევ უკან დადგა. შემდეგ მძიმედ წამოდგა, საკიდზე ჩამოკიდებული ლაბადა აიღო, ჩაიცვა და გარეთ გავიდა...

ჯემალ ინჯია

ბაქანი

იკივლა ჩემმა მატარებელმა,
აიდის ველზე მივალ, ძვირფასო.
გზად სიყვარულის მატან ემბლემად
ცვარით დაცრემლილ ცისფერ ცხვირსახოცს.

იქნება მძიმე და მომქანცველი
გზა და ბორბლების საგალობლები.
ემაგ თვალების გამო გავძელი,
თორემ აქამდე დაგაობლებდი.

მატარებელი მიდის. დავეშვი.
შენ რაღაც ჯადო ბაქანზე გაბამს.
მწვანე შუქი ცივ სიუკვდავეში
ამინთო შენმა ფარფატა კაბამ.

გენრი დოლიძე

შენი ლექსი მთის
წყაროსავით გემრიელია,
ეს ყველამ ვიცით,
ვისაც გვტანჯავს ხახამშრალობა.
მოდი, გავგიჟდეთ,
სეტყვა ვთხოვოთ, გენრი, ელიას,
თორაში ვთხოვოთ
ორი ფესკა ხახამ შალომას.

აქ სახარება
წავუკითხოთ ოს ემისარებს, — გავაგებინოთ
რამე, თუკი გაგება უნდათ — რა უქადაგა
ერის მამამ, მოსემ, ისრაელს:
სუყველა ხალხი
სამშობლოში დაბრუნდეს უნდა.

შეწყდება სეტყვა.
შევაწოდოთ ფესკები თორას,
ლექსს მივუბრუნდეთ,
შემოვავლოთ რითმის გვირისტი.
წლის ანგარიში
ჩავაბაროთ ერთმანეთს... ო, რა
ზეიმი მოთოვს
ქრისტეშობის ბოლო კვირისთვის!

* * *
ბევრი ყრუ და ბევრი ბრმა
შეიფარა ვერლიბრმა.

ვაჟკაცი

შეუპოვარი, ნიადაგ ურჩი,
ის ბედისწერის ებრძვის ხარვეზებს,
წინ გასატანი ბევრი ლელო აქვს.
მამებისა და შვილების ჩხუბში
ყოველთვის იდგა დედის მხარეზე,
რამეთუ დედა საქართველოა.

შესანდობარი

მკითხველო, მოდი მწერლის შესანდობარი შევსვათ,
ვისი ალალი ცრემლიც დარდს აქარწყლებდა შენსას,

ვინც ზედ დააკვდა თავის დაუმთავრებელ სტრიქონს
და ისევ ისე ჰყვავის, თითქოს უკვდავი იყოს,

ვისი ხმაც ხმაა, ხალხმა რომ უნდა იღოს ყურად,
არ დასცდენია ამ ხმას „ვაშა“, „ბრავო“ და „ურა“.

ვისი ლექსიდან თაფლი არ მოწვეთავდა ძუნწად,
თუმცა ნარის და წაბლის ჩრდილში მოჩანდა ძურწად.

ვისი ქართული ნაღდად დალოცვას ჰგავდა მეკვლის,
ვისი ნიაზიც გახლდათ მხოლოდ გვირგვინი ეკლის.

ვინც გაოცების გარდა იმჩნევდა ისეთ ღიმილს,
განათებას რომ ჰგავდა ჩაბნელებული მღვიმის.

* * *
წარსულო, განა
მარტო ფანტი
და გიტარა ხარ,
ანდა ცაცხვების
ხეივანი
მდგარი ორ წყებად.
ორღობეც ბედმა
არაერთხელ
აგიტალახა,
მგოსნის ოცნების
რასაც მოჰყვა
განიორწყლება.
მაგრამ დაცემა
აღზევებამ
შეცვალა მალე.
ლურჯი თვალები
მას მშობლიურ
ცას აგონებენ.
გოეთესავით
ისიც უთვლის
ხერხემლის მალებს
ქალს — სარეცელში
არცთუ იოლ
ჩასაგორებელს.

ლხინი ლეჩხუმში

მწვადებისთვის ბიჭებს ცეცხლი დაუნთიათ მოგიზგიზე,
ქონდრისა და ქინძის სურნელს
ირგვლივ აფრქვევს კოჭობი და
ეს რა არის, დაბრაწული,
მადას მძაფრად რომ გვიღვიძებს?
ბურვაკია, სულ ახალი გამოსული გოჭობიდან.

დიდი ხიდან ჩამოკრეფას გვეხვეწება მწიფე ხურმა.
ხე გვიწყრება — ეს ნაყოფი აკი თქვენთვის გამოვისხი.
რაწკარუწკით ჩაიარა ასაბიამ წვრილფეხურმა,
ქვევრს მოვხდით და
ცოლიკაურს ტყვეობიდან გამოვიხსნით.

იცით, ვის გაუმარჯოს?!

იური კაკულიას ხსოვნას

გაუმარჯოს არა მას, ვინც აგაცდენს ქარიშხალს,
ვისაც შენი სახელი აკერია სულ პირზე,
არა იმას, ღმერთმა ვინც შენს მოყვასად დანიშნა
და ალალად გიმზადებს ხოლმე გულუხვ სურპრიზებს.

გაუმარჯოს ისეთ კაცს, გახარებულს რომ გიმზერს,
ავლენს, ასე თუ ისე, სიხარულის ნატამალს.
გაუმარჯოს ცხოვრების ამ პროკრუსტეს ლოგინზე
ჩვენი ბედნიერების ვისაც ძალუძს ატანა.

შეხმიანება მკითხველს

ვაწობდი კალამს (თითსაც) ნაღველში,
ჭირად შემყრია ღამისთევანი
და პოეზიის დიდ საწნახელში
მეც ჩამიგდია ერთი მტევანი.
მოშურნეები, სიფრიფანები,
იმსჭვალებოდნენ უთუოდ რისხვით,
რომ უმნიშვნელო ციფრი ფანების
შემცვლია თავზარდამცემი რიცხვით.
საკმაოდ დიდხანს ვიყავ ცოცხალი
მისთვის, მიწაზე რომ კიდევ მევლო.
შენ, ვინც დაარქვი პოეტს მოძღვარი,
გწამდეს, უღმერთოდ მიყვარდი, მრევლო.

* * *
ანუკ ემეზე და ანა მანიანზე
რატომ ეჭვიანობ? რა დროს ეგენია,
როცა შენ არსებობ! მე შენ მანიაზებ,
სულში და სხეულში მიგზნებ მე გენიას.
იქნებ რაინდულად, ცოტა არქაულად,
მაგრამ რომ მიყვარხარ, არის აპრიორი.
ჩემს ამ თავისტეხას წყალი არ გაუვა,
ბევრჯერ შენზე ფიქრში დავწვი ლამპიონი.
მალე აპრიორი მოვა აპრილი და
თავი ვნებათა ზღვას მივცეთ ღამღამობით.
„ფრთხილად, — დაგვიძახებს ხალხი ნაპირიდან, —
თქვენკენ, შეშლილებო, მეცხრე ტალღა მოდის!“

სიყრმის მეგობრებს

ლახტი, ფეხბურთი, ჭადრაკი, ღვინო...
კარტიც (დავწერე, აღარ ამოვშლი).
ენაცვლებოდა მაჟორი მინორს
ჩვენს აუწყობელ ვარხალალოში.

ყველა ჩვენგანის მთავარ დისპლეის
ეხატა თითო „ოცნების ევა“.
შორს იყო წნევა და ვარდისფერი
სათვალეების უწყალო მსხვრევა.

როგორ გვესმოდა ხმა სამშვინველის,
ზოგჯერ ვეგონეთ გიჟები მავანთ.
მათ არ უწყოდნენ, რა საშინელი
სენით — სიცოცხლით — ვიყავით ავად.

* * *
როგორც ქმნილება რენუარისა,
გამოქცეული თითქოს ლუვრიდან,
ამარა თხელი პენუარისა
ჩემს ძებნაში მთელ ქალაქს უვლიდა.
შევხვდი ბალზაკის ასაკს გადასულს,
ბაგეშეღებილს მწიფე ხენდროთი.
რა მაცოცხლებდა ქალად გადაცმულ
თავისტკივილს რომ არ შევხვედროდი?!

ღვთიური მაჯამა

თვალისჩინმა მიღალატა წელს
და მე იმის გაფიქრება მკლავს,
რომ ვერ მოვხვევ სამიჯნურო მკლავს
შენს სასურველ და მოქნეულ წელს.

შე სულ ჰგავდი ფიროსმანის კრავს,
მე კი შენით ბორგნეულს და ხელს,
ვისაც თავის უმოწყალო ხელს
ბედისწერა სადაცაა ჰკრავს.

ჟამი მიქელ-გაბრიელის ცდის
ჩაენაცვლა სასიცოცხლო დარს.
გეთხოვები ანგელოზის დარს
მე — შედეგი კოსმიური ცდის.

მეოცე სართული

სმას მოვუკელით თანდათან,
სუფრა რომ გვქონდა გაშლილი,
ავკეცეთ, ამით დამთავრდა
კოსმოსთან ჩემი კავშირი.
გაჭრა ღვინომ და მაღლივი
სახლის კიბეზე ვაბოდებ:
შენს ცხოვრებაში დაღლილი
მგზავრივით შემოვაბოტე.

ვიხსენებ იშხნელებს

ოთხი დიაცი, გვარად იშხნელი,
გვიპყრობდა ნიჭის დიდი მარაგით.
ქართული ჰანგით მოქარიშხლენი
მღეროდნენ, როგორ მორბის არაგვი.
დღეს, ვაგლახ, თავო, დიახ, არშიყო,
არ ისმის მსგავსი ჰიმნი აღარსად,
უცხო ჰანგების ნიაღვარში მყოფს
რომ გიწმინდავდა იმ ნიაღვარსაც.
„არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ“, — სიყვარულის ჰიმნს გალობდა გუნდი.
გაგრძნობინებდა მათი სათნო ხმა
მხრებზე დამწყები მიჯნურის მუნდირს.

* * *
ცრემლად დაღვრილხარ. ისეთი განა
რა მოგახარეს შენმა მსტოვრებმა?
ისინი რიგში იმიტომ დგანან,
რომ გაგიმწარონ მთელი ცხოვრება.

ჭორის მორევმა (ჭკუას ისწავლი?!)
ეს მერამდენედ შემოგითრია.
წარმოვიდგინო, მინდა, ის წამი,
როცა ჩემს სიკვდილს შემოგითვლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპლიკა
პოსტმოდერნული კენჭის გამო

მეგობარი შემხვდა, ვსაუბრობდით, სიტყვამ მოიტანა, ლევან ბერძენიშვილს უთქვამს, ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“ მკვდრადშობილი ლექსიაო.

გამიკვირდა, მოვიძიე ინტერნეტში: ლექსი კი არ განუხილავს, ისე გადმოუსვრია სხვა თემაზე მსჯელობისას; ...ჩემი აზრითო, დაუყოლებია: სხვისი აზრით ეგებ შედევრიაო, მაგრამ ჩემი აზრით ასეაო!

რა თქმა უნდა, გამოეხმაურნენ, იქვე, ინტერნეტსივრცეში, თვითონაც იქ უყვარს ყოფნა. არ დაეთანხმნენ, ლანძღეს კიდეც.

და, რა თქმა უნდა, თვით ლექსი არავის გახსენებია, პატრიოტიზმი დაუწუნეს.

ლექსს გამოსარჩლება არც სჭირდება; თექვსმეტმარცვლიანია, ხალხური პოეზიის კილოზეა გაწყობილი, რიტმიც თავის ადგილზეა, რითმაც, ემოციური მუხტი ევფონიურად მომზადებულია და აზრი ზუსტადაა მიმართული.

რა უნდა დააკლოს ვიღაცისაგან ნასროლმა კენჭმა, თუნდაც ის ვიღაც კარგი კრიტიკოსი იყოს?! ლევან ბერძენიშვილს შეუძლია ლექსის ანალიზი; თუ უნდა სცადოს, გაუკრიტიკოს, დაუწუნოს ლექსთაწყობა ცხონებულ ლადო ასათიანს.

მაგრამ ლექსთაწყობასთან არა აქვს საქმე, ესეც პატრიოტიზმს უწუნებს! არა, კი არ უწუნებს, დაუგმობს.

რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ლექსის ფრაზა, „გაუმაძღარნო ომითა“, ლიბერალ-დემოკრატიული თვალსაზრისით, mauvais ton-ია, main stream-ში არ თავსდება, არაკორექტულია.

ამბობენ, ჯერ კიდევ XX საუკუნეში ლადო ასათიანის ლექსები გერმანელმა გამომცემელმა დაიწუნა — ფაშისტურიაო.

ერთმა კარგმა ლიტერატურათმცოდნემ ასე ახსნა მსგავსი პოზიცია: ლადო ასათიანის თაობა დააშორეს მოდერნისტების ნაკადს, პროლეტარული მწერლობა არ იკადრა და რადიკალურ პატრიოტიზმსა და ისტორიას შეაფარა თავიო. საყურადღებო განმარტებაა.

მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ისტორიულობა და პატრიოტიზმი უცხო არ იყო, ვთქვათ, ანგლო-ამერიკელი მოდერნისტებისათვის (იეიტსი, ელიოტი, ფოლკნერი). ქართველი მოდერნისტებისათვის კი არსებითი თემა გახლდათ (გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი).

ახლა ისაა საკითხავი, იცნობდა თუ არა მოდერნისტულ ესთეტიკას ლადო ასათიანი?

ქართველ მოდერნისტებს იცნობდა, უმცროსი თანამედროვე იყო. რუსი მოდერნისტებიც ეცოდინებოდა, ცოცხლები იყვნენ, მათი წიგნები იშოვებოდა. თბილისში ისეთ წრეში ტრიალებდა, აუცილებლად ეცოდინებოდა, სხვა თუ არაფერი, რუსული ფორმალიზმის ესთეტიკა მაინც. თარგმნიდა ბლოკს, სურდა ჰემინგუეის თარგმნა. მის ლექსებში უხვადაა ფორმალისტური ძიებანი...

რა თქმა უნდა, შეშინებული იყო!

სწორედ შიშის დაძლევის ჟინი და მოწოდებაა ამ ლექსში. დამარცხებულ, დათრგუნულ, დაბეჩავებულ ქართველებს მოუწოდებს: ნუ დაძაბუნდებით! აი, ამ, დამარცხებული, მაგრამ, დაუმორჩილებელი, „ომით გაუმაძღარი“ ვაჟების შთამომავლები ვართო!

ლევან ბერძენიშვილს სწორედ ეს სიტყვები არ მოსწონს, ისეთი ირონიით წაიკითხა...

პაატა ჩხეიძე

სახელდახელო ფიქრები

სუბიექტივიზმში ვერ ავყვები და ვერ ვეტყვი, რას იზამ, ზოგს მღვდელი მოსწონს-მეთქი.

„კრწანისის ყაყაჩოები“ ობიექტურად კარგი ლექსია. ცოცხალია და მანამდე იცოცხლებს, სანამ ქართული ლიტერატურა იარსებებს.

„კრწანისის ყაყაჩოებს“ ვერ მოკლავს პოსტმოდერნისტულ სუბიექტივიზმში „სიკვდილი“!

ერთი ქუდის ორი ამბავი

ამბავი მთავარია თხრობისას. თუ ამბავი არა გაქვს, ვერც ფაბულას მოარგებ, ვერც რომელიმე ცნებას, და ვერც სიუჟეტს განავითარებ.

ქუდის ამბავი რომ საინტერესო იყოს, ან ჯადოსნური უნდა იყოს ქუდი, ან ვინმე სახელგანთქმულს უნდა ეხუროს.

ქუდი სტალინისაა, ამიტომაცაა საინტერესო.

ამბავს ორი ცნობილი ადამიანი მოგვითხრობს: ერთი, საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცკ-ს ყოფილი პირველი მდივანი, კანდიდი ჩარკვიანი, და მეორე, ცნობილი კინორეჟისორი, მიხეილ ჭიაურელი.

რომელია ამათგან სანდო მთხრობელი?

მიხეილ ჭიაურელი საბჭოთა კინორეჟისორი იყო და რწმენითა და ერთგულებით ემსახურა უსასტიკესსა და უსაძაგლეს რეჟიმს. ამ დროს, რაც უფრო ნიჭიერია ხელოვანი, მით მეტია მისი დანაშაული, მით უფრო ხანგრძლივია მის მიერ ტვინგარეცხილი ადამიანების მეხსიერება, თაობებზე გადადის!

კანდიდ ჩარკვიანი ლავრენტი ბერიასთან მუშაობდა, თანამონაწილე იყო, ჩაენაცვლა თანამდებობაზე და გააგრძელა მისი საქმეები, როცა ბერია მოსკოვში გადაიყვანა სტალინმა.

მიხეილ ჭიაურელს უამბნია, რომ მისი დიდების ჟამს, როცა „ბერლინის დაცემა“ გადაიღო და კინოხელოვნების ლევ ტოლსტოი უწოდეს, როს ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, სტალინთან სტუმრად წაიყვანეს; კი არ მიიწვიეს, ორმა ჩეკისტმა მიაკითხა და წაიყვანა.

ოთახში სუფრას პოლიტბიუროს წევრები უსხდნენ, ყველანი გამოუკლებლივ. პურ-მარილს შეექცეოდნენ. თავად სტალინი ოთახში ბოლთას სცემდა. წინ და უკან დინჯად, დაფიქრებული მიმოდიოდა, პირველი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებოდათ, თითქოს სტალინი არავითარ ყურადღებას არ აქცევს სტუმრებს, თითქოს ისინი არ არსებობენ.

მიმიყვანეს და მაგიდასთან დამსვეს. არც ჩემთვის მოუპყრია ვინმეს ყურადღება. თითქოს არავინ შემოსულა. პოლიტბიუროს წევრები აგრძელებენ ჭამა-სმას და ერთმანეთთან ხმადაბალ საუბარს. ჩემს წინ ბერია იჯდა. არც ჭამდა, არც სვამდა, არც არავის ელაპარაკებოდა. გაქვავებული სახით წინ რაღაცას მიშტერებოდა.

თავი ცუდად ვიგრძენი. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო. ერთხანს ვიყავი მეც გაჩუმებული. ვიმედოვნებდი, იქნებ ვინმე დამელაპარაკოს, იქნებ, ჩემი არსებობა შეამჩნიოს. არაფერი იცვლება, ძველებურად გრძელდება სტალინის წინ და უკან სიარული, პოლიტბიუროს წევრების ჭამა-სმა და საუბარი. ბერია ისევ გახევებული იყურება წინ.

სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, ჭიქაში ღვინო დავისხი და დავლიე. უცებ ვიგრძენი, რომ უსაშველოდ დავთვერი. ერთმა ჭიქა ღვინომ როგორ დამათრო, საწამლავი ხომ არ არის? გამიელვა თავში. ჩვეულებრივი ღვინო იყო, მაგრამ ისე ვარ უკვე შინაგანად მოშლილი, რომ წყალიც კი დამათრობს. რაღაც თუ არ გავაკეთე, შეიძლება ისტერიკა დამემართოს. ავდექი, ოთახიდან გამოვედი, დერეფნის ბოლოს საპირფარეშოში შევედი. სახეზე ცივი წყალი შევისხი. სული მოვითქვი. რომ დავმშვიდდი, უკან შევბრუნდი. ჩემს ადგილზე დავჯექი (აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, ტ. IV. „ნიღბების სამყაროში“ გვ. 404-406, თბილისი 2005).

კვლავ იგივე განმეორდება და საპირფარეშოში შესულ მიხეილ ჭიაურელს ისტერიული ქვითინი აუვარდება. ორი ჩეკისტი მიეშველება, დაამშვიდებენ და შინ წაიყვანენ. მერე აღარაფერი ახსოვს, მაგრამ, როცა გაიღვიძებს და მშვიდად უნდა ადგეს, საწოლის წინ, დაბალი კარადის თავზე სტალინის ქუდს დაინახავს. სასოწარკვეთილმა არ იცის, რა იფიქროს და ტელეფონიც დარეკავს, სტალინი გელაპარაკებათო, ეტყვიან და... — როგორ ხარ, მიშა, ხომ არაფერი გჭირდება? ეკითხება სტალინი, — არაფრის შეგეშინდეს, მაგრად იყავი; ტელეფონი დადუმდება. რამდენიმე წუთში ჩეკისტები მოცვივდებიან, თავაზიანად მოიკითხავენ და სიცილ-ხორხოცით წაიღებენ სტალინის ქუდს. სიცილ-ხორხოცის მიღმა მოჩანს სტალინის ნიშნისმომგებები ჩაღიმება ულვაშებში და ბერიას მომნუსხველი თვალები (ბერიას თვალები გინახავთო? თურმე დამმუნათებლებს ეკითხებოდა ბესო ჟღენტი და შიშის ზაფრა უვლიდა გახსენებისას).

შემზარავი სურათია, უფრო კაფკასებური ან ორუელისებური. ადრეული გოთიკის ავტორები ამას ვერ შეძლებდნენ, წამების ასეთ დახვეწილ ხერხებს არ იცნობდნენ, ზნეობის ასეთ დაცემას ვერ წარმოისახავდნენ.

ანეკდოტი ამბობს, სტალინს უკითხავს, ჩემი ქუდი რატომ წაიღეო, და მიშა ჭიაურელს უპასუხია, — რა ვიცი, წამყვაო... და, — წაგყვა რა, ძაღლია, შე... კინტოურად მიაგინა სტალინმაო.

ეს უკვე სხვა ჟანრია, სხვა მიზანს ისახავს, არც მძაფრია, არცთუ მახვილგონივრული და ლოგიკური ხომ სულაც არაა, მეგობრულად რატომღა გაელაზღანდარებოდა ჯალათი ჭიასავით გასრესილ კაცს?!

ვნახოთ, როგორ მოგვითხრობს იმავე ქუდის იმავე ამბავს კანდიდ ჩარკვიანი.

დროდადრო სტალინთან სტუმრობამ ჭიაურელს, ეტყობა, დისტანციის გრძნობა მოუდუნა. 1940 წელს, არ მახსოვს რომელ თვეში, სტალინის დაცვის თანამშრომელმა დამირეკა და გადმომცა, რომ მ. ჭიაურელს ერთი ასეთი სტუმრობისას სტალინის ქუდი წაუღია.

— ამხანაგმა სტალინმა ქუდი თავის ადგილას ვერ ნახა. ვეძებეთ, მაგრამ ვერსად აღმოვაჩინეთ. ერთადერთი სტუმარი, რომელსაც შეეძლო ქუდი სუვენირად წაეღო, მ. ჭიაურელი იყო. დაუყოვნებლივ მივაკითხეთ და ქუდი დავიბრუნეთ, მაგრამ ამ ფაქტის შესახებ თქვენ მაინც უნდა იცოდეთო.

მაშინვე მენიშნა: მ. ჭიაურელი „ფიცის“ დასადგმელად ემზადებოდა და სტალინის ქუდი სურათის მთავარი გმირის კოსტიუმისათვის ფასდაუდებელი ნაწილი იქნებოდა.

მ. ჭიაურელი სასწრაფოდ მოვაძებნინე და ცენტრალურ კომიტეტში დავიბარე.

— შევცდი, წამოვიღე, არ მეგონა, თუ ასეთი ამბავი ატყდებოდაო, — გულუბრყვილოდ განაცხადა შეცბუნებულმა მიშამ.

მე განვუმარტე ჩვენ სახელოვან რეჟისორს, რომ სტალინთან სტუმრობის პატივი სრულებითაც არ იძლევა მასთან გაშინაურების უფლებას, ხოლო მის გარდერობში ხელის ფათური — დიდი კადნიერებაა.

— ღვინომ მიქნა, ცოტა მეტი დავლიე, ალბათ, მაპატიებს ამხანაგი სტალინიო.

ჩვენი რეჟისორის იმედი გამართლდა — სტალინი ამ შემთხვევას მხოლოდ სიცილით იგონებდა (კანდიდ ჩარკვიანი, „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“, გვ. 45-46, თბილისი, 2015).

ამ ამბავში რამდენიმე უზუსტობაა:

1. 1940 წელს მიხეილ ჭიაურელი „ფიცის“ დასადგმელად ვერ მოემზადებოდა, რადგან „ფიცი“ 1946 წელს გადაიღო, 1942 წელს გადაიღო „გიორგი სააკაძე“, სადაც სტალინის ქუდი არ დასჭირდებოდა.

2. საკითხავია, სტალინის ქუდის ასლს ვერ დაამზადებდნენ თუ ტიტრებში უნდა დაეწერათ, სტალინის ქუდი ნამდვილიაო, და ისიც საკითხავია, მოერგებოდა კი სტალინის ქუდი მისი როლის შემსრულებელ მსახიობს?

3. ქუდის წაღება სტალინის რეზიდენციიდან იმ დროში შეფასდებოდა არა როგორც სუვენირად წაღება, — არა როგორც ქურდობა, არამედ როგორც უმძიმესი სახელმწიფო დანაშაული.

4. სტალინთან ვერც ვერავინ ვერაფერს შეიტანდა და ვერ გამოიტანდა დაცვის დაუკითხავად და მალულად.

5. რომელ ცენტრალურ კომიტეტში დაიბარა კანდიდ ჩარკვიანმა მიხეილ ჭიაურელი 1940 წელს? ალბათ საქართველოს სსრ-სი, რომლის პირველი მდივანიც თვითონ გახლდათ, თბილისში.

6. გაუგებარია, თუ მიხეილ ჭიაურელი მოსკოვში იყო („ფიცი“ ხომ იქ გადაიღო) და იქ მოიპარა სტალინის ქუდი, საქართველოში რატომ დაასმინეს, თვითონ ვერ დატუქსავდნენ? ან „სასწრაფოდ“ როგორ მოაძებნინა და დაიბარა კანდიდ ჩარკვიანმა მოსკოვში მყოფი მიხეილ ჭიაურელი?

7. ბოლოს, რა გამოდის? „სახელოვანი რეჟისორი“ კლეპტომანი ბავშვივით მოიქცა?

ორი რამაა ამ ამბავში, რაც მიხეილ ჭიაურელის მოგონებას ემთხვევა, ღვინო, ოღონდ არა „ცოტა მეტი,“ არამედ ორი ჭიქა და... სტალინის სიცილი, სიცილი ტირანისა, ჭიასავით გასრესილი კაცის მოგონებისას.

ორივე ამბავში მიხეილ ჭიაურელი გრეგ რიკიოს (გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“) ყოფაშია, დიქტატორის ნებართვით გაბღენძილი ხელოვანისა, რომლის დროდადრო დათრგუნვა და გახედვნა უყვართ დესპოტებს.

მაგრამ ამბავში მთავარი მაინც მთხრობელია, მწერალია მთავარი, ვისაც შეუძლია ექსპრესია მიანიჭოს ნაამბობს, გადმოსცეს თავის განცდები და გაგრძნობინოს სიტყვის ძალით.

მიხეილ ჭიაურელის ნაამბობი მწერალს, აკაკი ბაქრაძეს, აქვს შეტანილი თავის წიგნში, იგია მთხრობელი და სწორედ ამიტომაა ეს ამბავი მცირე პროზა, სანოველე ან სარომანე.

კანდიდ ჩარკვიანის მოგონება კი ჩეკას დაკითხვის ოქმია და სხვა არაფერი:

— 1940 წელს, არ მახსოვს რომელ თვეში, სტალინის დაცვის თანამშრომელმა დამირეკა...

და, ვფიქრობ, არც ისტორიული ღირებულება უნდა ჰქონდეს მის წიგნს, რადგან გაყალბებაა ისტორიისა და იგივე მიზანს ემსახურება, რასაც საბჭოური, კომუნისტური ხელოვნება ემსახურებოდა.

P.S. გელა ჩარკვიანს მოგონებათა წიგნი დაუწერია, „ნაცნობ ქიმერათა ფერხული“ ჰქვია.

წარდგინებას წიგნის გამოფენაზე გადავეყარე, „მზიურში“.

ბევრი ილაპარაკა თავის წიგნზე.

კმაყოფილია, რომ შევარდნაძესთან იმუშავა 11 წელი და ყველა მნიშვნელოვან შეხვედრას ესწრებოდა. ეს მართლაც საინტერესოა ისტორიისათვის, რადგან დღიურები უწარმოებია მთელი ამ ხნის მანძილზე. დღიურები საგულისხმოცაა და მნიშვნელოვანიც, რადგან ჩვენი ქვეყნის ისტორიის ძალზე მნიშვნელოვან ეპოქას ეხება.

მაგრამ მთავარი ის არის, თუ როგორ იხსენებს თავის ბავშვობას, ბავშვობას საქართველოს სსრ ცეკას პირველი მდივნის შვილისა.

იხსენებს, როგორ ამხილა ოჯახის მზარეული ქურდობაში; თურმე დედამისს ჰქონია ეჭვი და კანდიდს შესჩიოდა; ქმარი არ უჯერებდა და პატარა გელამ თავის თავზე აიღო ბრალმდებლის როლი და მზარეულს ეჩხუბა; ამის გამო დედას გაულახავს!

ერთი მხრივ მოსაწონია ეს აღსარება: გვიამბობს, გვიხატავს განწყობილებას, რაც ვარაუდით ვიცოდით.

უცნაური ისაა, რომ ეგებ ის კაცი (მზარეული) მართლაც იპარავდა რაღაცას, მაგრამ დაბეზღება და მხილება ხომ მის დაპატიმრებას, გადასახლებას ან სულაც დახვრეტას ნიშნავდა. ეს, რა თქმა უნდა, არ იცოდა პატარა ბიჭმა, მაგრამ ახლა ხომ იცის მოგონებათა ავტორმა. და გაუგებარია თუ რატომ გვიამბობს ამ ამბავს იუმორით, სიმსუბუქითა და სიამაყით; არავითარი წუხილი და სინანული არ ეტყობა, ისე საუბრობს იმ დროზე, როცა კაენის სული ზეობდა საქართველოში.

აქაც იგივე მიზეზია, მთხრობელს არ გააჩნია მწერლური პასუხისმგებლობა სიმართლის თქმისა და ნიჭი ემოციის გადმოცემისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკის შუადღე

დიმიტრი წიკლაური

დასასრული
დასაწყისი №193

7.

შუადღისას ტაბამ კარვისკენ მტკიცე გადაწყვეტილებით გასწია, თუმცა ამის შესახებ არავისთვის გაუმხელია. გზაში ერთ ბორცვზე შედგა, ფიქრებისთვის თავი რომ მოეყარა. ძირს დაბლობი მოჩანდა. ჭაობიანი მხარე იყო. მდინარის კლდოვანი ნაპირები ჩანდა. წამახული ქიმები მკაცრ იერს ანიჭებდა. გორაკიც გაქვავებულ გოლიათს წააგავდა, მკლავები რომ უღონოდ ჩამოეშვა, თითქოს ცხოვრების ჭიდილს ვეღარ უმკლავდებაო. ციცაბო ფერდობებს შვერილები ნეკნებივით აჩნდა. ხევის ფსკერზე ჩაწოლილი მყიფე ნისლი ზანტად ნებივრობდა. სულაც არ აღელვებდა ურიცხვი განაკაწრი და წვიმისთვის შეშვერილი ღატაკი იერსახე. თხემებზე შეფენილი თხები ჩანდა. შორს ქალაქის კონტურები ისახებოდა, მთებს შორის მოქცეული ზეცას რომ აჰყურებდა და ცაც ჭექა-ქუხილის ხმიანობით ანუგეშებდა.

ტაბა მიხვდა, რომ განშორების ადგილსაც კი იმდენად დაშორებოდა, თვალუწვდენელი სევდა ძაფივით დაწვრილდა. სადღესასწაულო ფორმაც ფრიალო კლდეების მტვერში ამოგანგლულს დაემსგავსა. ამ ლანდშაფტებში მუდმივმა ხეტებამ და გადაძახილებმა ხმაც ხრინწიანი გაუხადა.

შემოდგომა ძალას იკრებდა. ტაბას უხეში ქურთუკი მაზარასავით მოერგო და ნაკლებად სციოდა, მაგრამ სასტიკ გულგატეხილობას შეეპყრო. ცხოვრების უღიმღამობა მას თავისიანად მიიჩნევდა. თუმცა ძნელი იყო მკრთალ მოხაზულობაში რაიმეს გარჩევა, მაგრამ შორს, წყალწვრილში, ვიღაცებს მაინც მოჰკრა თვალი. მათ თოფებიც თან ჰქონდათ და ანკესებიც. ვერ გაიგებდი, იმ ჭაობებში თევზაობდნენ თუ იხვებს დასდევდნენ. უფრო შორს, ქალაქისკენ, კარგ ამინდში ერთი ბეწო ფრაგმენტად რომ აღიქმებოდა, ნისლივით მკრთალ სივრცეში შუქურას ბლანტი ციმციმი გაჰქონდა. არ ღირდა ამ კლდეებში ბღოტიალი მართვეების ფოფინში გართული არწივები რომ არ დამფრთხალიყვნენ. ბორცვის იმ მხარეს, შავალმიანი კარავი რომ შენიშნა, ძველი საფლავები მოჩანდა, სადაც ტაბას რამდენიმე ნათესავიც განისვენებდა. სასაფლაოს იქით მთები აღმართულიყო. იმ მთებიდან ვყოფილვართ, გაიფიქრა ტაბამ, შორიდან ვართ მოსულები, ეჰ, საწვალებლად ვიშვით. ტაბა დიდხანს იდგა უძრავად, თითქოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას აპირებსო. მერე ხეივანთა დიდგვაროვნულ შრიალს მიუგდო ყური. გეგონებოდა, ჩრდილები უხმობენო. ფული რომ იშოვო, ორმოში უნდა ჩაძვრე, გაიგონა სასტიკი ჩურჩული სასაფლაოს მხრიდან, გაკაშკაშებულ ფონს რომ უფრთხის, რადგან ეს ფონი მხოლოდ ზეიმს უხდება.

ტაბა კარავს მიუახლოვდა და შიგ მყოფებს შეეხმიანა. დიდხანს ლოდინი არ დაჭირვებია. ზღურბლზე უცნობი კაცი გამოჩნდა, კარვის და კარიერის მეპატრონეს წააგავდა.

— ვინ ხარ და რა საქმეზე? — დაიბუბუნა მკაცრად.

— სამუშაოს ვეძებ!

— მერე აქ რამ მოგიყვანა?

— გავიგე, ხალხი ჭირდებათო. ჩემი მეგობარი მუშაობს მსგავს დაწესებულებაში, ოღონდ ქალაქის გარეუბანში რომ კარიერია!

— კარგი მაშინ, ვნახოთ, რას წარმოადგენ! — თქვა და კარავში შეიპატიჟა.

მეპატრონე უცნაური ვინმე ჩანდა, მოუხეშავი აღკაზმულობით შემოსილი. ნეტავ სად შეიკერა ასეთი შესამოსელი. ან რატომ ინდომა, მისთვის მასპინძლობა გაეწია. აბაჟურიან მაგიდასთან დასხდნენ და რაღაც ხელშეკრულება დადეს. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. საქმის გაბუქება არ ჩვეოდა. ის ქაღალდები უკან რომ გამოეთხოვა, ტაბა ხელმოსაჭიდს ბევრს ვერაფერს იპოვიდა. ტაბას მდგომარეობის მთელი მიუსაფრობა კი ის იყო, რომ მაშინვე იგრძნო, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს თმობდა. ალბათ თავისუფლებას. ტაბა სულიერებაში ძალიან დიდხანს შედიოდა, გამოსვლა კი წამიერად აღსრულდა — განსხვავებით ცოდვისგან, სადაც მეყსეულად შეაღწია, მაგრამ იქიდან გამოსვლას ძალიან დიდხანს მოუნდებოდა, თუ საერთოდ შეძლებდა ოდესმე.

მეპატრონემ მაგიდაზე მიმოპნეული მთელი ავლადიდება, ფული, ოქრო და სხვა ნივთები, თითქოს გამოუსადეგარი ხარახურა ყოფილიყოს, ყუთში ჩააპნია. რამდენიმე წვრილმანი ნივთი იატაკზე მიმოიყარა. იგი უგერგილოდ დაწვდა და იმასაც ყუთში მიუჩინა ადგილი. ტაბას ეგონა, რომ მნიშვნელობის მიხედვით დაახარისხებდა, მაგრამ ისინი ხელის ერთი მოსმით აღმოჩნდნენ ყუთში. ეს ქმედება დგუშის მონოტონურ მოძრაობას ჰგავდა. შესაძლოა, ამით თავის მდიდრულ მდგომარეობას გაუსვა ხაზი, მაგრამ რაში დაჭირდებოდა ტაბას წინაშე თავის გამოჩენა? ყოველ შემთხვევაში, ტაბამ ასე გაიცნო კარვის მფლობელი, არამზადა სულის პატრონი, იმ დღიდან შემთხვევას რომ არ გაუშვებდა ხელიდან, ოღონდაც ტაბა დაემცირებინა. თუმცა ჯერ თავისიანები გააცნო და მერე კარიერისკენ წაუძღვა. კარიერში მხოლოდ ჭის მსგავსი ორმოები უნდა ამოთხრილიყო. პირველივე დღეს ტაბას სიცხე მისცა. მთელ ტანში ამტვრევდა, თითქოს ერთიანად მოშლილიყოს. ამდენმა დაცინვამ ეტყობა მასზე ცუდად იმოქმედა. თუმცა მუშაობა არ შეუწყვეტია. მითითებული ადგილი ჯერ უბრალო თხრილს დაამსგავსა, მერე ნელნელა სიღრმე შესძინა და თვის ბოლომდე კარგა ღრმა ორმო ამოთხარა. გასამრჯელოს ყოველი დღის ბოლოს იღებდა. ოჯახის ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა. ორ-სამ დღეში ერთხელ შინ მიდიოდა, ოღონდ ცოლს არ ეუბნებოდა, ფულს სად შოულობდა.

— შარში არ გაება, ტაბა! — წუხდა მარია.

— ნუ შიშობ! — ამშვიდებდა ქმარი. შემდეგ უკან ბრუნდებოდა და თხრას განაგრძობდა. დაზვინული მიწა კოჭაზე მიბმული თოკით ამოჰქონდათ დროდადრო. თითოეულ ტომარაში უამრავი ბელტი ეყარა, რომელიც შავი მარცვლებივით ბზინავდა. ერთი შეხედვით საქმეები კარგად მისდიოდა, ბედის კმაყოფილი იყო, მაგრამ რატომღაც საშინელი წინათგრძნობა გულს უკუმშავდა. მისი მზერა სევდას მოეცვა, თითქოს უკურნებელი სენი შეჰყროდა. სახე მჭმუნვარებით დაეღარა. მკვრივი ნივთიერება კომბინიზონშიც აღწევდა, სამუშაოს ბოლოს გვარიანად იყო დასაფერთხი, შხაპს კი ღია ცის ქვეშ იღებდა.

მეპატრონემ ხანდახან შუაღამისასაც იცოდა გამოჩენა. ეშმაკს წააგავდა, ისეთი ბასრი მზერა ჰქონდა. დღის მანძილზეც რამდენჯერმე შემოივლიდა ხოლმე თოკის შესამონმებლად. ჭაში კი მხოლოდ ერთხელ ჩაიხედავდა, ნაშუადღევს, შესრულებული სამუშაო რომ შეემოწმებინა. სიღრმით არც კმაყოფილი იყო და არც უკმაყოფილო. ყოველ შემთხვევაში, ვერაფერს შეატყობდი. ეტყობა თვლიდა, რახან ტაბა მოჩანდა, ჯერ კიდევ ბევრი იყო სათხრელი. ისიც უშველებელ ტომრებს მიწით გაძეძგავდა ხოლმე, რომელსაც პერიოდულად ზემოთ ეზიდებოდნენ. როგორც ფარნასთან, აქაც ისეთივე მოწყობილობით ქაჩავდნენ, ამხელა სიმძიმისთვის ნაკლები ძალისხმევა რომ დაჭირვებოდათ. მიწას იქვე ფერდობზე დაჰყრიდნენ ხოლმე. ხოლო მეპატრონე იმის მიხედვით, თუ როგორ იზრდებოდა ბორცვი, მსჯელობდა ხოლმე, რა სიღრმეზე იყო ორმო ამოთხრილი. ბევრი რომ დაგროვდებოდა, მხოლოდ მერე ზრუნავდნენ გატანაზე. ნჯღრევა-ნჯღრევით მიუყვებოდა ჭრიალა ურმები ოღროჩოღრო გზას. მიწა, რომელიც მიჰქონდათ, ძირს მცირეოდენ პეშვებად იპნეოდა, მაგრამ მაინც უღირდათ ძირითადი მასის გადაზიდვა. ეს მათ მიზანთან აახლოვებდა, რომელიც, კაცმა არ იცის, რა იყო. თუმცა მეპატრონე განუწყვეტლივ უკმაყოფილოებას გამოხატავდა. თვალებიდან რისხვას აფრქვევდა.თან რა საშინელი გამოხედვა ჰქონდა. თვალები კი არა, ნაპრალები იყო, დანთქმას რომ უპირებდა. ალბათ ასეთი ჯიქური და გამჭოლი მზერა ღრმა უფსკრულებში ხშირმა ჩახედვამ ჩამოუყალიბა. ტაბას აგდებული მოპყრობა გაუსაძლისად ეჩვენებოდა, მაგრამ მაინც ცდილობდა, მასთან კონფლიქტი არ მოსვლოდა. უცნაური განწყობა სუფევდა ირგვლივ. არავის ძალუძდა იმ მიჯნის გადალახვა, რომელიც მეპატრონემ დააწესა. მიჯნის იქით რა ხდებოდა, ჯეროვნად არავინ იცოდა. კარავში უცნაური საზოგადოება ტრიალებდა. ერთხელ ულამაზესი ქალები შენიშნა. მერე შექეიფიანებული ხმები და კისკისი დიდხანს გაისმოდა. ტაბა უმოწყალო ზრახვამ აღანთო. მათთან გარევის ჟინი კლავდა. ფსკერზე იყო და ნუგეში ჭირდებოდა. ხან რა მიზეზს იგონებდა სტუმრობისთვის და ხან — რას. მაგრამ ეს უფრო სასაცილო მდგომარეობაში აგდებდა. სამი ულამაზესი ქალი და მრისხანე მეპატრონე აგდებით ხვდებოდნენ. ტაბა თავაზიანად მიმართავდა, ოღონდაც მათ მარაქაში მიეღოთ. ამ მიზნით ერთხელ საწყობიდან სამუშაო იარაღები გადმოზიდა, თუმცა ეს არ ევალებოდა. აბაჟურიან მაგიდაზე სათამაშო ქაღალდები ეყარა. წამით ხორხოცი შეწყდა და ყველამ მას გამოხედა.

— შენდობას ვითხოვ, ასე მოულოდნელად რომ დაგატყდით თავს!

— თავს დაგვატყდი? — მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინეს ქალებმა, — რა ვიცი, ჩვენ კი არაფერი გვიგვრძნია!

ამ სიტყვებზე ისეთი სიცილი ატეხეს, ტაბას მდგომარეობა კიდევ უფრო გაუსაძლისი გახდა.

— რა გნებავს? — მიუბრუნდა მეპატრონე განმგმირავი მზერით.

— წერაქვები მოვიტანე!

— ურმით? — განაგრძო მრავალმნიშვნელოვნად, თითქოს მორიგ ხაფანგს უმზადებსო.

— არა, მე თვითონ!

— რატომ წვალობდი, ურმით მოგეტანა!

ისევ სიცილ-ხორხოცი ატეხეს. დასცინოდნენ მას, დასცინოდნენ მის მიერ აღსრულებულ მონურ გმირობებს. ტაბას უცებ მოუნდა, მეპატრონეს ყელში წვდომოდა და პასუხი ეგებინებინა ყოველი აგდებული სიტყვისთვის. მხოლოდ ის ანუგეშებდა, რომ ერთი მათგანი არ დასცინოდა, კუთხეში პიანინოზე დაყრდნობილი ქალი, ეშხიანი, შავი თვალებით, დროდადრო ტაბას რომ გახედავდა ხოლმე და მომნუსხველი მზერით უთანაგრძნობდა. ხელში ყავის ფინჯანი ეჭირა, მაგრამ მთელი დიალოგის განმავლობაში არც შეუსვამს და არც მზერა მოუშორებია ტაბასთვის. წამით ეს მზერა ავმა მეპატრონემ დაიჭირა და დამცინავად აღნიშნა:

— რა ხდება, ნატალი? თქვენ შორის რაიმე გრძნობა ხომ არ წარმოიშვა?

ქალბატონებმა სიცილი ატეხეს. მხოლოდ მაშინ მოაშორა ნატალიმ მეძავობით დაღლილი მზერა, რომელსაც პატიოსნების ფასი შეეგრძნო.

მაგრამ ტაბამ ავ მეპატრონეს მოულოდნელად ჯიქურ მიუგო:

— თამაში მინდა!

— ფული გაქვს?

— ხვალინდელზე ვითამაშოთ!

— დღევანდელზე?

— აღარ მაქვს!

— თამაში იცი? — დაყაბულდა მეპატრონე.

— ვიცი!

— მეფეს რა ჭრის?

— გადმოცემის უნარი არ მაქვს! — თავი იმართლა ტაბამ, რასაც ისევ სიცილით შეხვდნენ, ბანქოს სათამაშოდ მიიწვიეს და ქაღალდები ჩამოურიგეს. იმდენი წააგო, ორი დღე უსასყიდლოდ მოუწევდა მუშაობა. მაგრამ მეორე დღეს ისევ მიაკითხა. წაგებამ თამაში ასწავლა და რაღაცებს მიხვდა. ცუდ დღეში იყო. ბოლო ხანებში ლოცვებიც არ გამოსდიოდა ზეპირად. ყველაფერს ერთმანეთში ურევდა. სულგრძელობის ნაცვლად გულგრილობას ამბობდა. ერთი სული ჰქონდა, საღამო დამდგარიყო, რომ ლამაზმან ნატალ-

ისთვის მზერა შეევლო. თან ქაღალდიც ეთამაშა. ოსტატივით ჭრიდა, მაგრამ ვერაფერს აწყობდა. დიდი ამბით ჩამოარიგებდა ხოლმე. ამ საქმეში მაგრად დახელოვნდა. ტვინში ერთი ჩაებეჭდა, როგორმე ნატალისთვის თავი მოეწონებინა. დასტა ისე გაატკაცუნა, იმ სტამბის სურნელი დაიფრქვა, სადაც ეს კარტი დაებეჭდათ. ქალები შემინულ ღიობში ისხდნენ და დროდადრო მათკენ იყურებოდნენ. მეპატრონეს გულის ჯიბეზე მარგალიტის ქინძისთავი ეკეთა და განუწყვეტლივ ითხოვდა ჩამორიგებას. თან ტაბას გამჭოლ მზერას არ აცილებდა.

ცოტა ხანში ტაბამ ყველა ხელი წააგო, კამათლებიც ცადა, მაგრამ ეტყობა მხოლოდ სიდუხჭირეს მოსწონდა იმ დღეს, და კიდევ ნატალის, რომელიც მუდარით აგრძნობინებდა, თამაში შეეწყვიტა. თითქმის დილამდე ითამაშეს და ტაბა წამოდგა დამცირებული და განადგურებული.

— მე წავალ! — თქვა მან.

— აჰა! — ძლივს ამოღერღა მეპატრონემ, დაელმებული თვალები, დიდი ხანია, ებლიტებოდა, — წადი, მიაშურე შენ მშობლიურ ორმოს, ბატონო!

მეპატრონეს ძილმა წაართვა თავი. ტაბა წამით ზღურბლზე შედგა და უკბილო მოხუცის ხახასავით ჩაშავებულ ღამეში შეაბიჯა. მთვარე უკვე ჩასულიყო, მზე კი ჯერაც არ ჩანდა. ვაითუ, აღარც ამოვიდეს, გაიფიქრა მან.

— ტაბა! — გაისმა ხმა. ნატალი იყო, უძილობით დაღლილი მზეთუნახავი. რაც უნდა აეხსნა, მაინც ამათ გარემოცვას ეკუთვნოდა, ავ მეპატრონეს და ულირს მეძავებს. ხეივნისკენ წავიდნენ. ახი კი არის, ამათზე შური ვიძიო, გაიფიქრა ტაბამ. ამბორი და აღტყინება, რომელმაც მათი სხეულები მოიცვა, მთრთოლვარე ცეცხლს დაემსგავსა, ხოლო ბიძგებში მთელ თავის განწყობას დებდა — სიღატაკის, უიმედობის, შურისძიებისა და ქალაქის მიმართ საძულველი დამოკიდებულებისაც კი. ისე მოქმედებდა, როგორც ორმოების თხრის ნამდვილი დიდოსტატი, ხოლო ქალის სულისშემძვრელი კივილი მზესაც აფრთხობდა, ამოსვლა მათი დაშოშმინების მერეღა რომ გაბედა. შორიდან რომ შეგეხედა, მკვდრები გეგონებოდნენ და მიწაზე ისე ეყარნენ, თითქოს ორმხრივ სროლაში მოჰყვნენო. ტაბა მზის სიმხურვალემ გამოაფხიზლა. მიხვდა, რა ღრმად ჩასძინებოდა და მაშინვე ნატალის გაღვიძებას შეუდგა. მერე კარვისკენ მიანიშნა, თვითონ კი ორმოსკენ გაეშურა, ძალიან ღრმად რომ იყო ამოთხრილი, მაგრამ მეპატრონე თავის დანებების უფლებას არ აძლევდა. დაღლილობა თავისი მეომრებით იყო მოსული, მზე კი — თავისი. ტაბას ნიჩბის დაჭერაც აღარ შეეძლო, მიწაზე დაეგდო და მაშინვე ჩაეძინა. დიდი ხნის შემდეგ მხოლოდ თოკის ღრჭიალმა გამოაღვიძა. ცარიელ ტომრებს ზევით ეზიდებოდნენ. ტაბა კი მხოლოდ ხელს იჩრდილავდა და სილუეტების გარჩევას ცდილობდა, რომელიც მეპატრონეს მიამსგავსა. რამე ხომ არ შეიტყო, გაიფიქრა მან.

— ჰეი! ვინ ხარ? — შესძახა ტაბამ, — ტომრები ცარიელია, რად ეზიდები?!

მაგრამ არავინ გამოხმაურებია, სანამ მექანიზმის ხმა საბოლოოდ არ მიწყდა და ეშმაკი მეპატრონის სახე მთელი სისავსით არ გამოიკვეთა. მეპატრონემ მოულოდნელად წყლით სავსე სათლს ფეხი ჰკრა და მღვრიე და შავი სითხე ჭაში გადმოიღვარა, როგორც გადაყირავებული სამელნედან მელანი, რომელიც საწამლავით შეფერილი ხსნარივით ბზინავდა. მიწის მოტორტმანე მასა თხევადი ჭუჭყით გაჯერდა. შორს, ცაში, ალაგ-ალაგ შეწითლებულმა ლაჟვარდმა გაიელვა, მორუხო ფერით ვარდისფერ წიაღს რომ მალავდა და ჭის ზედაპირი გაუგებარ მოჩვენებათა შესაყარს დაამსგავსა.

— ეს იმისათვის, რომ დარწყულდე, ბრიყვო კაცუნავ. რაო, საუცხოო დრო ატარე გუშინ?

— რას გულისხმობ? — მეტი ვეღარაფერი მოიფიქრა ტაბამ.

— ჩემ ქალს შეეხე და სასჯელიც აღარ დააყოვნებს. მანდედან ვეღარ ამოხვალ, თორემ განახებდი ნატალის შოლტებით აჭრელებულ ზურგს, გუშინ ალბათ ვნებით რომ თრთოდა. აქაურობას დატოვება გადავწყვიტე, რადგან მთელი ეს მხარე ბერწი და უნაყოფოა. შენი კუთვნილი გუშინდელ წაგებულში გამოგიქვითე, მაგრამ გასამრჯელოს გარეშე მთლად ხომ არ დაგტოვებდი? ჰოდა, ეს ორმო შენთვის მიჩუქნია, დამპალო ხორცო, მოკვდი შენს უკანასკნელ ქონებასთან ერთად! — უკანასკნელი სიტყვები არაამქვეყნიური სიძულვილით წარმოთქვა. დარჩა ზეცის ვიწრო ნაგლეჯი უძირო ჭის თავზე განფენილი, მიწის უამური სურნელი და ხანგრძლივი, სამარისებული სიჩუმე, რადგან მალე ჩქამიც აღარ გაუგონია. ეტყობა იქაურობა მართლაც საბოლოოდ მიატოვეს.

ასეთი იყო ეშმაკის შუადღე, სასტიკი და ულმობელი, გულს რომ სასოწარკვეთით აღავსებდა. ტაბამ ჯერ ნიჩბით ცადა კედლის გამოთხრა, მერე ფრჩხილები ჩაასო, მაგრამ შვერილები საფეხურებს ძნელად იკეთებდა. ზოგან ხელში იფშვნებოდა, საქმე კი წინ ვერ მიდიოდა. ცის თაღი უსასრულოდ შორს ჩანდა, ტაბას კი ღონე ელეოდა. რამდენჯერაც ამოცოცება დააპირა, იმდენჯერ წარუმატებლად დაებერტყა მიწას. ჩადენილმა ცოდვამ უსაშველოდ გასრისა და უღრმესი ორმოს ფსკერზე მიუჩინა ადგილი. ტაბა ბედს საბოლოოდ შეეგუა და უილაჯო ფიქრით გადასწვდა თავის ერთობ მოსანატრებელ

ოჯახს, ბედნიერებას, რომელიც ხელიდან გაუშვა.

8.

„აჰა, ესერა სიძე მოვალს შუაღამესა, და ნეტარ არს მონაი იგი, რომელი იპოვოს მღვიძარედ...“

კონდაკი

ხოლო როცა იმედის უკანასკნელი ნასახიც ამოწურული ჰქონდა, ტაბას მოულოდნელად ხმაური შემოესმა. უშველებელი საგანი ზრიალით ჩამოეშვა ძირს და მოზრდილი ბელტებიც ბლომად ჩაიყოლა. ტაბამ ხელები დაიფარა თავზე და ყრუ ხველებით აეკრა ორმოს კიდეს. ეს ხის უგრძესი კიბე იყო.

— ესეც შენი გასამრჯელო კიბისთვის! — მოესმა ხმა, თუმცა არავინ დაუნახავს.

— ჰეი! — უილაჯოდ ამოსძახა ტაბამ, მაგრამ არავინ გამოპასუხებია. მეტი გამოხმაურების თავი კი აღარ ჰქონდა. მაშინვე იცნო თავისი ნახელავი — კიბე, რომელიც თვითონვე გამოჩორკნა და რომლის პირველი საფეხური ახლა მის ფერხთით იყო დასობილი. იგი ზლაზვნით წამოდგა და ორივე ხელით კიბეს ჩაეჭიდა. ზედ ნება-ნება იწყო აცოცება და როცა უკანასკნელ საფეხურზე მოექცა, ზედაპირამდე კიდევ კარგა მანძილი ჰქონდა დარჩენილი. ზემოთ კი არავინ იყო. იგი კიდეს მიეყრდნო და ქვითინი აუვარდა. ნეტავ მეტი დრო კიბისთვის დაეთმო და ნაკლები ორმოსთვის. ფიქრით ისევ ოჯახს გადაწვდა. გაახსენდა დღე-დღეზე ბავშვს რომ ელოდებოდა, იქნებ გაჩნდა კიდეც, ის კი ამ მივიწყებულ ორმოში ცოცხლად განისვენებდა.

ტაბამ კიდევ ერთხელ მორთო განწირული ყვირილი — მიშველეთ! ორმოს ფსკერზე ვარ! მაგრამ მისი უსიცოცხლო ბგერები ორმოს ზედაპირამდეც ვერ აღწევდა. თან თვითონაც არ ჯეროდა, ვინმე თუ გამოეხმაურებოდა. ამ მივიწყებულ ალაგს გამვლელი არასდროს უნახავს, ხოლო მისი ძებნა შესაძლოა, არც კი დაეწყოთ. არავინ იცოდა, აქ თუ მუშაობდა. უფრო ქალაქში ეგონებოდათ წასული, მაგრამ იქ ვინ მოიკითხავდა. სიზმარ-ცხადიც ერთმანეთში აერია. თავისი მდგომარეობის სიმძიმე მთელი არსებით რომ შეიგრძნო, ჯობდა, დედაჩემს მუცელში გავწყალებოდიო, აღმოხდა სასტიკი სიტყვები. ბედისწერის მათრახი ამჯერად ისე მწარედ გადაუჭირეს, არასოდეს რომ არ უგრძვნია. სიცოცხლე თავდებოდა სასტიკი აღსასრულით. ძირს გაშოტილს ეჩვენებოდა, რომ პირში აზელილი ბელტებით საკუთარი საფლავის ცივი მიწის გემოს შეიგრძნობდა. სახე მაღაროს ბინადარივით გაშავებოდა, თითქოს კუპრში ამოევლოთ. სადღაც შორს, ზევით, უცნობი ფრინველები ყაშყაშებდნენ, არადა მის თავზე მხოლოდ ავბედით ყორნებს უნდა ეჩხავლათ.

ალბათ მეორე ან მესამე დღე იქნებოდა, სათვალავი უკვე არეოდა, სიტყვები რომ ჩაესმა:

— ჰეი, ვისი ხმა ისმის ორმოდან?

— ტაბა ვარ! — აღმოხდა მთელი არსებით, რადგან იმედის ნაპერწკალმა ცეცხლივით გაიელვა.

— მალაქია ვარ, ტაბა, უსათუოდ გიშველი! ახლა ამ ლოდს მარყუჟს მოვხსნი და ჩამოვუშვებ. შენ კი მკლავები გაუყარე. ფრთხილად იმოქმედე, ტაბა, ძნელი საქმე არ არის. როცა მზად იქნები, თოკი მოქაჩე და ამოგწევ!

მერე მალაქიამ ნება-ნება იწყო ამოქაჩვა. საქმე გაჭიანურდა, მაგრამ მალე ჭის ზედაპირზე ტაბას ფერწასული და დაოსებული სახე გამოჩნდა. აქოშინებულმა მალაქიამ მისი სხეული გადმოითრია და ორივენი მიწაზე განერთხნენ. საუკუნის შემდეგ, როცა სუნთქვა მწყობრში ჩაუდგათ, მაშინღა იწყეს ლაპარაკი.

— რა ჩაიდინე! — მიმართა მალაქიამ წყრომით, — შენივე სისხლით ეშმაკებს წყურვილს უკლავ?!

ტაბას პასუხის გაცემის თავიც არ ჰქონდა. ისევ მალაქია ჩაენაცვლა თავისი მრისხანებალმობიერებით. მათარა მიაწოდა და ცოტაოდენი დაალევინა.

— ნუ ნაღვლობ, ტაბა! ორმოს ყველანი ვთხრით. მე ხომ ერთ ადგილს ვტკეპნი. ჰოდა, ჩემი ქუსლებისგან იმხელა ორმო გაჩენილა, რომ წამოვდექი, ლამის კისერი მოვიტეხე. შეწყალება ყველას გვესაჭიროება. ვიღაც მირბის, ვიღაც მიჩანჩალებს, მაგრამ მაინც გზაში ვართ. არავინაა მწვერვალზე, სადაც უფსკრულიდან ამომავალი გზა თავდება. მწვერვალის საიდუმლოც ეგ არის — ყველა გზა მის ფერხთით თავდება. ორმოში ჩამორომას მოვასწრებთ, უფრო მეტიც — მოგვიწევს კიდეც, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მანამ ცა ჩავბღუჯოთ და ისე დავიკრიფოთ გულზე ხელები.

— ნეტავ რას ფილოსოფოსობ, მალაქია? — ძლივს ამოღერღა ტაბამ.

— შენი ბიჭები ძალიან მიყვარს, ტაბა! ნიკოლოზი და გიორგი, პატრიარქის და მეფის სახელს რომ ატარებენ. რა იცი, ვინ გამოვლენ! — გაიღიმა მალაქიამ, — როცა გარბი-გამორბიან, ყოველთვის ჯვარს ვსახავ! გუშინაც ვნახე, ვარა მიჰყავდათ ფართხა-ფურთხით. რა ხდება მეთქი, მივაძახე. მარია მშობიარობსო, მითხრა ვარამ. მეც მათ გავყევი, მაგრამ ეს ლოდი ხომ მძიმეა. სანამ თქვენ სახლამდე მივაღწიე, ბიჭი გაჩენილა!

— ბიჭი? — ჩაეღიმა ტაბას.

— ჰო, სამი ბიჭის მამა ხარ, ამ დროს ყურზე უნდა მოგქაჩო, ხომ? — როხროხით მიმართა მალაქიამ.

— რა დაარქვით? — უსიცოცხლო ხმით ჰკითხა ტაბამ.

— არაფერიც არ დავარქვით! შენ გელოდებით. ყველას ქალაქში გვგონიხარ, შენ კი აგერ ორმოში იყავი ჩასკუპებული. როგორ ფიქრობ, ორმოში ჯდომის დროა? ახლა სწორედ ბავშვის სახელის გამო გიხახულე, თორემ კიდევ დიდხანს იყავი მანდ ყოფნის ღირსი. თავიდან ხორბლის ჩამოყრას ვაპირებდი, ცოტა გამოიკვებოს თავი მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. შენც ბევრჯერ გაგიღია მოწყალება და ხელის გამოწვდა არც მე დავაყოვნე. თან მეც შვება მომეცა, ნიშანი, რახან ეს ბაწარი დაგჭირდა. შემიძლია, ლოდიც აღარ ვათრიო. მაგრამ ახლა როგორი ღვაწლი ვიტვირთო? რას მირჩევ? ერთი ხანობა ფეხშიშველას ხომ არ მევლო?

— რა ვიცი ეგ მე, მალაქია? ავდგეთ ახლა, ოჯახში წავიდეთ!

— სიარული თუ გაგიძნელდა, დამეყრდენი! ისე, იქნებ თომა დაგერქვა? მოციქულის სახელია! გულისხმაში ასე მომივიდა. რაიმე ახალი კი არ უნდა გამოიგონო? სამყაროს კარნახს უნდა მიუგდო ყური, რომ შენ გულთან შესაბამისობაში მოვიდეს!

— შინ რომ მივალთ, აღვნიშნოთ! კარგი ღვინო მაქვს, კარტოფილს შევწვავ!

— კარტოფილი, კარტოფილი! — გამოაჯავრა მალაქიამ, — იცი, რას გეტყვი! შენ შენს ცოდვებზე იფიქრე, თორემ კარტოფილს შეჭამ თუ ხახვს, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მეომარი, რომელიც ღმერთს არ ეძებს, უაზრო ბრძოლაშია ჩაბმული. შენი გული ღმერთს უნდა გადასცე, მაგრამ ამას, იცი, როგორ მიხვდები? მის ხელისგულებზე ნალურსმნებს შეიგრძნობ. არიან დიდი მოძღვრები, შემოქმედებითი მადლი რომ არ შეხებიათ და უბადრუკ მიმბაძველებად იქცნენ. ჭკუას მოუხმე. სიფრთხილე მეტად გმართებს, როცა ამდენი ხელისშემყურე გყავს. აბა, ძებნას ვინ დაგიწყებდა ამ მიყრუებულ ალაგს? ტკბილადმოუბარ ხალხს რას უსმენ? ზოგს ისეთი დაშაქრული ენა აქვს, ჭკუიდან გადაგიყვანს. სახლიდან გამოსვლის წინ თაფლით სავსე ქილაში აქვთ ჩაყოფილი. შავალმიანებს რას ენდობი? უცხო ალაგს იმიტომ ყურყუტებენ და ეფუძნებიან, რომ მზაკვრული გეგმები ჩაიფიქრეს. ზოგი მდინარის საწინააღმდეგოდ მიცურავს, იცი, რატომ? უნდათ რომ მდინარეც ამ გზით მიედინებოდეს. დინების შეჩერება სურთ, მისი მიმართულების შეცვლა. ის კი არ იციან, რომ მდინარე შეიძლება აამღვრიო, მაგრამ ვერ შეაჩერებ!

— როგორ მომაგენი, მალაქია?

— კიბე ვისაც მოჰქონდა, იმას გამოვყევი.

— მაშ გცოდნია, ის კიბე ვინ ჩამომიგდო.

— მე საიდან უნდა ვიცოდე? ვინც შეგიკვეთა, ის ჩამოგიგდებდა.

— რამდენი ვინანე, მეტ დროს რომ არ ვუთმობდი!

— ჰოდა, გეცოდინება, კიბე ორმოზე მაღალი რომ უნდა იყოს!

სანამ თვალს მიეფარებოდნენ, ლაპარაკი ჯერ კიდევ ისმოდა. მერე მკრთალ სილუეტებად იქცნენ. ახალგაზრდა უფრო ჩქარობდა, მაგრამ ხანშიშესულიც შემართებით მისდევდა ფეხდაფეხ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ წვერიკმაზაშვილი

ატომური სიყვარული

როცა სიტყვები როგორც იქნა, ამოგილაგე
და სასურველი მოლოდინით აღსავსემ, მზერა
მივაბჯინე შენს ცასავით უძირო თვალებს,
— ეგ სიყვარული ალბათ პლატონურიაო — ჩამეძიე
(მდგომარეობის აპირებდი შემსუბუქებას),
მე კი, პირიქით, — ატომურია-მეთქი — დაგიმძიმე.

დაუნერელი წესი

დღითა თუ ღამით — ცხადშიც და ფიქრშიც,
ამ ჩვენი მიწით, ბებერი ვირით,
სამყაროს ულტრაიისფერ გზებზე
ქანცმილევამდე დავეხეტებით,
რათა მივზიდოთ შინ მეტი ტვირთი
და უზრუნველად ვიცხოვროთ მერე!

ავტოპროფილაქტორიუმში

მარცხნივ აიღე, ცოტაც მოდი, კიდევ, კარგია! —
მუდარის ტონით ბოცმანობდა რემონტიორი...
და როგორც იქნა შეაყენა ქალმა ორმოზე
დამფრთხალი ავტო.

* * *

თავი ცოცხლებში რაღად გავრიო,
ვიღას ვარგივარ მე, სატიალე...
გულში იმხელა ბოღმა ღრიალებს —
ამაღამ ღვინომ უნდა დამლიოს!

მცველეგია

ვარ იმთავითვე ვარძიის მცველი,
გრაალისა კი — ტყუპისცალია!
და რა გგონიათ, როცა მცალია,
ცის კიდეებში ბალახსაც ვცელავ!...
და ვიდრე გული ქართულად მიცემს
და სისხლი თავის საქმესა შვრება —
მკლავს არ ექნება წამითაც შვება,
სხვაფრივ, ანდა-კი რა თავში ვიცე!
და ყველას, ვინც კი ამ გულთან სახლობს,
სულ ბოლო სიტყვას აქავე მივცემ:
მამულში ვტოვებ სახეს და სახელს,
ცალს — დაე, დარჩეს ჟამი და სივრცე.

* * *

წნორქვეშ მივწექ დაღალული,
თავქვეშ ამოვიგე თივა;
ვიძირები მაღლა, მაღლა,
ისე მაღლა — კიდეც მცივა.
შენზე ფიქრი იქაცა მდევს!..
ფინთად რამ ატეხილი ვარ —
ხაწირიდანდელისამდე
ღრუბლის ტივით გამოვდივარ.

ო-ხო-ხო-ხო-ხო!

დღესავით მახსოვს: ტახტზე წამოწოლილი და ფიქრებით წარსულში ღრმად გადაყუდებულ მამას როგორის თეატრალურობით გამოუდიოდა ხოლმე „ო-ხო-ხო-ხო!..“-ს გულსიღრმიდან ამოძახილი... ბევრი ხნისა და ძრწოლის მერე, ახლა მე მიწევს მეტის სიმძაფრით, თუმც კი ნაკლულ ტონალობებში, მამისეული „ო-ხო-ხო-ხო!“-ს რეტროსპექცია.

* * *

როგორც იქნა, ფრთა შევასხი იმედებს,
ანუ ყოფას პაწა წაველადავე,
უკეთ რომ ვთქვა, თავი გადავიმეტე
და მარტოკა ავჰყევ ივრის სათავეს...
ნახევარი სიცოცხლე შევიმატე,
ნახევარიც — სიკვდილი გავათავე.

ზემწოლი ჟამი

ჟამმა მიწია ზარისა და ცრემლის წვიმისამ,
(სამოცდაათის ვარ უკვე და ზედაც — ორისა!)
მეტად დიდია ალბათობა ახლა იმისა,
ჭირი მატაკოს, ვთქვათ — ფრინველის,
გნებავთ — ღორისა;
ჩამომიშალოს უნარ-ჩვევა, პატივ-ღირსება,
ველარ მაამონ სხივმა მზისამ, ჩრდილმა წნორისამ...
მოკლედ, მამზადებს უკეთური სასწაულისთვის —
განსაქარვებლად ნეტარების შენთან წოლისა!
ვით წავუხდინო საწადელი, თქვი: რა ვუღონო?

* * *

თავს რა არ მხდება, სიზმრად ვარ როცა:
ხან ნაცარს ვქექავ, ხან დევებს ვხოცავ;
ხან ვაზს ვახარებ, ხან კიდევ ჭიას;
ტაძარსაც ვაგებ,
მკლავსაცა მჭრიან;
ვაქვეყნებ ლექსებს, გზებზე ვფენ სუფრას,
ყოფილა, კვართიც კი მცმია უფლის;
ვყოფილვარ ხელიც, ბრძენიც და გლახაც...
რა გახდა ერთხელ ეს შენი ნახვა?!

უცნაური შეხვედრა

ხომ კარგად ხარო? —
მკითხა ჩემმა ყოფილმა სატრფომ,
გუშინ „გუდვილში“ ძვლების დახლთან რომ შემეფეთა.
ერთი კი შევცბი, თუმცა სიტყვა არ დავუხანე:
როგორ ვიქნები აბა კარგად, როცა სიკვდილი
თავადაც ხედავ, მოსალევი მაქვს ჯერაც მეთქი.
ჩემსავით მომჭკნარს, თვალ-წარბები შეუთამაშდა —
რაღაცის თქმაც კი დააპირა, მაგრამ რატომღაც
უცებ მაკოცა და უჩუმრად დამემშვიდობა.

* * *

იქნება მითხრათ, ამისთანა რა ზნე გვჭირს განა,
რომ ამა სოფლის თვითმარქვია გვირგვინოსნები,
ან უკეთ, ვითომც მოაზროვნე ჰომომამრები,
მალიმალ ხმალზე ხელს ვიკრავთ ხოლმე,
და უშფოთველად ერთმანეთს ვხოცავთ.
ნადირ-ფრინველთა სათვისტომოში
ამდაგვარი რამ არ შეიმჩნევა.
ეტყობა, უჭიანურდება ღმერთს,
ადამის (და არა ევას) დამთავრება!

* * *

ჩემი დაბადების დღეა!
ცოლმა პაწა სუფრა გააწყო —
ყოველი შემთხვევისათვის.
მეც საზეიმოდ განვეწყვე, ცხადია...
და გვიანობამდე, რამდენჯერაც ლიფტი
ჩაბობღდა და ამობობღდა,
იმდენჯერ მის ხმას ჩავყევი და ამოვყევი —
კარზე არავის მოუკაკუნებია;
ტელეფონმა კი სულაც გაწყვიტა
კაცობრიობასთან კავშირი...
კაროჩე, დღეს ჩემი დაბადების დღე იყო!

აქ რომ ერთად ვყოფილიყავით

აქ რომ ერთად ვყოფილიყავით, —
თბილად მოიბინდებდა ჩვენი ქედები,
ნიავი ხალისით ივლიდა ღამის ტყეებში,
მთვარე გამოაღწევდა ფარფატა ღრუბლიდან,
ნამი ახალ სიცოცხლეს გააჩენდა
განთიადის მინდვრებზე
და მზეს სიხარულით შეხვდებოდა ჩვენი ეზო...

აქ რომ ერთად ვყოფილიყავით, —
ხელჩაკიდებულს გატარებდი ჩემს ბილიკებზე,
მარწყვის კუნწულებს ავაცვამდით გაზაფხულებზე,
ზაფხულის ნობათს გავსინჯავდით მთის პეშვებიდან
და შემოდგომით წიფლის ნაყოფს შევაგროვებდით
თოვლიან ზამთრით ამ ტყეების გასახსენებლად...

აქ რომ ერთად ვყოფილიყავით, —
მთელი სახლობა წავიდოდით ძველ სალოცავზე,
დაბრუნებისას ქედის ძირას მთის მხალს დაკრეფდი,
მერე თონეში დააცხობდი ფერად ფხლოვანებს,
და ბავშვების შემდეგ ერთ ნაჭერს მეც შემახვედრებდი,
რომელსაც შუაზე გაგიყოფდი...

აქ რომ ერთად ვყოფილიყავით...

* * *

როგორც ნუგეში ამა დღეთა ამაოების,
გამოკრთებიან შორი მთები გარინდებულნი
და ვით ღრუბელი მათ კალთაზე თავმიდებული,
თვლემ უსასრულო წარმავლობას მინდობილ დროში,
ხოლო ცის ახლოს, იის ფურცლით ნაფენ მინდორში
ნიმფათა ფიქრით დაფერილან საღამოები...

შორი სიმშვიდით მოხიბლული უღრან ტყეების,
უკაცრიელი ხევებისა თუ ღრანტეების
მდუმარებაში გინდა ხშირად გაუჩინარდე,
როცა დაისი მიანავლებს ცათა ჩირაღდნებს
და ღამეები, შენი ფიქრის უტყვი მოწმენი,
დააწვიმებენ მწვერვალებზე წამებს მოწყენილს...

მერე გაჰყვება ქართა ქროლას ძველი ზმანება,
ახალ ბილიკზე ვინმე სხივად აგემგზავრება,
მონატრებული შუქთაფენა ისევ იელვებს,
მომავალ დღეებს რომ დაუდგეს კრძალვით თავდებად,
ჩამოგშორდება სიბნელე და სიცარიელე,
შორი გზები კი არასოდეს არ გათავდება...

მამიდა

ეზოში ვარდნარს და კოინდარს
ხეხილი ჩრდილს ჰფენდა მაღლიდან...
ჩვენს ნახვას ცის გახსნას ადრიდა,
ხარობდა, ჩქარობდა მამიდა —
უეცრად რა სუფრას გაშლიდა,
რა სიტკბო-სიყვარულს დაღვრიდა! —
თან თონე, სამზადი, ბოსტანი —
მამიდას განა რა დაღლიდა?..
სევდიან ღიმილით ვტოვებდით
და ისევ გვნატრობდა თავიდან:
— ე, ბიჭო, რა ხანი გავიდა...
— ე, ბიჭო, რა ღვინო დაღვინდა!..

ჩიღვინაძე

რამდენი ყვავილი ჩამოჭკნა,
რამდენი ზაფხული გაფრინდა...
რამდენჯერ ვისტუმრეთ ზამთარი —
სულშიც რა ლამაზად ბარდნიდა!..
ტიროდა ზეცა და სოფელი,
როდესაც იმ ქვეყნად წავიდა...
წარსულის ცრემლიან თვალიდან
ყოველთვის გვიყურებს მამიდა...

წვიმს

წვიმს, ჩამოგვემხო თავზე ცარგვალი,
დღეს ეს ღრუბლებიც დარდად გამყვება,
დალბება მალე ვრცელი ტყეები,
სოკო გვექნება თავზე საყრელად.
შორს მოქანავე ნისლის ფთილები
ელამუნება ხსოვნის ნაპირებს,
გარინდებულა ფიქრი წარსულში
და თითქოს იქაც წვიმას აპირებს.
ფერდობზე სჩანან უცხო ჩრდილები,
ქარი კი ფანტავს ახალ ბარათებს
და სველ სევდაში ზოგჯერ ნუგეში
ელვის შუქივით შემოანათებს...

* * *

გადაქცეულა მზიანი განცდა
ამ წუთისოფლის ცისფერ ბინდებად,
შენი ფიქრები
მთის ბილიკს გასცდა
და ზეცის მიღმა მიედინება.
ემშვიდობები თოვლიან ქედებს,
გხვდებიან ცათა ცივი ხედები,
წინ გაიხედე,
წინ გაიხედე,
ყოველთვის უკან ნუ იხედები.
მოდის დღეები ნისლით ნაფერი,
ხსოვნაში ელავს მშვიდი წარსული,
და გრძნობ,
არაა ეს ყველაფერი
არც დასაწყისი, არც დასასრული...

შორს, უღრან ტყეში

მიალერსებდნენ ზეცის თაღიდან
მშვიდი სხივები... ვიწრო ხევებმა
ლანქერადქცეულ ზამთარს უგანეს,
ხეებს შორის კი თოვლის ნარჩენი
თითქოს აკრთობდა უხნეს უღრანებს...
და უნაყოფო დღეებს ნაჩვევი
კვლავ ვმდიდრდებოდი მშობელ ბუნებით —
ძალა მომეცა ამ დაბრუნებით...
მინდოდა, ტყეთა სულებს ვხლებოდი —
ქედებს გულთბილად ვესალმებოდი...
ეს იყო ჩემთვის თავისუფლება
და არა სადმე ღამის ლხინები...
კვლავ შევერევი მონატრებულ მთებს,
მათი ნისლებით მოვიხიბლები,
მათგან მერგო მე წილად მთოვარე
ფიქრი, რომელიც აღარ დაღვინდა...
და ჩემი ძველი საფრენი არე,
ისევ მეძახის სიყრმის ბაღიდან...

ზურაბ ლობჟანიძე

* * *

როგორ გადავრჩი... ეს დღესაც მიკვირს,
ასე იოლად... ცხოვრების კლანჭებს...
გამოუცდელი, ალალი ბიჭი,
დახარბებული დატკბილულ ნაჭრებს...
სად არ ვიყავი, რაღა არ ვნახე,
სისუფთავეც და მყრალი ჭაობიც...
ნაყოფი მწიფე, დამპალი, მკვახე, —
საქმე და ფიქრი ჩემი თაობის...
ქუჩა და ციხე... ეს სატყუარა
კარგი ბიჭობის, კარგი კაცობის...
თუმცა, გამოცდაც — შენ გაქვს თუ არა
ნიჭი ცხოვრების, მისი გაცნობის...
მგონი გადავრჩი... მე და სიბერე
აგერ ვდგავართ და წარსულს გავცქერით...
კი, ცოტა სუსხი მცემს და მიბერავს, —
უძლური არის დროის საცერი!..

* * *

არა, ჩემო კარგებო,
ჯერ წასვლას არ ვაპირებ...
ნურსად დამეკარგებით,
მეტად ნუღარ მაყვირებთ...
მოდით, გული გამითბეთ,
მაცინეთ და მატირეთ...
თქვენთან ყოფნა მავიწყებს,
ლეთის მღვრიე ნაპირებს...

* * *

ვზივარ და ვფიქრობ, რა არის —
სასჯელი, ცდა თუ ძღვენი?..
იქნებ, მარტივად, გზა არის,
გზა გაძლების და თმენის?!.
სხვა ვერაფერი გავიგე...
სხვა ვერაფერი ვქენი...
დუმილის სახლი ავიგე,
კარი შევაბი რწმენის...

* * *

მითხარი — ვინ რა წაიღო,
შენ რომ წაიღო აქედან...
ბევრმა ეს ხომ ვერ გაიგო,
უფლის გამოცდა გაბედა...
. . .
ზურგზე ტვირთაკიდებული,
იმიტომაც ჰგავს სახედარს!..

* * *

რა თქმა უნდა — ბევრი ცოდვა მაწევს,
ჭიანჭველის, კაცის, ბუზის, ფოთლის...
ვზომავ, ვწონი ჩემს ნათქვამს და ნაწერს,
ვუღრმავდები მორევს წუთისოფლის...
. . .
შვება-დარდი აკვანივით მარწევს —
კაცის ცოდვებს განა ვინმე მოთვლის?!.

* * *

წამომეწია სიბერე,
თუ წინ მიცდიდა გზაზე?..
ვიჯერებ, თან ვერ ვიჯერებ,
ხელს ვისვამ მელოტ თავზე...
ვამბობ — სხვა რამეს ელოდი?..
რას ჩივი მწუხარ ხმაზე?..
თითქოს არც ისე ბნელოდა,
ფიქრობდი აბა რაზე?!.

* * *

არც არავინ დაგირეკავს,
არც ვინ შეგეხმიანება...
თვითონ უნდა გაიარო
ეს ცხოვრება ნება-ნება...
დინჯად, წყნარად, აუმღვრევლად,
სინანული ღიმილს შერთე...
მტკიცედ, ცრემლის დაუღვრელად...
იქ ჯობია, იქით, მენდე...

* * *

ბინძურმა როგორ ვიარო
გზაზე, რომელიც შენ ხარ...
შენ, ჩემო სუნთქვის ზიარო,
ჩემი მშველელი, მწე ხარ...
გულის და გონის ტაძარო,
შენთან შეხვედრით ვხარობ...
ჩამიქრე მწველი ხანძარი,
მასვი სიცოცხლის წყარო...

* * *

საიდანაც მოვდივართ,
ისევ იქით ვბრუნდებით;
აქ ჩანიშნულ დრომდე ვართ —
დავაბიჯებთ ხუნდებით...
კვლავ დიდ გულზე როდი ვართ,
ფერს ვკარგავთ და ვხუნდებით...
გზას ვადგავართ დღედაღამ —
წასვლა-მოსვლას ვუნდებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოკლედ არ შემჭრა, ისედაც თავზე თმა აღარა მაქვს, — ერთი ახედა სარკის წინ სავარძელში მოკალათებულმა კოტემ ქერათმიან ივეტას. მანაც თავი დაუქნია და განაგრძო.

„ელაპარაკე რა, მაინც თავისას უბერავს. ჩემი ბრალია, ვერ ვისწავლე ჭკუა! ისევ აქ რატომ მოვდივარ? ჯვარი მაქვს ამ ქალზე დაწერილი?“, გაიფიქრა და სახეზე შეყინული ღიმილით ფეხზე წამოდგა. მეორე სავარძელზე რომ გადაჯდა, კისერი შავ ნიჟარაში ჩადო და თბილი წყლის მოლოდინში თავი უკან გადასწია, მაგრამ:

— უი, წყალი დამწყდარა, — უემოციოდ ჩაილაპარაკა ივეტამ და დახატული თვალებით დაუშტერდა, — ეგ არაფერია, მეზობელთან დაგბან.

არ გასულა წამიც, რომ აბაშიძეების ბინაში აღმოჩნდა. მანამდე მათთან არასდროს ყოფილა, თუმცა ზუსტად იცოდა, რომ მათთან იყო. მანეკენის თავზე ჩამოცმული წითელი პარიკით თუ მიხვდა? ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ მეზობლებს აბაზანა საძინებელ ოთახში, ბავშვის რიკულებიან საწოლში მოეწყოთ: ლეიბის ნაცვლად შიგ ნიჟარა ჩაედგათ — აი, ბოტიჩელის ნახატზე შიშველი ვენერა რომ დგას, ზუსტად ისეთი.

კოტემ უხერხულად გადააბიჯა ხის მოაჯირს, ნიჟარაში ჩადგა, წყალი მოუშვა და ბანაობა დაიწყო. ძალიან კი დაიტანჯა: ჯერ ერთი, კისერზე მიწებებული პატარა თმები ვერა და ვერ მოიცილა; მეორეც, ჩქარობდა, ნერვიულობისაგან ხელები უცახცახებდა, რადგან წყალი ირგვლივ ყველაფერს ასველებდა.

კარზე დააკაკუნეს.

— ვინ არის? — წამოხტა ტახტიდან. ეგონა, სახლის პატრონები დაბრუნდნენ და საძინებელში მობანავეს შეუსწრეს... და გამოერკვა. მიხვდა, ივეტას სალონიც, აბაშიძეების საძინებელში მოწყობილი აბაზანაც სიზმარი იყო.

— ოლია იქნება, — თქვა ცოლმა და კარისკენ გასწია.

— უჰჰ, — შვებით ამოისუნთქა, მაგრამ გონს მოვიდა თუ არა, ხასიათი ისევ წაუხდა: „გამაგიჟებენ რა, კაცს მუშაობას აღარ დაგაცლიან... ხან ერთი და ხან მეორე. რაში მაინტერესებს, რამდენ გაზს წვავს ოლიას გათბობა? ამ გივიმაც ხომ წაიღო ტვინი თავისი ნაშით. კაროჩე რა, ნეტავ, ერთ მშვენიერ დღეს ყველა ერთად გაქრებოდეს ან მე გადავიკარგებოდე სადმე შორს“, ამ ფიქრებით მიუჯდა თავის მოლბერტს და გაბრაზებულმა გააგრძელა მდელოზე წამოწოლილი ქალის ქვედაკაბაზე ფარშევანგის კუდის ხატვა.

— Главная это семья, все остальное чуш собачья, — სამოციოდე წლის გამხდარი, მაღალი ქალი შემოვიდა ოთახში. ჭაღარა თმა შუბლზე გადაეტკიცა და მწვანე თვალების ირგვლივ მწვანევე ფანქარი წაესვა. ტახტზე მოწყვეტით დაეშვა, დაბალ მაგიდაზე მიგდებული კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და განაგრძო:

— დილიდან ჭკუიდან შემშალა, ამბობს, ქმარს უნდა გავცილდეო?

— ვიზე ამბობ? — გაკვირვებული ნინიაც მის წინ, სავარძელზე, ჩამოჯდა.

— ააა, დაიწყო უკვე, — თავისთვის ამოიგმინა კოტემ და თვალებმობრეცილმა ნინიას გადახედა, აბა, ამას რა კითხვა უნდოდაო (ოლია ხომ მუდმივად თავის ერთადერთ ქალიშვილზე საუბრობდა).

— ვინ არის ჩემი თავისტკივილი?

— რას ერჩის, ბულკივით ქმარი ყავს?

— სიყვარული, ცეცხლი და ვნება მწყურიაო, ამბობს. გახსოვს, რა დღეში იყო ორი წლის წინ? მაგას თუ არ გავყვები, დედა, ფანჯრიდან გადავხტებიო. მაშინვე ვეუბნებოდი, ეგ ბიჭი არ გამოგადგება, ეგ ან მამაოდ უნდა წავიდეს, ან და რა ვიცი? — ოლია კოტეს მიუბრუნდა:

— მაგას უნდა ერთი კარგი ვირი, რომ მოკიდოს ქეჩოში ხელი და თავის ჭკუაზე ატრიალოს, მე ხომ ვიცი, არა? მერე მოსწყურდება კიდევ სიყვარული... ეჰ, ასეა, ასე... კაცი თვალებში შეჰყურებს, ოღონდაც რამე მოისურვოს, ეს კიდევ... дура неблагодарная!

ნინია უხმოდ ადგა და სამზარეულოში ყავის მოსადუღებლად გავიდა.

— დაანებე თავი, შერიგდებიან, — ხატვას თავი მიანება კოტემ და ახლა ის ჩამოუჯდა წინ ოლიას.

— ცოტა უნდა შეისვენო, გაგიგია ამდენი ხატვა-ხატვა? მოკიდე შენს ცოლს ხელი, поведи её в театр, в кино или в кафе, напои шампанским, შენც ხარ რა, ასეთი მზეთუნახავი სახლში გყავს გამოკეტილი. სვეტას უნდა ჰყოლოდა შენისთანა ქმარი, მერე ნახავდა...

— რას? ცეცხლს, ვნებას და სიყვარულს? — სიტყვა გააწყვეტინა.

— ოჰ, რა ხარ, რა ხარ, — სიცილი აუვარდა ოლიას. მერე მწვანე თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა და ნახატზე მკერდგაღეღილ ქალს დააშტერდა.

— მე რომ ახალგაზრდა ვიყავი, ეჰ, ხან ალთას დავდიოდი და ხან ბალთას, სახლში რა გამაჩერებდა? ან ვინ გამაჩერებდა? ქმარს რომ გავცილდი, კავალერების ჯარი მედგა, არ ვიცოდი, რომელი ამერჩია, ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები იყვნენ.

— ოხ, ოლია, ოლია, ეტყობა სვეტას შენს ანცობებს უყვები ხოლმე, თავი დაანებე, რას ერჩი გოგოს?

ქალი ისევ ხმამაღლა კისკისებდა, ნინია სინით რომ შემოვიდა. ოთახში ყავის სურნელი დადგა. ოლიამ ხელში ფინჯანი აიღო, დააცქერდა და დასერიოზულებულმა ჩაილაპარაკა:

— ხო, მაგრამ არც იმას ვუმალავ, რომ გაყრა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სულელური ნაბიჯი აღმოჩნდა. გვიანღა მივხვდი, ჩემს ქმარზე უკეთესს ვეღარ შევხვდებოდი. მასავით არც არავინ შემიყვარებდა და არც გამათამამებდა. ახია ჩემზე, ახლა ასე მარტო რომ ვგდივარ და იმ ფსუტიანს შევყურებ.

— ნუ მოიწყინე, სენტიმენტალურობა არ გიხდება, — კოტე ფეხზე წამოდგა და თანაგრძნობის ნიშნად ოლიას მხარზე დაადო ხელი.

— რას შვრები, ახალი კაბა... — წამოიყვირა ქალმა და აბრეშუმის ვერცხლისფერ ნაჭერს ყურადღებით დააცქერდა, საღებავების კვალი ხომ არ დაეტყოო.

— Sorry, sorry, — ორივე ხელი დამნაშავესავით ჰაერში აასავსავა მხატვარმა, ყავის ფინჯანი აიღო და თავის მოლბერტს მიუბრუნდა:

— ხო, кстати, აბაშიძეებს წყალი ჩასვლიათ საძინებელში, იმ ჩერჩეტ მდგმურებს აბაზანაში ისევ ონკანი დარჩენიათ ღია, — თქვა ოლიამ.

— რაა? — ყავა სასულეში გადაუცდა კოტეს.

* * *

ნაშუადღევს ნახატები წაიღო გალერეაში. ვანო ეხმარებოდა. დღე-დღეზე გამოფენა უნდა ჰქონოდა. ამიტომაც იყო აღელვებული. ნინიას გამუდმებით ებუზღუნებოდა. თუ ყველაფერი წესრიგში იყო, მაინც გამონახავდა მიზეზს და თავისებურად აუშარდებოდა. „რა მინდა, რას ვერჩი?“ ხანდახან ასე იწყნარებდა ხოლმე ნერვებს, მაგრამ თავს მაინც ვერ ერეოდა. ხატავდა — ნერვიულობდა, არ ხატავდა — უფრო მეტად ნერვიულობდა. დროდადრო იჯერებდა, რომ ნიჭიერი იყო, თუმცა უფრო ხშირად იმედგაცრუების კაეშანი შემოაწვებოდა და დარდობდა. ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა ვანოს ერთსა და იმავე ნახატზე: — რას იტყვი, მოგწონს? მერე კი ამ კითხვით დაღლილი მეგობრის დუმილით ასკვნიდა, რომ ხან პლაჟზეა ნახევრად შიშველი, ხან საელჩოსთვის გადაღებულ სურათზე იბღვირება, გამალებით მთხოვს მის დახატვას. ვეუბნები, ჯერ ერთი, დრო არა მაქვს, მეორეც, შენს ცოლს თვალებში როგორ ჩავხედო-მეთქი? იცინის, მე ვუყურებ დილა-საღამოს და არ მრცხვენია და შენ რა მამა აბრამის ბატკანი ხარო?

— მოიცა, სახელოსნო ისევ არა გაქვს?

— ერთი ოთახი ვიყიდე გარეუბანში, მინდა, პატარაზე ხელი წავკრა და მერე დავისვენებ. მივალ და მთელი დღე ჩემთვის წყნარად ვიმუშავებ.

— ეგ უკვე კარგი ამბავია, მომილოცავს!

* * *

კოტე ვერც კი წარმოიდგენდა, გამოფენამ ისე კარგად ჩაიარა. გარდა იმისა, რომ თითქმის ყველა ნახატი გაიყიდა, ორი სერიოზული შეთავაზებაც მიიღო. განსაკუთრებით ის ახარებდა, რომ მომავალ სექტემბერს ბერლინის გალერეაში — „zeitgenössische Kunst“ — უნდა გამოეფინა თავისი ნახატები.

— მაგრად გამიმართლა, ძმაო, ეს სახელოსნოს ამბავიც ხომ ზუსტად დაემთხვა, — აღფრთოვანებული ემასლაათებოდა საღამოს ვანოს სახლში, ნინიას მიერ მოწყობილ წვეულებაზე, — ახლა დროის უქმად დაკარგვა აღარ მეპატიება, უნდა ვიმუშაო.

მაგრამ მეგობარს ოთახის შუაგულში ლამაზად გაწყობილი სუფრისკენ ჰქონდა ყურადღება გადატანილი, ნეტარი სახით აგემოვნებდა ჟოლოიან ტარტებსა და შოკოლადიან ეკლერებს.

— ეს ყველაფერი ნინიამ გააკეთა?

— ჰო, და რას გეუბნებოდი...

— ტორტიც?

— რა დროს ტორტია, მომისმინე...

— რა ბედი გაქვს, შე ოხერო?

* * *

ნოემბრის ბოლოს სახელოსნო უკვე მზად იყო: ლიმნისფერი კედლები, ხის დაუმუშავებელი გრძელი მაგიდა, რამდენიმე ძველი სკამი, აგურის ბუხარი, მის წინ ფუმფულა ჭაობისფერი ტახტი, გათხუპნული მოლბერტი და ოთახის მთელ სიგრძეზე საღებავებითა და ათასი ხარა-ხურით გადატენილი თაროები. და რაც მთავარია, ხედი მოზრდილი ფანჯრიდან: ცისფერი ცა და ქულა-ქულა ღრუბლები.

დეკემბრის ერთ ნისლიან დილას კი, ცხოვრების ახალი ეტაპის მოლოდინით აღტკინებული კოტე ფრთაშესხმულივით წამოდგა ფეხზე. ისე ეჩქარებოდა, თავის საყვარელ საუზმეზეც კი თქვა უარი. მომზადებული ყავა თერმოსში ჩაისხა, რამდენიმე კოლოფი სიგარეტი მოიმარაგა, თავზე ქუდი ჩამოიფხატა, კისერზე კაშნე შემოიხვია და ნინიას გასძახა:

— წავედი მე, დამაგვიანდება.

მაგრამ ხუთი საათისთვის უკანვე დაბრუნდა. კართან ცოლი შეეჩეხა, ოლიასთან მიიჩქაროდა:

— რა მოხდა?

— რაღაც ვერა ვარ კარგად, წავალ დავწვები.

ბათინკები არ გაუხდია, ტახტზე ისე წამოწვა და ტელევიზორი ჩართო. მე-5 არხზე ნიკ ბელბრიჯის კომედია გადიოდა — „ცოლები და ქმრები“, მოხერხებულად მოეწყო და საყურებლად მოემზადა, თუმცა მალევე ჩაეძინა. ესიზმრა, ვითომ რამდენიმე ნინია ეხვია გარს: ერთი სამზარეულოში იყო და ჩაფიქრებული სალათის ფურცლებს აქუცმაცებდა, მეორე ტახტზე იჯდა, სიგარეტს ეწეოდა და თან ოლიას ემასლაათებოდა, მესამე ტელეფონზე ურეკავდა და შეშფოთებული აფრთხილებდა, რაც შეიძლება სწრაფად ჩაელაგებინა ჩემოდანი და სახლიდან ორივე ნინიასთან ერთად გაქცეულიყო, რადგან ცოტა ხანში კორპუსს რომელიღაც ტერორისტი ააფეთქებდა. მეოთხე ნინია კი ეს-ესაა სახლში დაბრუნებულიყო და მძინარეს ბათინკებს ხდიდა. თან თავისთვის ბურდღუნებდა: — ვერ ვასწავლე, რომ სანამ დაწვება, ფეხსაცმელები გაიხადოს, პატარა ბავშვივითაა ამხელა კაცი.

მალევე მიხვდა, რომ მეოთხე ნინიას სიზმარში კი არა, ცხადში ხედავდა. შეწუხებული წამოჯდა, კეფა მოიფხანა და დაასკვნა, ალბათ დიდ დროს ვატარებთ ერთადო. გულში უცნაური სიხარული იგრძნო, სახელოსნოს არსებობა რომ გაახსენდა. უცებ გადაწყვიტა, დილამდე რა მომასვენებს, ახლავე წავალო, მაგრამ უეცრად ამოვარდნილი ქარიშხლის ხმა შემოესმა და გადაიფიქრა.

ნინია დღის უმეტეს ნაწილს სახლში ატარებდა. არასდროს უმუშავია. ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, ის და კოტე რომ გაიპარენ და ყველასგან მალულად დაიწერეს ჯვარი. ბავშვების გაჩენის გამო უნივერსიტეტი ძლივს დაამთავრა. მისი ჯგუფელები მუშაობდნენ უკვე, ის რომ ისევ მესამე კურსის გამოცდებს აბარებდა. თანდათან შეეჩვია სახლში ყოფნას, მისი უმთავრესი საქმიანობა ქმარ-შვილზე ზრუნვა იყო: დილაუთენია იღვიძებდა, ჯერ საუზმეს გაამზადებდა, მერე ბავშვებს აღვიძებდა. გოგონები სკოლაში მიჰყავდა, თვითონ ისევ უკან ბრუნდებოდა, გზად პროდუქტების მაღაზიაში შეივლიდა, სახლში მისული სადილს ამზადებდა და სახლს ალაგებდა. შუადღისას ისევ სკოლაში გარბოდა გოგოების წამოსაყვანად. მოვიდოდა, ბავშვებს გამოუცვლიდა, აჭმევდა. მერე ჭურჭელს დარეცხავდა და გვიანობამდე ამეცადინებდა ორივეს ქართულში, მათემატიკაში, ინგლისურსა და რუსულში. ყველაზე ბედნიერი მაშინ იყო, გოგონები რომ დაიძინებდნენ და ტელევიზორთან მოიკალათებდა. ამ დროს კოტე სახლში თუ არ იყო, ხომ კარგი, თუ არადა სულ ჩხუბი ჰქონდათ: ნინიას კინოს ყურება უნდოდა, კოტე გამუდმებით ფეხბუთს, „National geography“-ს ან „Охота и рыбалка“-ს უყურებდა. ზოგჯერ ხვდებოდა, რომ კამათს აზრი არ ჰქონდა და პირდაპირ ოლიასთან გარბოდა. უკვე ერთი წელი იყო, რაც გოგონები სკოლაში მარტო მიდიოდნენ და მოდიოდნენ, ნინიას მეტი თავისუფალი დრო გაუჩნდა. შესაბამისად, უფრო ხშირად ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე — გული სწყდებოდა ასე უინტერესოდ და შეუმჩნევლად რომ გადიოდა დღეები. ოლიას კვირაში რამდენჯერმე შემოჰქონდა გაზეთებში სპეციალურად მისთვის მონიშნული განცხადებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტელეფონი აიღე და დარეკე, რაც უნდა იყოს, лиж-бы повод был с дому сбежать.

ერთი-ორჯერ სცადა კიდეც, თუმცა გასაუბრებაზეც არ დაიბარეს.

— არავის უნდა გამოუცდელი თანამშრმელი, ოლია, ვინ მიიღებს 30 წლის ქალს, თან ისეთს, ერთი დღეც რომ არ უმუშავია?

— მხოლოდ ნაცნობობით თუ გამოვა ეგ საქმე, — დაასკვნა ბოლოს ოლიამ, თუმცა ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია.

მეგობრებსაც სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდებოდა.

— მოსაწყენი ადამიანი ვარ, ეტყობა, — ხუმრობით შესჩივლებდა ხოლმე ოლიას, — ერთხელ მაინც რატომ არ დამირეკავენ და სადმე წავიდეთო, არ მეტყვიან? იციან, რომ სულ სახლში ვარ. სასაცილოა, მაგრამ გამოპრანჭვა მენატრება.

— მოსაწყენი კი არა, дура, ბედნიერი ხარ, ამიტომაც გერიდებიან. ხალხს თავისზე ნაკლებ ბედნიერებთან სიამოვნებთ ყოფნა, მუდმივად თავიანთი უპირატესობა რომ შეიგრძნონ... ანდა იმათთან, რაიმეს რომ გამორჩებიან. შენთან რა უნდათ, გიყურონ და გულზე გასკდნენ, რა ბედნიერიაო? — ადრე მეგონა, ბედნიერებისთვის მხოლოდ სიყვარული იყო საკმარისი. თავს ვკარგავდი, ეს გადარეული ისე მიყვარდა. ახლა კი, ვხვდები, როგორ თანდათან ვუფერულდები მისთვის.

— ამიტომაც უნდა გქონდეს შენი ცხოვრება, შენი საქმე, ინტერესი, მეგობრები... არ გირეკავენ და შენ დაურეკე, დაპატიჟე სადმე, გაერთეთ. ისე, ეტყობა, დიდი ეგოისტი დაქალები გყავს. ააა, გამოვიცანი: გაუთხოვრები იქნებიან... თუ შეუხედავი ქმრები ჰყავთ? Все понятно, მოგერიდებიან, აბა, რა, муж у тебя как кинозвезда да и художник.

— ამასწინ, იცი, რა მითხრა? ყველაზე მეტად, შეყვარებულები რომ ვიყავით, მაშინ მომწონდიო, წარმოგიდგენია?

— Ну и сволочь, но ты не сдавайся, все они козлы.

— მერე პატიება მთხოვა, დაუფიქრებლად მომივიდაო, მაგრამ მეც ხომ ვხვდები, ისეთი აღარა ვარ ოცი წლის რომ ვიყავი, ის კი უფრო მეტად სიმპათიურია, უფრო მეტად წარმატებულია, ნიჭიერია.

— არსად წავა, შენნაირ ნამცხვრებს ვერავინ გამოუცხობს, — და ოლიამ თავისებურად გადაიკისკისა.

* * *

მეორე დილით კოტე ისევ ადრიანად გაემართა სახელოსნოში, ოღონდ ამჯერად ხუთის ნაცვლად ექვსზე დაბრუნდა შინ. უხასიათოდ იყო. ჯერ უფროს გოგონას წაეჩხუბა, ჩემი მაგიდიდან წვერგათლილი ფანქრები სად გაქრაო, მერე უმცროსს — რატომ დახატე მათემატიკის რვეულის გარეკანზე ფისოო. ნინიასაც აუშარდა, მთელი დღე აღმა-დაღმა დაწანწალებ, ბავშვებისთვის ვერ მიგიხედიაო. ჩხუბი ალბათ უფრო სერიოზულ ხასიათს მიიღებდა, რომ არა პავლე. ჯერ ტელეფონით დაურეკა, რამდენიმე წუთში კი ბარში ისხდნენ:

— რა ვიცი, აბა... აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვიყავით ასე ერთად, — სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა პავლე და თან თხილს ახრამუნებდა, — ბევრს მუშაობდი... გადაიღალე. ეტყობა, გამოიფიტე.

— Dum spiro, spero!* მაგრამ ასეთი შანსი ხომ მეორედ აღარ მექნება, ჩავფლავდები იმ ბერლინში და მორჩა, bye bye! ვინღა მიმიწვევს? ერთი ნახატიც ვერ დამიწყია, ვზივარ, ვზივარ... ვსვამ, ვეწევი... ოთახში გავდი-გამოვდივარ, გალიაში გამომწყვდეულ ლომს ვგავარ. ხანდახან მინდა, ხმამაღლა ვიღრიალო სიმწრისაგან.

— ცოტა დაისვენე, გაერთე, ყველაფერი თავის ადგილას დაბრუნდება. ახალი ძალა გჭირდება, ხომ ხვდები, რაღაც ისეთი, მაგრად რომ დაგკრას. იმას მერე ვეღარსად წაუხვალ, ადგები და დახატავ, აბა, რას იზამ? — პავლემ კუთხის მაგიდასთან მოკალათებულ გოგონებს გადახედა და კოტეს თვალი ჩაუკრა, — ხომ არ გაგვეცნო?

— არა, რას ამბობ, მთლად ბავშვები არიან, — შეიცხადა და აღელვებულმა არაყი გადაუძახა ხახაში.

— რა ბავშვები, თუ ძმა ხარ, ვერ ხედავ როგორ გვიჟუჟუნებენ თვალებს?

— თვალებს, თვალებს, გვიჟუჟუნებენ თვალებს, — წაიმღერა კოტემ და ბარმენს ანგარიში სთხოვა.

* * *

სახლში გათენებისას დაბრუნდა. ნინია ტახტზე დახვდა. ტელევიზორი ჩართული ჰქონდა, თვითონ კი ჩასძინებოდა.

— სად იყავი? — კარის ხმა შემოესმა თუ არა, ფეხზე წამოხტა.

— სახელოსნოში, გვიანობამდე ვმუშაობდი, — ცოლს თვალი აარიდა და სამზარეულოში შევიდა.

— გშია?

— მგელივით.

ნინია მაშინვე აფუსფუსდა.

— გამოგდის რამე? — ცოტა ხნის მერე იკითხა.

— თითქოს დაიძრა, მაგრამ ვნახოთ... მაგაზე ლაპარაკი არ მინდა.

— კარგი, კარგი.

* * *

მესამე დღეს ჩვეულებრივზე უფრო გვიან გავიდა სახლიდან. ერთი-ორი საათი თავის სახელოსნოში წინ და უკან სიარულში გაატარა, მერე კი პირდაპირ ბარში წავიდა, მაგრად გამოთვრა და პავლეს მეგობრის სახლში გამართულ წვეულებაზე გაჰყვა.

— ბოჰემური ცხოვრება გაკლია, ძმაო. შენ ხელოვანი ხარ! ყველაფერი უნდა ნახო, გამოცადო, მერე შთაგონებაც თავისით მოვა, — პავლე ისევ ფილოსოფოსობდა.

ასე გაგრძელდა კიდევ ერთი თვე, მაგრამ არც შთაგონება ჩანდა სადმე და არც სახელოსნოს ცენტრში გამოჭიმულ თეთრ ტილოზე ჩნდებოდა კონტურები.

სასოწარკვეთილი სასმელს მიეძალა, სახლში გათენებისას ან, უკეთეს შემთხვევაში, შუაღამისას მიდიოდა. მანამდე ან სახელოსნოში იჯდა და ვინ იცის, უკვე მერამდენე ესკიზს ხევდა, ანდა ახალ ნაცნობებთან ატარებდა დროს. სამაგიეროდ, ნინიამ უშველა თავს. ჯერ ლათინურ ცეკვებზე დაიწყო სიარული, მერე კი ოლიასთან ერთად ბიზნესი წამოიწყო: ოლია უამრავ ნაცნობ-მეგობრის დახმარებით კლიენტებს შოულობდა, ნინია კი წვეულებისთვის არაჩვეულებრივად გემრიელ და ლამაზ სუფრებს შლიდა. საქმე ისე კარგად აეწყოთ, რომ მალე ორი დამხმარე აიყვანეს და ოფისის ქირაობაზე დაიწყეს ფიქრი.

ერთხელ, მორიგი ხმაურიანი თავშეყრისას, კოტე ხანშიშესული მწერლის, ალექსანდრე ჭიჭინაძის, გვერდით აღმოჩნდა. ახალგაზრდობაში მისი რამდენიმე მოთხრობაც ჰქონდა წაკითხული.

— ახლა რა ხდება თქვენთან, წერთ რამეს? — ჰკითხა ცოტა მოშინაურებულმა და სასმლისგან გათამამებულმა.

— არა, — თავი გაიქნია წვეროსანმა და უდარდელად გახედა ეშხიან გოგონას, მათ წინ რომ ცეკვავდა, — მეზარება.

— ეს როგორ?

— როგორ და ასე, მეყო რაღაცების ჯღაბნა. დროა, ცხოვრებით დავტკბე. ვინ იცის, რამდენი დამრჩენია?

— მერე, შემოქმედს რომ შეხვდებით, იქ, ზევით და ტალანტებს რომ მოგკითხავთ, რა პასუხს გასცეთ?

— რაც მომცა, ის უკვე გავაორმაგე. ასე რომ, თავი ქუდში მაქვს, — ჩაიხითხითა და სასმელის მოსატანად წამოდგა მწერალი. კოტეც უკან გაჰყვა და თავის გასაჭირზე შესჩივლა. მოსაუბრემ ღიმილით მიუგო:

— იცი, ბიძია, რას გეტყვი? მუშაობისთვის შესაფერისი ადგილის ძებნა რომ დამეწყო, ერთ სტრიქონსაც ვერ დავწერდი. თუ გეხატინება, ხატე! რა მნიშვნელობა აქვს, სადა ხარ, — ბოლო სიტყვები ძალიან ხმამაღლა გაისმა, რადგან ამ დროს მუსიკა შეწყდა. ყველამ კოტესა და მწერალს შეხედა.

— მაპატიეთ, მეგობრებო, ნახვამდის, — დაბნეულმა კოტემ თავისთვის ჩაიბურდღუნა, გასვლისას ერთ ბოთლ შამპანურს დაავლო ხელი და სახლისკენ გავარდა.

* * *

არ გასულა ერთი კვირაც, რომ საქმიან გაზეთებში ასეთი განცხადება გაჩნდა: „ქალაქგარეთ, პრესტიჟულ ადგილზე იყიდება 30 კვ.მ. კეთილმოწყობილი სახელოსნო. იდეალურია მხატვრებისათვის. კოტე“.

* სანამ ვსუნთქავ, იმედი მაქვს (ლათ.).

პაატა ჩხეიძე

სახელდახელო ფიქრები

„უსადაურს“ სადღეგრძელო
დათო მაღრაძის
წიგნის წარდგინებისათვის



თუ ყურადღებით წაიკითხავ და დააკვირდები, მიხვდები, თუ სადაურია „უსადაურო“.

ეს წიგნი ძველ გზას მისდევს თბილისიდან რომამდე, ბოსფორის გავლით (ისიც აქეთ ნამოგზაურები იქნება, გზად თუ ვინმე ჩრდილოელი შემოგხვდა). და მისი მიმოსვლა ისეთივე რთულია, როგორც თვით გზა და ამ გზაზე შემდგარი პოეტის ფიქრები.

ოცდაორი მონახაზი ოსტატის კალმით, ოცდაორი ჩაძირვაა შორეულსა და ახლო წარსულში და იქიდან, იმ ლაბირინთიდან გამოსავალი გზის ძიება.

921-ში ცა რომ მოიქუფრა,
ქალთა პანსიონის მღერდნენ
გოგონები:
„ისე ხარობს“ ნაცვლად,
„ისე გლოვობს“ ტურფა
ჩემო ქვეყანაო, — ბებო იგონებდა.
(„Curriculum Vitae“)

ეს ლექსი წიგნის შუაგულშია, მაგრამ შეგვიძლია აქედან დავიწყოთ, დავიწყოთ გასული საუკუნის მთავარი სატკივარით და მოვყვეთ დინჯად, ალაგ-ალაგ ემოციური აჩქარებებით, გავიაროთ მთელი მეოცე საუკუნე და ოცდამეერთეში გადმოვიდეთ; მაგრამ უნდა განიცდიდე ოცდამეერთეს და უნდა იცნობდე მეოცე საუკუნეს, ცოცხლად უნდა გრძნობდე, რომ წიგნში არაფერი გეუცხოოს, ყველაფერი გამოიცნო, რადგან ყოველი სიტყვა რაღაცას ხომ ნიშნავს და რაღაც იგულისხმება კიდეც. მაგრამ ეგებ უშორეს დროში გადავიდეთ, ნოეს კიდობანს გამოვყვეთ საქართველოსაკენ და აქაც ყურადღება და ცოდნა გვჭირდება, რადგან შესაძლოა ფორმამ დაგვაბნიოს ან მოხდენილმა ფრაზამ გაგვიტაცოს და ნათქვამნაგულისხმევი გამოგვრჩეს.

ჰო, ეს წიგნი ერთი მთლიანი მონოლოგია, ძველი სავალის გავლისას მოდინებული, და ეროვნულ სატკივარს ისე ერთვის პიროვნული, რომ არ გაბრკოლებს და ერთდროულად ხარ უბანშიც და შორეულ გზებზეც, დროშიც და უდროობაშიც და ეროსიც შემოდის როგორც უფაქიზესი ინტიმი.

წვიმს და ვეხები
სავსე მკერდს მკერდით
და ვთლი სალამურს
ლერწმის ღეროდან,
...შენ, დიდი ქვეყნის შვილივით წერდი,
რადგან ამ ვიწრო ქუჩის გჯეროდა.
(„ქოლგა“)

წიგნს ჩუმად კითხულობ და ხმამაღლა წაკითხვა გინდება, მაგრამ ფრთხი, გაიგებენ კი... მეინახენი... აუდიტორია... მსმენელ-მაყურებელი?!

— ალბათ, უფრო, ვერ გაიგებენ!

ლიტ. აგენტი და თანაც ჰაშიში
ევროპელობის არის ნიშანი,
...წყალს მიაქვს ვნება, ძალით აშიშინებული. გვრჩება მარტო ქვიშანი.
(„ამარკორდი“)

ამ, სამოცდარვაგვერდიან, წიგნში გრძელი გზაა გამოვლილი, ფეხით, თვითმფრინავით, აფრებითა და თოლიის ფრთებით, ძველი ქართული პოეზიიდან დღემდე. და პოეტი ისე მოკრებს სიტყვებს, ისე ალაგებს, ისე ახამებს, რომ ტაეპებში სუნთქვა ტრიალებს, სათქმელი მოძრაობს და გამახსოვრდება, თუნდაც არ დაიზეპირო; ოღონდ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, თუ წიგნს დინჯი და გემოვნებიანი მკითხველი შეხვდა. აქ ყოველივეს თავისი ადგილი და დანიშნულება აქვს: მეტრის მრავლობასაც, რიტმის ცვლასაც, რითმის მარცვალთა მატება-კლებასაც, სიტყვის გაჭრასა და გადატანასაც (ორიგინალური ანჟამბემანი). უყვარს, ემარჯვება ხუთ და ექვსტაეპიანი სტროფები და უფრო მეტიც და ნაკლებიც, თუ სათქმელმა ფორმა მოითხოვა, მაგრამ მთავარია, რომ პოეტი სიტყვებს მზრუნველად არჩევს და ამით ემოცია მიაქვს მკითხველთან.

მე ამ სიტყვის თქმას ხრიალით შევძლებ:
კვდომა კი არა
თვალის ლულია...
მანანასავით, გალეულ ძვლებზე,
გეწვეთებოდა „ალილუია“.
(„ჩემს დას — ნანას“)

„უსადაურო“ რთული წიგნია, რთულია, რადგან რთულ დროშია შექმნილი. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ამბობდა ტომას სტერნზ ელიოტი: „ჩვენი ცივილიზაციის პოეტები დღესდღეობით რთულნი უნდა იყვნენ. ჩვენი ცივილიზაცია მომცველია უდიდესი მრავალფეროვნებისა და სირთულისა და ამ მრავალფეროვნებამ და სირთულემ, შერწყმულმა დახვეწილ მგრძნობიარობასთან, უნდა შვას მრავალფეროვანი და რთული შედეგები“.

მეოცე საუკუნის ბოლოს, მეორე დიდი ინგლისელი პოეტი, ჯეფრი ჰილი, გამოეხმაურება; იგი ფიქრობს, რომ ადამიანი რთული მოვლენაა და „რატომ ჰგონით, რომ პოეზია, პროზა, მხატვრობა, მუსიკა უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე ჩვენ ვართ? რატომ უნდა მოგვმართოს მუსიკამ და პოეზიამ გამარტივებული ტერმინებით?.. ვფიქრობ, ხელოვნებას აქვს უფლება — არა ვალდებულება — იყოს რთული თუ ასე სურს“.

პოეტს აქვს უფლება, იყოს რთული, რადგან არ სურს ტირანის სამსახურში დგომა! — ამბობს პოეტი.

დათო მაღრაძე ამ დიდ პოეტთა (და სხვათაც) სულიერი ძმაა და თავის შეხედულება აქვს პოეზიაზე:

დიდი ამბიდან დეტალი არ ჩანს,
დეტალიდან ჩანს
დიდი ამბავი ...
იმ ეპოქიდან სტრიქონი დარჩა
იმ ეპოქაში დაუსტამბავი.

დავიქადნე, მივხვდები-მეთქი, მაგრამ მაინც ეჭვი მხრავს, რომ ბოლომდე არ ვიცი, თუ სადაურია „უსადაურო“. ალბათ იმ გზის ძიებაა, ქართველები რომ ვადგავართ, წუთისოფლის მარადი მგზავრები, და არ ვიცით, საიდან მოვსულვართ ან საით წაგვიღებს ჩვენი ბედისწერა.

P.S. ჰო, კიდევ ერთიც, რა შუაში უნდა იყოს, მაგრამ ბობ დილანის „ლექსებისათვის“ ნობელის პრემიის მინიჭება გროტესკია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ჯალიაშვილი

მარტოსულების საზოგადოება

„სამყაროში, ერთბაშად რომ ეცლება ილუზიები და სინათლეები, ადამიანი თავს ეულად გრძნობს“...

ალბერ კამიუ

„მიჰყევი ქარს და დახვდი უბედურებას, როცა კარზე მოგადგება“, — ასე ფიქრობს მოხუცი სანტიაგო, ჰემინგუეის გამორჩეული პერსონაჟი („მოხუცი და ზღვა“). უბედურების დახვედრა ავლენს ადამიანის ხასიათს, მის არჩევანს. სამწუხაროდ, უბედურებას, რომელიც ათასგვარი სახით, მათ შორის, ყოველდღიური რუტინის, ერთფეროვნებისა და საკუთარი თავის არაფრობის მტანჯველი შეგრძნებით, გვევლინება, ყველა სანტიაგოსავით სიმამაცით ვერ ხვდება, არამედ გარბის, გარბის აპდაიკის ჰარი ენგსტრომივით („ბაჭია, გაიქეცი“) და მაშინ ეკარგება ნამდვილი სახე, ხოლო ის ნიღაბი, რომელსაც შიშისგან გაქცეული მოირგებს, იქნება მისი სულიერი დამარცხების მოწმე მანამ, სანამ წყვდიადში არ ჩაინთქმება. სანტიაგომ იცის, რომ მოციქული პეტრეც მეთევზე იყო და გაჰყვა რა იესოს, „კაცთა მებადურად“ იქცა. ყოველ ადამიანს აქვს ღვთიური მარცვალი, საკუთარი სინანულის ცრემლებით რომ მორწყოს და გაახაროს, თუმცა, გახარების ნაცვლად ივიწყებს და ახმობს. მასთან ერთად აქრობს სიწმინდის ხსოვნასაც, რასაც ხშირად მოჰყვება გაორება, გასამება და იდენტობის დაკარგვა.

რა როლი გვაქვს „ადამიანურ კომედიაში“, რომელსაც ჩვენ თვითონვე ვქმნით ჩვენი ყოველდღიური ყოფით: ქცევით, საუბრით, ფიქრით, წარმოდგენებით, ურთიერთობებით? გარემოებანი გამუდმებით ზემოქმედებენ ადამიანზე, ცვლიან მის აღქმებს, დამოკიდებულებებს, ფსიქიკას, მაგრამ რჩება რაღაც მუდმივად მყარი და უცვლელი, სული, რომელიც უამრავი ტრავმის მიუხედავად, ხელოვნური და ბუნებრივი შოკური კატაკლიზმების გადალახვით ინარჩუნებს მეხსიერებას და ღვთაებრივთან კავშირს არ კარგავს.

თანამედროვე ქართულ პროზაში ეს თემა ისევე აქტუალურია, როგორც მთელი მსოფლიოს ლიტერატურაში. ზურაბ სამადაშვილის შემოქმედების მთავარი ძარღვიც მატერიალურ-სულიერი ქარიშხლებით სავსე სამყაროში უბრალო ადამიანის ბედ-იღბლის გამოხატვაა. ადამიანისა, რომელიც გადარჩენას ცდილობს და რომელსაც გზა-კვალია არევია ამ უთავბოლო წუთისოფელში, უძღებ შვილად ქცეულა და შინისაკენ, საკუთარი თავისა თუ ღვთისაკენ მიმავალი ბილიკები ვეღარ უპოვია.

ზურაბ სამადაშვილი რომანში „მოსალოდნელი მოულოდნელობანი“, ერთი შეხედვით, მარტივი, სადა და „მოსალოდნელი“ ცხოვრებისეული სურათების დახატვით წარმოაჩენს უფრო ღრმა, ზედაპირული და დაუკვირვებელი მზერისთვის შეუნიშნავ ყოფიერების ფუნდამენტურ კანონზომიერებებს. ამ რომანში მთავარია ცოდვა-მადლის, სიყვარულისა და სიძულვილის, სიკეთისა და ბოროტების, რეალობისა და მისტიკურის უცნაური თანაარსებობა, ისევე, როგორც ცხოვრებაში, რომელიც ასეთი ნაცნობი და უცნობია ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც ეგზისტენციალურ პრობლემებზე დაფიქრებულა.

მწერალი ხატავს საკუთარი ეგოს ჩარჩოებში ნებითა თუ ძალადობით დატყვევებულ ადამიანებს, რომელთაც არ ჰყოფნით ძალა სასიცოცხლო სივრცის გაფართოებისა და ჯანსაღი, გარდამქმნელი ჰაერის სუნთქვისა, რადგან „მეს“ გარდა არ სჯერათ „სხვისი“ არსებობისა, იმ სხვისა, რომელიც აუცილებელია სხეულებრივი არსებობის ჩაკეტილი წრიდან გასაღწევად და წმინდა, შეურყვნელი, უანგარიშო სიყვარულისა და ბედნიერების განსაცდელად.

ზურაბ სამადაშვილის რომანში კლასიკური თხრობის სტრატეგიებია გამოყენებული. მას მოსწონს ამბების შეთხზვა და გადმოცემა, ამიტომაც იოლად იყოლიებს მკითხველს, რომელიც სწორედ ამგვარი სადა, გამჭვირვალე თხრობის სტილსაა ჩვეული. ზოგადად, მისი შემოქმედება მრავალფეროვანია, რადგან მწერალი ცდილობს, სხვადასხვა ჟანრის მოშველიებით გამოხატოს, როგორ გარდატყდება სამყარო მისი სულის პრიზმაში. მისი რომანები, მოთხრობები, ლექსები ავლენენ ავტორის სწრაფვას, წარმოაჩინოს ადამიანური ყოფის, როგორც ზედაპირული, იოლად დასანახავ-აღსაქმელი, ასევე, შინაგანი, მხოლოდ სიმბოლურ-ალეგორიულად მისაწვდომი შრეები. მის ამ რომანშიც მკითხველი თანამედროვეობის მაჯისცემას შეიგრძნობს. შეხვდება პერსონაჟებს, რომლებთანაც ბევრ საერთოს აღმოაჩენს და გაუჩნდება სარკეში ნაცნობი სილუეტების დანახვის ილუზია.

რომანის ფაბულა მოზაიკურადაა შედგენილი. ამბები პატარა თავებადაა დაყოფილი. ყოველი თავი დასათაურებულია და ამგვარად ჩარჩოშია მოქცეული. ყოველ თავში რაღაც იწყება და მთავრდება, თუმცა რაღაც მთავარი და არსებითი გრძელდება და ვითარდება. სათაურებით გამოწვეული შეყოვნებები კარგი ხერხია მკითხველის ამოსასუნთქად და შემდგომ ამბებში შესატყუებლად. ეს თხრობას ექსპრესიულობას მატებს. მკითხველი იოლად მიიწევს წინ და ლუკმებად ნთქავს მწერლის შეთავაზებულ პატარა სამყაროებს, რომლებიც მთლიანობაში ერთ საერთო სურათს ქმნიან. ამბები დროსა და სივრცეში ტრადიციული თანამიმდევრობითაა დაწყობილი, ისე, რომ მკითხველს თავგზა არ ებნევა, არც თხრობის ლაბირინთში იკარგება და არანაირი თავსატეხებისა და რებუსების ამოხსნა არ უწევს. უბრალოდ, როგორც კლასიკურ რეალისტურ პროზაში, მწერალი მკითხველს წინ უდგამს სარკეს, არა მხოლოდ საკუთარი თავისა და ცხოვრების დასათვალიერებლად, არამედ გონების გასავარჯიშებლად, დანახულ მოვლენათა გასაანალიზებლად. მსუბუქი, სადა თხრობის მეშვეობით მკითხველი ძალადაუტანებელი სილაღით გაივლის გზას რომანის დასაწყისიდან ბოლომდე, ისე, რომ არ გაუჩნდება გვერდზე გადადებისა და მიტოვების სურვილი.

მწერალი ახერხებს იმგვარად დააინტერესოს მკითხველი, რომ მისთვის მნიშვნელოვანი გახდეს მთავარ პერსონაჟთა ბედ-იღბალი და ამას ყოველგვარი ზედმეტი დრამატიზების გარეშე ახერხებს. რა თქმა უნდა, ეს მოჩვენებითი სიმსუბუქეა, სინამდვილეში მკითხველი ბევრ ისეთ დეტალს ამოიკითხავს, რომლებიც ნაცნობი მოვლენებისთვის განსხვავებულად შეახედებენ და დააფიქრებენ.

მწერალი ერთ ინტერვიუში ამბობს: „ჩემთვის მთავარია, ხასიათი შევქმნა ზუსტი, ნათელი და ადვილი წარმოსადგენი. ეს არის ჩემი ამოცანა. ვცდილობ, ჩემი სიუჟეტი მაქსიმალურად ჰგავდეს ფილმს, კადრების მონაცვლეობა უნდა იყოს. ერთი თავი რომ გრძელდებოდეს 10-15 გვერდზე, ეს ჩემთვის ძილისმომგვრელია, როგორი ლომი მწერალიც უნდა იყოს და რომელი კლასიკოსიც უნდა წერდეს. არის აზროვნების ტემპი, მე ასე მაწყობს და ასე ვწერ. შემიძლია, აღვწერო კიდეც, მაგრამ ასეთი რამეები უკვე არსებობს და თანამედროვე პროზაში ეს უკვე მეორეხარისხოვანია“.

მართლაც, ამ რომანის რიტმი საკმაოდ ჩქარია და ამბებიც კინოკადრებივით იცვლებიან. ასე რომ, თუ რომელიმე კარგი რეჟისორი ხელს მოჰკიდებდა, მშვენიერი ფილმი შეიქმნებოდა. თანამედროვე სამყაროში ხომ ცნობილი რომანების პოპულარობას ძალიან ხშირად მათი წარმატებული კინოეკრანიზაციები განაპირობებს. მწერალი ახერხებს ორიოდე შტრიხით პერსონაჟთა გარეგნობისა თუ ხასიათის თვისებების წარმოჩენას. თხრობის ენაც სადაა, თითქმის მოკლებული ყოველგვარ ორნამენტულობას. იშვიათად ამოყვინთავს ტროპის ისეთი სახე, როგორიცაა შედარება ან მეტაფორა, თუმცა ეს დახატულ სურათებს, მოვლენებსა და ადამიანებს, არაფერს აკლებს.

მწერალი ერთ ინტერვიუში საყვარელ მწერლებად ჰემინგუეისა და აპდაიკს ასახელებს. ამ რომანის სტილისტიკა მოწმობს მწერლის გულწრფელობას, ორივე მწერლის წერის მანერასთან ამჟღავნებს გარკვეულ ნათესაობას, რაც, უპირველესად, ამბების განვითარების დინამიკასა და მხატვრული ქსოვილის სისადავეში მჟღავნდება. მწერალს უყვარს იმპროვიზაცია. ეს მოთხრობილი ამბების ნაირფეროვნებასა და რიტმში მჟღავნდება.

რომანის სათაური ოქსიმორონია, რომელიც თავიდანვე განაწყობს მკითხველს ცხოვრებასთან შესახვედრად, რომელიც სავსეა წინააღმდეგობებით. ყოველგვარი მოულოდნელობა ვიღაცისთვის უკვე გამოცდილებაა, ეს გამოცდილება დალექილია კაცობრიობის ზეპირსა თუ წერილობით მეხსიერებაში, ნახატებსა თუ მუსიკაში. ალბათ, ვეღარავინ მოჰყვება ამბავს, რომელიც სადღაც უკვე არ მომხდარა, მიუხედავად ამისა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაცვეთილი თავგადასავალი ადამიანისთვის ახალია, რადგან სხვისი გამოცდილება იშვიათად გამოდგება ხოლმე საწვრთნელ გაკვეთილად. მოსალოდნელ მოულოდნელობაში ბედისწერაც იგულისხმება, რომელიც თავის სათამაშოებად აქცევს ადამიანებს და მათს ყოველგვარ, ღირებულსა თუ უსაზრისო ფაციფუცს, ზრუნვას, მიზნებსა და გადაწყვეტილებებს უწყალო ამაოებად აქცევს. რეალურად, ადამიანებმა იციან, რა არის მოსალოდნელი, ამას განსაზღვრავს მათი ცხოვრების, საქციელის ლოგიკა, მაგრამ მაინც ისე იქცევიან, თითქოს ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდეთ. იმიტომ, რომ ასეთია ადამიანის მარტივი და თანვე ჩახლართული ბუნება. მომხდარის შემდეგ კი ყოველივე აღიქმება, როგორც მოულოდნელობა, რათა საკუთარ თავს მოუძებნონ გამართლება.



„ყველას თავისი ვნება აშიშვლებს,
ყველას თავისი უფსკრული ყოფნის,
ყველას თავისი საგიჟეთი
დააქვს თვალებით...“

„დღის დასასრული“

ვკითხულობთ ზურაბ სამადაშვილის ერთ ლექსში. ეს სტრიქონები რომანის მთავარ სათქმელს მეტაფორულად გამოხატავენ. რომანის პერსონაჟები ძალდაუტანებლად „შიშვლდებიან“ და მკითხველი მათი სულის უფსკრულებს მიმოიხილავს, რასაც, რა თქმა უნდა, ახლავს იქ ნანახის შემზარაობა და ზიზღი. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მწერალს ამგვარი ფსიქოლოგიური მოგზაურობისთვის არა აქვს მკითხველისთვის შეთავაზებული საგანგებოდ ადამიანური სისასტიკის „ღირსშესანიშნაობანი“. ცხოვრების მდინარე ამ რომანში ნაცნობი მდორე ტემპითა და მღვრიე ელფერით მიედინება ისე, რომ არ აკრთობს ძლიერი მიქცევა-მოქცევანი.

რომანის ამბები ყოვლისმცოდნე მთხრობელის თვალითაა გადმოცემული, ესე იგი, მესამე პირშია მოთხრობილი, თუმცა რამდენიმე ამბავს თვითონ გმირებიც გვიყვებიან. როგორც ჩანს, ეს ის შემთხვევაა, როცა თავნება პერსონაჟები ხელიდან უსხლტებიან მწერალს. როგორც თვითონ წერს: „პერსონაჟები, როგორც კი საკუთარ სახეს შეიძენენ, იწყებენ თავიანთი ჭკუით მოქმედებას და მეც თავიანთ ჭკუაზე მატარებენ. ზოგჯერ მინდა, სხვა რამე გავაკეთებინო, მაგრამ არ გამოდის, სხვანაირი ტიპები არიან“. ეს „ამბავი“ კლასიკურ ლიტერატურაში გამოცდილია და არაერთ მწერალს გამოუთქვამს მსგავსი „საყვედური“ თავისი პერსონაჟების დაუმორჩილებლობის გამო.

რომანში რამდენიმე ოჯახის ბედი და ისტორია წარმოჩნდება აწმყოს გარკვეულ მონაკვეთში. იშვიათია დროული ჩაღრმავებები და ვერტიკალები, რომლებსაც ერისა თუ ადამიანის მეხსიერებაში გავყავართ. ძირითადი დროული ჩარჩო ერთ წელიწადს არ აღემატება, თუმცა წარსულის მცირე შემოჭრებით მკითხველის თვალწინ ცოცხლდება პერიოდი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან XXI საუკუნის პირველ ათეულამდე. სივრცითი ჰორიზონტალიც საქართველოს მასშტაბით (თბილისი-თეთრიწყარო) შემოიფარგლება. მხოლოდ ერთ ეპიზოდში ფართოვდება სივრცითი არეალი, როდესაც ერთი პერსონაჟი ციმბირში მიდის ალმასების ჩამოსატანად, თუმცა მკითხველის წარმოსახვაში დროსივრცეცა და პერსონაჟებიც განზოგადებულ მნიშვნელობებს იძენენ და ზედროულ განზომილებაში გადანაცვლდებიან.

რომანში რამდენიმე ოჯახის ცხოვრება იხატება, რომელთა ფონზე გამოიკვეთება ქართველთა მორალურ-ზნეობრივი სახე და ღირებულებათა სისტემა. მწერალი წარმოაჩენს მამათა და შვილთა თაობას, მათს ურთიერთობებს, მათს შეხედულებათა და ფასეულობათა მსგავსება-განსხვავებებს. ძირითადად, სამი ოჯახი იხატება: დავითისა, მისი ბიძაშვილ-

ისა, კოტე ჟორჟოლიანისა და ნატას ოჯახები.

დავითის პიროვნებაში უცნაურადაა შერწყმული რომანტიკოსობა (რაც ხატვისა და მუსიკის სიყვარულში მჟღავნდება) და პრაგმატულობა (რაც მის ბიზნესმენობაში, ფულის შოვნისა და გამდიდრების, ცხოვრებისთვის ალღოს აღების უნარში მჟღავნდება). დავითის შვილებისა და მისი მეგობრების ტიპაჟები სრულად წარმოაჩენენ თანამედროვე ახალგაზრდობის სპექტრს, მათ პრობლემებს, წარსული ომებით (აფხაზეთის ომი, სამოქალაქო დაპირისპირება) დაღდასმულ ყოფას. დავითის ცხოვრებისეული ფილოსოფია მარტივია: „არ აზოგადებს მოვლენებს, შორს არ იხედება ზოგიერთებივით და არ ირთულებს ცხოვრებას... სიამოვნების მიღებას“. მისი აზრით, „ადამიანები სიტყვებს მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთისთვის ნერვების მოსაშლელად იყენებენ, კარგა ხანია, სიტყვებს სხვა დანიშნულება აღარ აქვთ, ამიტომ წყლის ნაყვას დაემგვანა ადამიანური ურთიერთობები“. დავითი კარგად ერკვევა თანამედროვეობის დეჰეროიზებულ ყოფაში და ამიტომაც ცდილობს, შვილებსაც გაუკვალოს გზა. ამას კარგად მოწმობს ეპიზოდი, რომელიც, როგორც წვეთი ზღვას, ისე აირეკლავს თანამედროვე საზოგადოების ვნებებსა და გატაცებებს. ამ ეპიზოდში ღორის მოკვლა (და არა დაკვლა) ღორზე ნადირობადაა გასაღებული. ნადირობა, ტრადიციულად, სიმამაცესა და გაბედულებასთან, ერთგვარ აზარტთან ასოცირდება. მონადირეები (თუნდაც მხოლოდ ნადირობის პროცესში), თითქოს თავისუფლდებიან საზოგადოების მარწუხებისაგან და ბუნებასთან სიახლოვის გულწრფელ აღტაცებას განიცდიან. ნადირობის „ექსტაზი“ მათ საკუთარ თავს განსხვავებულად ანახვებს და თვითშეფასებას უმაღლებს. ამ რომანში, რა თქმა უნდა, აღარც სანადირო ასპარეზია და აღარც საახალწლო სარიტუალო ღორის დაკვლა, ასე კარგად რომ არის აღწერილი ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ნუგზარ შატაიძის ერთ მოთხრობაში. საგანგებოდ გაწვრთნილ ღორს დავითი თავის შვილს, ეკას, დააცხრილინებს დაპატიჟებულ სტუმართა თვალწინ. საგანგაშო ის არის, რომ ეკასა და იქ დამსწრეთათავის ეს მხოლოდ და მხოლოდ უმტკივნეულო გართობაა და მეტი არაფერი: „ბატონი დავითი უკვე მთვრალია, არც სტუმრები გამოიყურებიან ფხიზლად, ეზოში სხედან, კრამიტით გადახურულ ფაცხაში.

„სანადიროდ უკვე იყავით?“ — კითხულობს ბექა.

„გადვინადირეთ ქედები!“ — იცინის ეკა.

„არა, მეგობარო, არა, მოსაკლავიც და დასაკლავიც თქვენ გელოდებათ! — ბატონი დავითი დანარჩენი სტუმრებისკენ ტრიალდება, — ხალხო, არ წავინადიროთ ცოტა? არ გავუთავისუფლოთ სული ამ საცოდავს? როდემდე უნდა იყოს გამომწყვდელი ბანჯგვლიან სხეულში?“

„აი, ნადირობა ახლა იწყება! — ამბობს ეკა, — მამა, მე ვესვრი რა, ძალიან გთხოვ! მე ვესვრი, რა!“

„ესროლე, გენაცვალე, ესროლე, ვინ გიშლის! — საერთო სიცილ-ხითხითში ყელს ამაყად იღერებს ბატონი დავითი, — მაკაროვი მომართვით, მაკაროვი! მთელ რუსეთს ვიძლევი ერთ მაკაროვში! მომეცით ეგ ოხერი იარაღი! გავათავისუფლოთ საბრალო ღორი ღორული ცხოვრებისაგან და მერე ვიქეიფოთ გათენებამდე“.

მწერლის მიერ ამ უზნეო ადამიანის ბატონ დავითად მოხსენიება ამხელს მის ირონიულ დამოკიდებულებას მსგავსი ადამიანების მიმართ, რომლებიც მოჩვენებითი თეატრალურობით იდეალებს პათეტიკურად აყალბებენ და ფეხქვეშ თელავენ ამაღლებულს, ფოსფორული ნიღბებით ფარავენ თავიანთ ნამდვილ მხეცურ სახეს. ისინი არ არიან კაცისმკვლელები და ავაზაკები, შეიძლება ქველმოქმედებაც გასწიონ, მაგრამ გული სიყალბითა და მზაკვრობით აქვთ სავსე. ისინი საკუთარ კეთილდღეობაზე მოფიქრალი და მიჯაჭვული ნარცისები არიან, რომლებიც ყველასა და ყველაფერს დაუფიქრებლად გასწირავენ, თუკი მათ საზოგადოებრივ სტატუსსა და ქონებას რაიმე საფრთხე დაემუქრება.

საგულისხმოა, რომ ღორის ამგვარ მოკვლას ამ საზოგადოებაში არავინ აპროტესტებს, რადგან სანახაობას პურმარილი მოსდევს და ღორის მწვადები, სიმაძღრე გადაფარავს რომელიმე ბექას წამიერ აღშფოთებასა თუ შეშფოთებას. გულგრილობის ჭაობი ყველას ითრევს, განურჩევლად წარმომავლობისა, სქესისა და ასაკისა.

ლაშასთვის მამამისი დავითი პედარასტია, უიდეალებო და უპრინციპო კაცი, რომელიც შვილს მენატურე 16 წლის ნატას შეცდენისკენ უბიძგებს. ის ამგვარადაც, ირიბად იღებს სიამოვნებას, რადგან შვილი თითქოს ამ საქმეში მას ჩაანაცვლებს. ლაშას არ უყვარს მამამისი, მაგრამ იძულებულია იურთიერთოს. დავითმა ლაშა და დედამისი მიატოვა, სხვა ქალი შეირთო, იმასთან გოგონა ეკა ეყოლა და შემდეგ „ცოდვის გამოსყიდვას“ ლაშას დასაქმებით, დახმარებით, მანქანის ყიდვითა თუ სხვა მატერიალური კეთილდღეობის შეთავაზებით ეცადა. ლაშა და მისი მეგობარი ბექა ცდილობენ მაქსიმალური მიიღონ ცხოვრებისგან, ისინი დავითის დახმარებით იოლად უძვრებიან განსაცდელს, თუმცა საკუთარ თავს ვერსად გაექცევიან, ამიტომაცაა, რომ მეგობარს ღალატს ვერ პატიობს ლაშა და ბექას სადღაც „გააქრობს“.

რომანში არის გულწრფელი და მლიქვნელური, გულუბრყვილო და ეშმაკური ურთიერთობებიცა და სიყვარულიც, გატაცებაც, ცოლქმრული ღალატიც, ეჭვიანობაც და ყოველივე ის, რაც თანმდევია ადამიანების ცხოვრებისა. მწერალი მკითხველს ეთამაშება იმ თვალსაზრისით, რომ იოლი გამოცნობის სიამოვნებას არ აკლებს, თუმცა ბევრი რამ ორმაგად კოდირებულიცაა, რომელთა გამოცნობა შეიძლება უფრო რთული იყოს და გულისხმობდეს მკითხველის გაბედულ ინტერპრეტაციას, სამაგიეროდ, ამგვარად, რომანის ამბებისთვის მეტი სიღრმისა და განზოგადების მინიჭებას. ერთ-ერთი ამგვარი მხატვრული კოდია რომანის დასაწყის ეპიზოდებშივე დახატული ყანჩა, რომელსაც გმირები დაინახავენ, როგორ წვალობს ნაგავში გახლართული: „დაბლა გაუქმებული არხის მშრალ კალაპოტში ჩამდგარა დიდი თეთრი ყანჩა და გააფთრებული ანაბელა ნაპირიდან უყეფს. ნანახით აღფრთოვანებულები ყიჟინით ამხნევებენ ანაბელას, მაგრამ ყანჩა კვლავ გაუნძრევლად დგას. „რატომ არ მიფრინავს?“ — კითხულობს ნატა. „აღბათ, ნაგავში გაიხლართა,“ — პასუხობს ლაშა. არხის ფსკერი, მართლაც, ათასგვარი ხარახურით არის მოფენილი. ყანჩა არავის უნისკარტებს, დგას ბოჩოლასავით, ფრთებს შლის უნიათოდ“. ეს ყანჩა, რეალურად, იმ ადამიანების სიმბოლოა, რომლებიც მიხვდნენ, რომ ცხოვრება ნაგავია, მაგრამ თავი ვერ დაუღწევიათ. ასეთია, მაგალითად, კოტე ჟორჟოლიანი, რომელიც ხშირად კ. ჟორჟოლიანადაა მოხსენიებული. სახელის ამგვარი შემოკლება მკითხველს უჩენს შთაბეჭდილებას, რომ ის არის გაუბედავი და ყოველმხრივ დაჩაგრული ბედისწერისა თუ ადამიანებისაგან. ის მსხვერპლია, რადგან არ შეუძლია, რომ იყოს ჯალათი. ცხოვრება ხომ, სამწუხაროდ, ხშირად სხვანაირ არჩევანს არ უტოვებს ადამიანებს. ნიჭიერ მაგრამ გაჭირვებულ კოტეში უცნაურადაა შერწყმული ყოფითობა და რომანტიკულობა. რომანში უახლესი წარსულიდან ფონად შემოიჭრება მეოცე საუკუნის 90-იანი წლები, გაჭირვება, სამოქალაქო ომი, უცხოეთში გაქცევა. კოტე ჟორჟოლიანმა ყველაფერს გაუძლო.

თბილისი რომანში ქალაქი-უდაბნოა, რომელიც საუკეთესო პირობებს უქმნის ყოველგვარ ადამიანურ სისუსტეს, სიხარბეს, ცოდვას, სიძულვილს, უსამართლობას და სხვა ამგვარებს გასაღვივებლად, გასახარებლად და ასაყვავებლად. თუმცა, არაფერია ამაში განსაკუთრებული. ქალაქი ნებისმიერ დროში იყო ასპარეზი გულგრილობისა და გაუცხოებისა. აქაც ისეთივე მორალურ-ზნეობრივი კანონებია, როგორიც ნებისმიერ სხვა ქალაქში, თუნდაც ბალზაკისეულ პარიზში: „მაშ ეს თქვენი პარიზი ბინძური ჭაობი ყოფილა? — თქვა ეუენმა ზიზღით.

— დიახ და ძალიან უცნაური ჭაობიცაა, — განაგრძო ვოტრენმა, — ვინც შიგ საჭყუმპალაოდ ეტლით შედის, წესიერი ხალხია, ვინც საჭყუმპალაოდ ფეხით მიდის, თაღლითები არიან“ („მამა გორიო“).

„ყველაზე უარესი ის კი არ არის, რომ ჩვენ ირგვლივ სულ ნაგავია, არამედ ის, რომ თავად ჩვენც ამ ნაგვად ვიქეცით. მთელი ბუნებრივი გარემო ნარჩენებად იქცა, ანუ გამოუსადეგარ, უსარგებლო სუბსტანციად, რომელსაც, როგორც გვამს, ვერ ვიშორებთ. ამასთან შედარებით ორგანული საწარმოო ნარჩენების უსასრულო მთები არაფერია. მთელი ბიოსფერო შესაძლოა მალე რაღაც არქაულ ნარჩენად იქცეს, რომლის ადგილიც ისტორიის სანაგვეზეა. თუმცა, თავად ისტორია აღმოჩნდა საკუთარ სანაგვეზე გადაგდებული, სადაც თავს იყრიან არა მხოლოდ ჩვენს მიერ განვლილი, არამედ მიმდინარე მოვლენებიც; ისინი დამთავრებას ვერ ასწრებენ, ისე კარგავენ საზრისს და ეს ყველაფერი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დემპინგის შედეგად, რომლებიც ამ მოვლენებს ჯერ უშუალო მოხმარებისთვის მზა სუბსტანციად აქცევენ, შემდეგ კი ნარჩენად. ისტორიის სანაგვე საინფორმაციო სანაგვე გახდა“ (ჟან ბოდრიარი „ქალაქი და სიძულვილი“).

ზურაბ სამადაშვილი ხატავს ნატას, ლამაზსა და გულუბრყვილოს, ნორჩსა და მომლოდინეს ბედნიერებისას, რომელიც ცხოვრებამ არ აღირსა. აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის შვილს მამა ომში გარდაეცვალა, დედა ავადმყოფობამ შეიწირა, შეყვარებულებმა კი მიაგდეს ნახმარი ძონძივით და ნატა ქუჩის მეძავად იქცა. სადღაც დარჩა მისი ნამდვილი შეყვარებული, მოპირდაპირე კორპუსის წინ მდგარი აწოწილი მომღერალი ბიჭი, რომლის სახელიც კი არ იცის, თუმცა გარემოებათა უცნობი თანხვედრის წყალობით, მოსალოდნელი მოულოდნელობის ლოგიკით, ისინი რომანის ბოლო ეპიზოდებში ერთმანეთს ხვდებიან.

რეალურად, რომანში წარმოდგენილია ჰუმანური იდეალების კრიზისი. ჩვეულებრივი ადამიანები ამას სხვადასხვანაირად აღიქვამენ. კოტე ჟორჟოლიანმა ვერ გაუძლო რეალობის შემოტევას, მას ვერანაირი ნიშნების რწმენა და გონების სიზუსტემ ვერ უშველა თავი დაეღწია წუთისოფლის უსამართლობისაგან, რომელმაც ის აბუჩად აიგდო, მიწასთან გაასწორა. უაზრო ავტოკატასტროფამ (მწერალი ბოლომდე არცერთ ვერსიაში არ არწმუნებს მკითხველს, რამ გამოიწვია ავარია: ლაშას დაუდევრობამ თუ დავითის ეჭვიანობის ნიადაგზე გასროლილმა ტყვიამ, თუ უბრალო მოსრიალებამ), რომელმაც შეინირა მისი ცოლ-შვილი. სასოწარკვეთა კი იმით გადალახა კოტემ, რომ ბედისწერის ცინიკურ თამაშს საკუთარი თამაში დაუპირისპირა. მას სტუმრები აჰყავს აგარაკზე, სადაც ვითომ ცოლ-შვილი ჰყავს, რომლებზეც ზრუნავს. ამგვარად გამოსტაცა საკუთარი თავი ტკივილსა და ტანჯვას და თავისი სიყვარულიც ოჯახის მიმართ გააუკვდავა. ეს ადამიანები დაიხოცებოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა თვითონ კოტე ჩააბარებდა თავის სულს უფალს.

ისინი, რომანის პერსონაჟები, ყველანი, საწყალი მარტოსულები არიან. ამიტომაც იოლად პოულობენ ერთმანეთს, თუმცა ხანმოკლე ურთიერთობები, შეკრებები, ორ ჭიქაზე მიწვევა და სხვა ამგვარები მხოლოდ თავისმოტყუებაა. მათ ვერ უპოვიათ წამალი მარტოსულობის დასაძლევად. მწერალი არც მკითხველს არ მიანიშნებს არანაირ გამოსავალზე. ყალბი დიდაქტიკა მისი საქმე არ არის. მან მხოლოდ შეგვახედა მოვლენებს, რომლის არა მხოლოდ გულგრილი თანამონაწილე, არამედ გულშემატკივარი დამკვირვებელია, სავარაუდოდ, თვითონაც მარტოსული, სხვაგვარად მწერლობას არ შეუდგებოდა და არც სიტყვას მიანდობდა საკუთარ სულს დროში გადასარჩენად. „თანამედროვე სამყაროში ხალხის მასა მარტოსულების თავშეყრაა და სხვა არაფერი,“ — წერს ოქტავიო პასი. მისი აზრით, ადამიანი, „საკუთარი თავის გადალახვის სურვილით ატანილი, ცდილობს გადააბიჯოს მარტოობის კედელს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში კეტავს მას. ყველა ძალმომრეობითა და სიგიჟითაა შეპყრობილი. სული იმსხვრევა ფერებად, ხმებად, გრძნობებად. იქნებ, თავიანთი თავის დავიწყება სურთ? ანდა, საკუთარ ჭეშმარიტ სახეს ავლენენ? არავინ იცის. მთავარია გააღწიო, გაიკვლიო გზა, დათვრე ხმაურით, ხალხით, ფერებით“ (ოქტავიო პასი, „წმინდანებისა და მკვდრების დღესასწაული“).

მკითხველთა საზოგადოებამ რომ უკვე გამოარჩია ეს რომანი, ამაზე მეტყველებს ავტორისთვის 2016 წელს ლიტერატურული პრემია „საბას“ მინიჭება „წლის საუკეთესო რომანის“ ნომინაციაში.

ყოველი მწერალი დაატარებს „სულში ნათელი ცხოვრების ხატს“ (ანდრეი ბელი), რომელსაც აზომებს სინამდვილეს და რაც არ მოსწონს საკუთარი თავისა თუ სამყაროსი, განსხვავებულ პერსონაჟთა ხასიათებში განფენს და წარმოაჩენს. ამგვარად, იწვევს კათარზისს, რომელიც ძალიან ხშირად, ამ შემთხვევაშიც, შეუმჩნევლად და კითხვის, წიგნთან მისტიკური ურთიერთობისას, დუმილითა და სიჩუმით ამოვსებულ განზომილებაში მიმდინარეობს.

წერილს ისევ ზურაბ სამადაშვილის ლექსიდან სტრიქონებით დავასრულებთ:

„თეთრი საღამო მიგვიძღვება
თეთრი ღამისკენ,
თეთრ ღამეს მოაქვს
მათრობელა თეთრი სიმშვიდე
და ღმერთმა უწყის,
ახალი დღე ვის რას მოუტანს...“

სალმან რუშდი:

„თუ მწერალი ხარ, ყველაფრიდან უნდა ისწავლო“

სალმან რუშდის ახალი რომანი „ორი წელი, რვა თვე და ოცდარვა ღამე“, შეიძლება ითქვას, კვლავაც მშვენიერი თავსატეხია გემოვნებიანი მკითხველისათვის. მას შემდეგ, რაც ჩვენმა მკითხველმა უკვე მიიღო ამ რომანის ქართული თარგმანი, ურიგო არ იქნება, თავად მწერლის აზრსაც გავეცნოთ რომანზე. გთავაზობთ ფრანგი ჟურნალისტის, მარკ ვეიტზმანის, მიერ სხვადასხვა ჟურნალიდან ამოკრეფილი ინტერვიუების ნაზავს, სადაც წერილის ავტორი არ უთითებს ჟურნალისტების გვარებსა და სახელებს. სტატია ცნობილ ფრანგულ ლიტერატურულ ჟურნალ „Lire“-ში დაიბეჭდა 2016 წლის სექტემბერში.

მთარგმნელი

ის ნიუ-იორკში გადახვეწილი მწერალია. ცხოვრებამ სრულიად „შემთხვევით აქცია საყოველთაო ინტერესის ობიექტად“ თავის ბოლო ნაშრომით, რომელიც შთაგონებულია გარე-გარე ხეტიალით გამოწვეული შთაბეჭდილებებისა და მითოლოგიის ნაზავით, რითაც კვლავაც ახერხებს მსოფლიოს გაოცებას.

დიახ, სწორედ შემთხვევათა და ცხოვრებისეული კოშმარების შელამაზება-გაშალაშინებით ახერხებს მწერალი საკუთარი სამყაროს შექმნასა და ფორმირებას. არა იმდენად კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტებით, არამედ მათში მნიშვნელოვანის დანახვითა და მისი თანამედროვე ადამიანის დონეზე ტრანსფორმაციის გზით. სალმან რუშდი ამ ლოგიკის მიმდევართა შორის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია თანამედროვე ლიტერატურაში. მისი წიგნი „ჟოზეფ ანტონი“, რომელიც ნაწილობრივ ავტობიოგრაფიულია და იმ წლებს ასახავს, რომელიც ავტორმა, 1989 წლის „სატანური ლექსების“ გამო ირანული რეჟიმის მიერ გამოტანილი განაჩენის წყალობით, დევნილობაში გაატარა. წიგნი, თავისთავად, მხატვრული ღირებულებებით ნაკლებად მიიქცევდა ყურადღებას, რომ არა ისლამური პოლიტიკის მიერ ავტორით ზედმეტად დაინტერესება. მეტი ყურადღება გვმართებს! იქნებ, ნიშნავს იმას, რომ სწორედ მაშინ, როცა ცხოვრება ერთგვარად „გლობალური სამყაროს“ საამურ ხანაში კეკლუცობს, რაღაც ფეხაკრეფით გვიახლოვდება და მიუხედავად იმისა, ეს ერთი კაცის მარგინალიზაციის შემთხვევაა, მაინც მომავლის მაცნეა.

შეიძლება ითქვას, რომ სალმან რუშდი გასული საუკუნის 90-იანი წლების პირმშოა. იმ დროისა, როცა უმრავლესობა ახლადმოპოვებული თავისუფლების წიაღში სარგებელს ეძებდა. ის კი ჯერ კიდევ უხილავ ტერორიზმს, რომელიც დღეს ასე ღიად მოქმედებს, ჯერ კიდევ მაშინ უპირისპირდებოდა და, ამიტომაც, იძულებული იყო ფარულად ემოქმედა. ეს ისტორიული პარადოქსი უცნაურ პიროვნულ ოქსიმორონს (ერთმანეთის საწინააღმდეგო სიტყვების შეხამება) აყალიბებდა მისი სახით: ერთდროულად ოთხმოცდაათიანელთა შორის ყველაზე ემბლემური, საოცარი არამიწიერი ოპტიმიზმით გამორჩეული მწერალი და, იმავდროულად, ავტორი ისეთი რომანებისა, რომლებიც დღესაც თანამედროვედ იკითხება. მის ახალ რომანში ორი ძირითადი ხაზია. პირველი და უფრო წარმატებული ეს ათასწლოვანი დაპირისპირებაა ადამიანური განტოლების ორ მდგენელს შორის — ცხოვრების ტრფიალსა და ადამიანურ სიძულვილს შორის, რომელსაც განასახიერებენ ისტორიული პერსონაჟები — ავეროესი, იგივე იბნ რუშდი (XII საუკუნის ანდალუზელი ჰუმანისტი ფილოსოფოსი) და სპარსული წარმომავლობის მისტიკოსი სუფი, რომლისთვისაც მთელი ფილოსოფია ჭეშმარიტი რწმენის ღალატია.

რომანი იწყება იბნ რუშდის ცხოვრებისეული სინამდვილიდან აღებული ეპიზოდით — მისი შერისხვით, ანდალუზიურ შორეულ პატარა ქალაქ, ლუსენაში ავეროესის გადასახლებითა და საუბრებით სიყვარულზე გამოგონილ გმირებს — ფილოსოფოსს, რომელსაც აკრძალული აქვს ფილოსოფოსობა და ვითომ მუსლიმ, ფარულად მორწმუნე ებრაელს — დუნიას — შორის. ქალაქში, ძირითადად, ცხოვრობენ ებრაელები, რომლებიც იძულებულნი არიან, შეფარვით ატარონ თავიანთი მრწამსი. რომანის მეორე ფრონტი დღევანდელი ნიუ-იორკია, სადაც ავანსცენაზე გამოდიან „უცხოელებად“ შერაცხული პერსონაჟები — მებაღე, რომელიც მინას უბრუნდება, BD-ს ასპირანტი-ავტორი, რომელიც ერთ-ერთ მონსტრ პერსონაჟს ებრძვის და სხვა. ეს ორი ხაზი ერთმანეთს კვეთს მაშინ, როცა გმირები გააცნობიერებენ, რომ ისინი არიან იბნ რუშდისა და დუნიას შთამომავლები, სინამდვილეში კი ჯინები, რომლებიც დედამიწაზე ბრუნდებიან XXI საუკუნეში, რათა კოსმიურ ომში დაამარცხონ გაზალისა და ზუმურუ დიდის მოწაფეები. სწორედ მათი სტრატეგია და საუბრებია დღევანდელი ტერორიზმის გამოძახილი. ეს რომანის ყველაზე გაბედული მონაკვეთია, რაც, ერთგვარად, ეპოქის გამოწვევაცაა — ფიქციური რომანის შექმნა, რომელიც გაბედულად ამბობს სათქმელს. რუშდის ფილოსოფიური იგავები „კორდუ ნიუ-იორკში“, „ორი წელი, რვა თვე და ოცდარვა ღამე“, ოვიდიუსისა და ინდური მითოლოგიიდან ნასესხები მაგიური რეალიზმის კანონთა გამტარებელი „ფანტასტური ჰეროიკა“ კოსმოპოლიტიზმის საუცხოო მანიფესტებადაც შეიძლება, ჩაითვალოს.

მისი რომანი „ორი წელი, რვა თვე და ოცდარვა ღამე“, რომელიც ათას ერთი ღამის ასოციაციას იწვევს, ერთდროულად კონტრაპუნქტიცაა და უკვე მომხდარის გაგრძელებაც. ეს არის მოგონილ სინამდვილესთან მიბრუნება, ზღაპრული თავისუფლებისა და დაუსრულებელი მეტამორფოზების ძიება; აქვეა „ბრექსიტი“ და საყოველთაო საყოფაცხოვრებო პოპულიზმი; კოსმოპოლიტური ქალაქების საკეთილდღეოდ მოგონილი მანიფესტები ლონდონსა (სადაც ის ადრე ცხოვრობდა) და ნიუ-იორკში (სადაც ის 1999 წლიდან ცხოვრობს). რა სარგებელი მოაქვს გლობალიზაციას? ეს ნაგინები „დიადი ცვლილებები“ რუშდისათვის მუდმივი მეტამორფოზების წყაროა, რაც, მისი აზრით, რომანს და, ზოგადად, მხატვრულ ლიტერატურას ყოველთვის ახალ-ახალი გრძნობებით ახელებს.

— ის, რითაც ეს რომანი გვაღელვებს, მისი ჰიბრიდული სახეა. წიგნი, ერთდროულად, აღმოსავლური ზღაპარიცაა და იდეური, თანამედროვე ურბანული რომანიც. თუმცა, უპირველესად, ეს არის წიგნი, რომელიც აღწერს მსოფლიოს საკუთარ თავთან ჭიდილს, იმ მსოფლიოსი, რომელმაც არ იცის — ინგრევა თუ რეფორმირდება.

— ძნელია ერთთავად ცვალებადი სამყაროს აღწერა, რადგან წმინდა პოლიტიკურ ასპექტს მიღმა ისედაც ცხადია, რომ ჩვენ არა მარტო მკვეთრი ცვლილებების ეპოქაში გვიწევს ცხოვრება, არამედ — გამორჩეულად აქსელერებულ ყოფაშიც. სწორედ ეს დაძაბულობა და დაჩქარებული ტემპია გამაოგნებელი. ეს არ ითქმის მხოლოდ პოლიტიკაზე, რომელიც, სხვათა შორის, სწორედაც რომ ასეთი ყოფის გამოძახილია. მამაჩემი 1910 წელს დაიბადა და 1987-ში გარდაიცვალა. მას შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი გავიდა. დღეს ცოცხალი რომ იყოს, გაუგებს რამეს ჩვენს ყოფას?! გამოწვევა კი ისაა, დაიწეროს წიგნი, რომელიც თემის უნივერსალობითა და განფენილობით ერთგვარ კავშირში და, ამასთან, ბევრად აღმატებული იქნება მიმდინარე მოვლენებზე. სულაც არ მინდა, ისლამისა და ქრისტიანობის ომის ეპიზოდებით შემოვიფარგლო. ვფიქრობ, ფილოსოფიური ხასიათის დაპირისპირება, რომელიც დრამატიზებულ ფორმას იძენს რომანში იბნ რუშდის (ავეროესს) და მის მოწინააღმდეგე ალ-გაზალის შორის და რომელიც დღეს ასე აქტუალურია ისლამურ სახელმწიფოში, ყოველთვის არსებობდა და იმ სახით, რა სახითაც დღეს არის, კიდევ ბევრ საუკუნეს გაჰყვება. მახსოვს, წერა რომ დავიწყე, ისლამური სახელმწიფოს არსებობაზე არავინ ლაპარაკობდა და მილიტარისტული კონფლიქტიც წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ, მაგრამ მუტაციები, რომელსაც ჩვენ გავდივართ, მარტო პოლიტიკის გამოვლინება როდია. დღეს ვიღას ახსოვს, რა არის დისკი და ფაქსი?! ტექნოლოგია, რომელმაც შეცვალა სამყარო, ჩვენზე მეტი სისწრაფით ტრანსფორმირდება. ისეთი არასასიამოვნო გრძნობა გვრჩება, თითქოს მასთან ადაპტაციას ვერ ვასწრებდეთ. ადამიანში ყოველივე ეს ბევრ გაუგებრობასა და ათასგვარ ეჭვს ბადებს. საიდან გაჩნდა მსგავსი „უცნაურობები“ წიგნის სრულიად ფანტასტიურ მეორე ნაწილში? ძალიან მინდოდა, მიმეგნო წერის ისეთი ხერხისთვის, რომელიც ამ უცნაურ, გიგანტური მეტამორფოზების სამყაროში მცხოვრები ხალხის უცნაურობებს დაგვანახებდა.

— „ორი წელი, რვა თვე და ოცდარვა ღამე“ საკვირველებათა ჟანრის ნამდვილად აქტუალური რომანია, მაგრამ სერიოზული ლიტერატურის, ეგრეთ წოდებული არაფიქციური ლიტერატურის, დომინანტურ ტენდენციებთან მიმართებაში ერთგვარად დინების საწინააღმდეგო მოვლენადაც კი შეიძლება, მივიჩნიოთ. ლიტერატურულ რეპორტაჟებში ხომ, ძირითადად, ისეთი წიგნებია წახალისებული, როგორიცაა კარლ ოვ კნაუსგაარდის ავტობიოგრაფიული რომანები, რომლებიც ლამის მსოფლიო ბესთსელერებად იქცნენ.

— დიახ, ეს რომანი თავისთავად აღმოჩნდა ამ ყველაფრის საპირისპირო. ისევე — როგორც მე. სხვათა შორის, თუ მკითხავთ — ჩაფიქრებული მქონდა თუ არა ეს წიგნი, როგორც ავტობიოგრაფიული რომანი, მხრებს ავიჩეჩავ, რადგან ჩემი ცხოვრება სრულიად შემთხვევით „გაეხვა“ ინტერესების სფეროში და ის წიგნი, რომელსაც „ჟოზეფ ანტონი“ დავარქვი, თავად აღმოჩნდა ჩემთვის საჭირო იმ დარტყმის მერე. ეს რომანი ზუსტად იმ ტენდენციებს ეხმაურება, რაზედაც თქვენ მიმანიშნებთ — იმ ავტობიოგრაფიულ, არაფიქციურ ლიტერატურას, რომლის ნარატიული ენერგია რომანისაკენ იხრება. ეს ძალიან საჭირო, თუმცა ძნელად დასაწერი წიგნი იყო და როდესაც მასზე მუშაობა დავასრულე, მივხვდი — იმ თემებს მივუბრუნდებოდი, რისთვისაც მწერლობა მინდოდა და რომელსაც მემუარებთან არაფერი აქვს საერთო.

— „ჟოზეფ ანტონი“ ეს არის მწერლის ინიციაცია ტერორისტულ სამყაროსთან, რომელშიაც ჩვენც გვიწევს ცხოვრება, იმ ხალხთან, ვინც მსოფლიოს თვალწინ ტუსაღად გაქციათ. მათი არსებობა ფიქციაა? აქ ხომ მხატვრულობა ნაკლებად იგრძნობა?!

— ტერორიზმით ჩემი დაინტერესება ბევრად ადრე დაიწყო, ვიდრე ისლამიზმი გამოიკვეთებოდა. ახალგაზრდობაში, ლონდონში სწავლისას ერთთავად აფეთქებდნენ სუპერმარკეტებსა თუ თავშეყრის სხვადასხვა ადგილს. ძალიან მაკვირვებდა ინგლისელთა რეაქცია. „რას იზამ, ასეც ხდება“ — ისმოდა ირგვლივ. ეს ხომ უარს, ტერორის ლოგიკასთან დათმობაზე წასვლას ნიშნავდა?!. აღნიშნული პერიოდი ერთგვარი შეგირდობის ხანა იყო მანამ, სანამ საკუთარ თავზე არ ვიწვნიე მათი არსებობა, რამაც ძირეულად შეცვალა ჩემი ცხოვრება. როცა ეს დამემართა, ცივი ომი მთავრდებოდა. მანდელას გათავისუფლება უდიდესი იმედისმომცემი მოვლენა იყო თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე. მაშინ ოპოზიციის მომხრეთა რიგებს შევუერთდი, რამაც, სხვათა შორის, ჩემი ცხოვრება კიდევ უფრო დაამძიმა. თუ მწერალი ხარ, ყველაფრიდან უნდა ისწავლო. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბევრად ადრე ვიცხოვრე იქ, სადაც ახლა ხალხი ცხოვრობს. ამ თვალსაზრისით, სწორედ ეს წლები მიმაჩნია შეგირდობის პერიოდად.



— როგორ მიხვედით „ორ წლამდე, რვა თვემდე და ოცდარვა ღამემდე“?

— რაღაც ისეთი უნდა დამეწერა, თავად რომ გამოვიგონებდი და, თანაც, უნდა მიმეგნო ათვლის იმ წერტილისთვისაც, საიდანაც ყველაფერი თავისით წავიდოდა... ისეთი წიგნები და ამბები მჭირდებოდა... ეს ... ...



და, წიგნსა და თავგადასავლებს რომ შემაყვარებდა. ვგულისხმობ აღმოსავლურ იგავებსა და, უპირველესად, ათას ერთი ღამის ზღაპრებს თავისი მარადიული თემებით და, არამარტო მას; მაჰაბჰარატას (Mahabaharata) საგას; იგავებს ცხოველებზე, ქაშმირელი XII საუკუნის ავტორის, სომადევას, საგას კათაზარიტსაგარას (Kathasaritsagara), რომელიც ათას ერთ ღამეზე ბევრად გრძელია და თვრამეტ წიგნს მოიცავს... მე ამ წიგნებზე გავიზარდე. ეს იყო ჩემი პირველი ზიარება მხატვრულ ლიტერატურასთან. მოგვიანებით, როცა დასავლური ლიტერატურა აღმოვაჩინე, დავეწაფე ისეთ ავტორებს, რომლებთანაც სულიერ სიახლოვეს ვგრძნობდი — კაფკა და ბულგაკოვი. ჩემს ნაწერებში იგრძნობა ყოველივე ეს. როცა „ჟოზეფ ანტონი“ დავასრულე, ჩემ თავს ვუთხარი — იქნებ სცადო ამ ყველაფერთან მიბრუნება-მეთქი. მაინტერესებდა, რა გამომივიდოდა. მეშინოდა, ფოლკლორში არ გადავვარდნილიყავი. ისეთი თანამედროვე მხატვრული ნაწარმოები უნდა შემექმნა, სადაც აწმყოზე წარსულის გამოცდილებით ვილაპარაკებდი. „რა იქნება, ამ ძველი ისტორიებით გაძეძგილი სკივრით ნიუ-იორკში რომ ჩავიდე?“ ამ თვალსაზრისით, ეს გენეზისის ფონდი იქნებოდა. ჰოდა, გავხსენი სკივრი და ვცადე...

— წიგნში ხშირად იმოწმებთ ბერძნულ და ჩრდილოურ მითოლოგიას, მიმართავთ ჯინებს... ამ ყველაფერს ქვეყნის აღსასრულის ატმოსფეროში შევყავართ, თუმცა ისეთ აღსასრულში, სადაც ყველანაირი საოცრება შეიძლება, მოხდეს. ერთგვარი პოლითეისტური აპოკალიპსია თითქოს, განკითხვისა და მორალის გარეშე.

— ბერძნულ-ჩრდილოური მითოლოგიური ღმერთები განსაკუთრებული სათნოებითა და უწიკვლოებით როდი გამოირჩევიან. ისინი მორალისტები კი არა, ყოვლისშემძლენი არიან, შესაბამისად, მხოლოდ მოითხოვენ და არაფერს ქადაგებენ. რაც მათ აადამიანურებს ისაა, რომ ჩვენსავით იქცევიან, ოღონდ მეტი გაქანებით. რაც შეეხება ჯინებს — ისინი ყველას ისლამური ტრადიციების გმირებად მიაჩნია, მაგრამ ეს ასე არაა. მაგალითად, არამუსულმანურ ინდოეთში დღესაც აქტუალურია ჯინების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. რელიგიასთან მათ არანაირი კავშირი აქვთ. ბევრი მოთხრობის გმირი ჯინი ზოგიერთი ადამიანივით სკეპტიკურად უყურებს ღმერთის არსებობას. მაგიური სამყაროს არსებობა სულაც არ გულისხმობს სამოთხეს. ეს სულ სხვა სინამდვილეა, რომელსაც ღმერთებთან ვერსად შეხვდებით. ყველაფერმა ამან საშუალება მომცა, ყოველგვარი მორალისტობის გარეშე, ფანტასტიკაში სეკულარულად შევსულიყავი. ჯინები ჩვენსავით კარგებიც არიან და ცუდებიც. ეს თამაშია. სულ ვეკითხებოდი საკუთარ თავს — რას დაემსგავსება ის ხალხი, ვინც დიდხანს ცოცხლობს და დიდი არაფერი აქვს საკეთებელი? არც ფილმები, არც წიგნები, არც ტელევიზორი და კომპიუტერი... ან სულაც არ მუშაობენ. მაშ, როგორ გაჰყავთ დრო? ერთად წვანან და ურთიერთმოქმედებენ. ესღა თუ დარჩენიათ... და თუ ისინი ჩვენზე უფრო ღონიერნი არიან, ჩვენზე უფრო შეზღუდულნიც იქნებიან და ადამიანებთან მათი ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი ფორმა ეჭვით ცხოვრებაა. უბრალოდ, ჩვენ უფრო საინტერესონი ვართ, ვიდრე ისინი.

— მინდა, ისევ უცნაურობის თემას დავუბრუნდე მწერლობაში. რაღაც უფრო გათანამედროვდა ეს ჟანრი.

— ჰო, ეს მამოძრავებელი ღერძია. ბევრჯერ გადავიკითხე კაფკა. რამაც „მეტამორფოზებში“ დამაინტერესა, ნარატივის ახსნის ყოველგვარი მცდელობის არარსებობაა. არსებობს მოცემულობა და მორჩა. რაღაც ამდაგვარის გაკეთების სურვილი გამიჩნდა. მოვიგონე ერთი კაცის თავგადასავალი, რომელიც, ყოველგვარი ახსნის გარეშე, იწყებს მიწიდან რამდენიმე სანტიმეტრით მაღლა სიარულს და როგორია ამ ფაქტზე ხალხის რეაქცია.

— ეს თქვენს ერთ რომანს მაგონებს „მიწა ჩვენს ფეხებქვეშ“. იმ წიგნშიც გაქვთ ამდაგვარი თემა — თვითმფრინავიდან დანახული სამყარო.

— დიახ, ეს იმ მიწის თემაა, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით, ვეყრდნობით და რომელსაც, სხვათა შორის, წიგნიც ეკუთვნის. ეს ჩემთვის, ორგზის ემიგრანტისთვის (ინდოეთიდან დიდ ბრიტანეთში და იქიდან ნიუ-იორკში), ყოველთვის პრობლემური თემა იყო. რომელ მიწას ეკუთვნის წიგნი? რომელი მიწის შვილი ვარ თავად? ეს კითხვა აწვალებს ყველა ჩემ წიგნს და პასუხიც ყოველთვის გარემოებიდან გამომდინარე მაქვს. ისეთმა მწერალმა, როგორიც ფოლკნერია, ზუსტად იცის, სად დგას. მან, პრუსტის, ფილიპ როთისა და ბევრი სხვა მწერლის მსგავსად, იცის, რომელ მიწაში აქვს ფესვები თავის წიგნებიანად. მე კი მომწყვიტეს ჩემს ბუნებრივ მიწას. სწორედ აქედან გაჩნდა იდეა მიწაზე ფეხდაუდგმელი კაცისა, რომელიც ვერც კი აცნობიერებს, რა ხდება მის თავს. მტკივნეული კი ისაა, რომ ის პროფესიით მებაღეა. მე მსოფლიოს ყველაზე ცუდი მებაღე ვარ. ეს ის საქმიანობაა, რომელიც არანაირად მეხერხება. მეტიც — იმასაც კი ვერ ვხვდები, რა უნდა ვაკეთო. დავინტერესდი ისეთი კაცის შექმნით, ცხოვრების დასაწყისში მებაღეობას რომ მისდევდა და მერე აუკრძალეს მიწასთან შეხება. ეს ვოლტერის ცნობილ ფრაზას მახსენებდა „კანდიდიდან“ — „ყველამ თავის ბაღს მიხედოს“ — რაც გულისხმობდა: გაექეცი ყველას, დაუბრუნდი სახლს და შენი საკეთებელი აკეთე. ეს მოწოდება ჩემთვის პოზიტიურ ჭრილში გადავიტანე და ამ მიმართულებით დავიწყე ფიქრი: მებაღე, რომელსაც აღარ შეუძლია სახლში დაბრუნება და თავის საქმეს მიწაზე ფეხდაუდგმელად აკეთებს. ასე დაიძრა ეს წიგნი.

— როგორ გაჩნდა ამ იდეის დაკავშირება ევროესთან?

— რამდენიმე ფურცელი დავწერე იბნ რუშდიზე. პარალელურად ვწერდი მეთორმეტე საუკუნის ესპანეთზეც ისე, რომ წარმოდგენა არ მქონდა, რა გაგრძელება შეიძლებოდა, მოჰყოლოდა მას. კავშირი თანდათან გამოიკვეთა — როცა რომანის დასაწყისში დუნია, ებრაელი ქალი, შევახვედრე ავეროესს და, რომელიც თავს ჯინად მიიჩნევდა. რაღაც უფრო მძაფრი რამ ვიგრძენი, ვიდრე იმპროვიზაციაა. თავდაპირველად სტრუქტურულმა პლანმა ჩამითრია, რამაც ძალიან შემაშინა. არადა, წიგნის დაწყებამდე აუცილებლად უნდა მომეძებნა ამ ჩანაფიქრის გაშლის ფორმა. დღეს კი, არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემ თავს ამ გზით სიარულის უფლებას ვაძლევ. წამიყვანოს, საითაც წამიყვანს. ზოგიერთი მწერალი ძალიანაც კარგად ართმევს თავს ამ ფორმას და მხოლოდ ინსტინქტების წყალობით მიიწევს წინ, გზადაგზა აცლის ხმელ ტოტებს იქამდე, სანამ სასურველ ტექსტს არ მიიღებს. ასეთი რამ აქამდე არასოდეს მიკეთებია, მაგრამ ამ რომანის წერისას აღმოვაჩინე, რომ ამ გზით მივდიოდი.

— თქვენი რომანის პერსონაჟების უმრავლესობა ებრაული წარმომავლობის ხალხია...

— მეთორმეტე საუკუნის ესპანეთზე წერისას, სადაც იბნ რუშდი მოხვდება, ამას ვერ გავექცეოდი. სწორედ ამ სოფელში მცხოვრებ ებრაელთა სარწმუნოებრივმა მდგომარეობამ შთამაგონა ეს ხაზი. ფილოსოფოს კაცს ფილოსოფოსობა ეკრძალება იმ ებრაელებთან კონტაქტში, რომლებიც იძულებით ამბობენ უარს საკუთარ რჯულზე. სხვათა შორის, ეს რეალობიდან აღებული ფაქტია. იბნ რუშდიც გადასახლებაშია ესპანეთის სოფელ ლუსენაში, სადაც მოსახლეთა უმრავლესობა ისლამის იძულებითი მიმდევარია. იბნ რუშდთან მიმართებაში საინტერესო ის არის, რომ, საბოლოო ანგარიშით, მისი გავლენა ევროპაზე უფრო დიდია, ვიდრე მუსულმანთა ტრადიციებზე. მაგალითად, წმინდა თომას აქვინელი არისტოტელეს იდეებით იყო გაჯერებული ისევე, როგორც ფლორენციული პირველი რენესანსისდროინდელი ჰუმანისტები. ამით იმის თქმა მინდა, რომ ის ბევრად უფრო ძლიერი იყო სხვათა ტრადიციების დამკვიდრებაში, ვიდრე საკუთარი ქვეყნისა. ასე რომ, ებრაელთა ცხოვრებით დაინტერესება თავისთავად მოხდა. ამას გარდა, წიგნში მოქმედება ნიუ-იორკში ვითარდება და, შესაბამისად, ებრაელთა თემა ამ მხრივაც აქტუალურია.

— თქვენ ნიუ-იორკში 1990 წლის ბოლოდან ცხოვრობთ. ალბათ ამერიკული ლიტერატურის ქურაში ხართ გამობრძმედილი თქვენც და ბრიტანელი მწერლების ის თაობაც, რომელსაც თქვენ მიეკუთვნებით. ასეა?

— დიახ, მეც და ისინიც. ნიუ-იორკში ცხოვრება ყოველთვის მინდოდა. იქ პირველად 24 წლისა მოვხვდი. ანალგაზრდა, ყოველმხრივ წარმატებული ნიუ-იორკი, სადაც ფინანსურად წელში გამართვა შეიძლებოდა, მიმზიდველ ქვეყნად მიიჩნეოდა ხელოვანთათვის. მერე, როდესაც იქ ისევ დავბრუნდი, არ ვიცოდი, რამდენ ხანს დავრჩებოდი. ექვსი თვით ვფიქრობდი შეყოვნებას, თუმცა სამუდამოდ დავრჩი. რა თქმა უნდა, ნიუ-იორკი გამორჩეული, მდიდარი ქალაქია, რომლის მომავალიც სულ მაინტერესებს. რაც შეეხება ამერიკული ლიტერატურის გავლენას ჩვენზე... მარტინ ამი ბილოუს დიდ ზეგავლენას განიცდიდა, იან მაკეევნიც. მე უფრო შორიდან მოვდივარ — მარკ ტვენის ჰეკლბერი ფინიდან. კურტ ვონეგუტი და თომას პინშონიც დიდები იყვნენ, ებრაელი მწერლებიც — როთი, მალმუდი და ბილოუ. დაბოლოს, ზანგური ლიტერატურა — დღესაც დიდი თაყვანისმცემელი ვარ რალფ ელისონის უნიკალური რომანისა „ვის უმღერ შენ, უჩინარო კაცო?“ ძალიან მომწონს ორმაგად რადიკალი მწერალი ჯეიმს ბელდუინი — როგორც შავკანიანი და როგორც გეი. ეს „ამერიკულობა“ ანუ მულტიკულტურულობა, რომელშიც შენი საკუთარი კულტურული ფასეულობებით შედიხარ, ყოველთვის მხიბლავდა — განსაკუთრებით კი თავისუფლების ენად წოდებული ამერიკული ინგლისური. ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისური ენის ათამდე ვარიანტი არსებობს. გააჩნია, საიდან ჩამოხვედი და სად ცხოვრობ. ამ დონის ინტერესები ბრიტანულ ლიტერატურასთან მიმართებაში იმხანად არ გამჩენია.

— როგორც თქვენ ამბობთ, ყველაფერმა ამან განაპირობა თქვენი ლიტერატურული კრედო?

— დიახ, კინოსთან ერთად — განსაკუთრებით ამ ახალმა კინოტალღამ, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემზე. იყო ისეთი დროც, როცა ფილმად გადაღებულ „სულელი პიერო“-ს დიალოგებს ზეპირად ვამბობდი. სწორედ 60-იანი წლების ლიტერატურამ და კინომ, თავისი არსით ყველაზე კოსმოპოლიტურმა ხელოვნებამ, განაპირობა ჩემი მწერლად ჩამოყალიბება. დღესაც კოსმოპოლიტიზმით საზრდოობენ ისეთი ამერიკელი მწერლები, როგორებიც არიან ჯუმპა ლაჰირი, ლონდონში დაბადებული ბენგალელი მშობლების შვილი, და დომინიკის რესპუბლიკიდან ჩამოსული ჟუნოტ დიაზი... ყველას თავისებური ნარატივი შემოაქვს ამერიკულ ლიტერატურაში. მიმაჩნია, რომ ტრანსნაციონალურმა ლიტერატურამ ბევრი შემძინა. სწორედ აქ, ამ წიაღში, იშვა ეს წიგნიც, აქ გამიჩნდა ჩემი სკივრის ამობრუნებისა და დიდი მეტამორფოზების ეპოქაში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილი.

თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენგსტონ ჰიუზი დაიბადა 1902 წელს კოპლინში (მისურის შტატი), შავკანიანი კომერსანტის ოჯახში. სწავლობდა ფილადელფიის უნივერსიტეტში, აქტიურად მონაწილეობდა აფრო-ამერიკელების ბრძოლაში მოქალაქეობრივი უფლებებისთვის. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებსა და პუბლიცისტურ წერილებს. რომანისთვის — „მაინც გავიცინებ“ — მიღებული აქვს რამდენიმე ლიტერატურული პრემია.

ჰიუზის ენა უბრალო, უშუალო და მოქნილია, არ ერიდება სლენგებისა და ჟარგონების გამოყენებას. გარდაიცვალა 1967 წელს ნიუ-იორკში.

მთარგმნელი

ლენგსტონ ჰიუზი

წითელი ვარდები

მე ახლა ველი მხოლოდ გაზაფხულს,
როცა იზრდება ტიტები ველად:
დიახ, ტკბილსა და ტურფა გაზაფხულს,
როცა იზრდება ტიტები ველად,
რადგან, ვაითუ ვემსხვერპლო ზამთარს,
ხომ გამითხრიან თოვლის ქვეშ საფლავს.
ღმერთო, თოვლის ქვეშ
აბა, რა მინდა?!
თოვლის ქვეშ,
სადაც სიცივე გფარავს!
დასტურ, სიკვდილი საშინელია
და სატანჯველად ხომ ესეც კმარა?!
მე ახლა ველი მხოლოდ გაზაფხულს,
ველზე წითელი ვარდების ფართქალს,
მე ახლა ველი მხოლოდ გაზაფხულს,
ველზე წითელი ვარდების ფართქალს.
ხომ მოუხდება ნაზი საფარი
განსვენებული გოგონას საფლავს.

მშვიდი ზღვა

დღეს ზღვაა მშვიდი,
საოცრად წყნარი,
იმდენად წყნარი.
კარგი იქნება,
ამ სიმშვიდეს
ესტუმროს ქარი.

სნეული ოთახი

სიჩუმე სუფევს
სნეულ პალატში,
სადაც საყვარლებს —
სიკვდილ-სიცოცხლეს —

სარეცელს უყოფს
ქალი მდუმარი...
და ყოველ მათგანს
მოსავს ზეწარი,
ავადმყოფობის თეთრი სუდარა.

თვითმკვლელის ჩანაწერი

მდინარის ბაგემ
მშვიდმა და გრილმა
ამბორი მთხოვა...

აპრილის წვიმის სიმღერა

ნება მიეცი წვიმას ამბორგყოს,
ნება მიეცი დაგაპკუროს
ვერცხლის წვეთები
და გინანაოს
თავსასთუმალთან....
ქვაფენილებზე გუბდებიან წვიმის წვეთები,
შემდეგ რუებად მიწანწკარებენ...
საღამოობით სახურავზე წვეთების როკვა
ჩამესმის როგორც ძილისპირული.
...და მიყვარს წვიმა...

სიჩუმე

ხმის გაღებამდე
ჩამესმის შენი
სიჩუმის ექო —

აღარ მჭირდება
მოსმენა ხმების.

მკაფიოდ მესმის
ყოველი ბგერა
ამ მდუმარების.

უმჯობესია

მიჯობს, რომ ღამის
სიმყუდროვეში
ჩამოვჯდე ჩემთვის,
ჩუმად ვიგლოვო,
ვიდრე უსიტყვოდ გამოგიტირო,
ვიყო მეგობრის მკერდთან დახრილი.

უმჯობესია, ამ დღეს მშვენიერს,
სავსეს სხივებით, ხმათა ჟღერებით,
ყური არ ვუგდო
ნაცნობ ჰანგებს და
აღარ ჩამესმას
უცხო ძახილი.

დაბერების ჟამს

ეს იყო ისე დიდი ხნის წინათ,
როს დამავიწყდა სიზმარი თითქმის:
თუმც იგი აქვე ყოფილა, თურმე,
ზუსტად ჩემს ცხვირწინ,
ცის კაბადონზე მზეებრ მბრწყინავი,
ჩემი სიზმარი.
და, თურმე, იქვე, კედელზე ვარდი
იზრდება ნელა,
თითქოს ზოზინით
ჩამდგარა ჩემსა და სიზმარს შორის,
აღარც ცამდეა გზა ისე შორი.
სქელი კედელი,
და მრუმე ჩრდილი.
და მე ვარ შავი,
ვწევარ ჩრდილში,
წინ აღარ მისწრებს ნათელი სიზმრის...
მხოლოდ კედელი,
და მხოლოდ ჩრდილი.
ჩემი ხელები,
მრუმე ხელები
არღვევენ კედელს,
რომ აქა ჰპოვონ ჩემი სიზმარი
და დავამსხვრიო წყვდიადი ესე,
ნაცრად ვაქციო იქნებ მიმწუხრიც
და ეს ჩრდილებიც, მუქი ჩრდილებიც
მზის გამოტყორცნილ მირიად სხივში
გადაეწმასნოს უთვალავ სიზმარს.
...ამ მზის სიზმრებში.

ღმერთი

სულ მარტოსული
და უმეგობრო
ღმერთი ვარ
წმიდა სასუფეველში.
ფეხით გამთელეთ, ტურფა წყვილებო,
ქვეშ გაგეგებით მწვანე ბალახად.
თუმც რას გამიგებთ
და ვერც გამთელავთ,
ვერც მანდ მიხილავთ.
მე ხომ ღმერთი ვარ,
ღრუბლებს გადაღმა.
გაზაფხულია
და ეს სიცოცხლეც
ისევ კამკამებს ვით სიყვარული.
და ალბათ ის სჯობს, იყო მოკვდავი,
ვიდრე — ღმერთკაცი და მარტოსული.

გველი

მწვანე მინდორზე
გვერდს ამიქცევს,
გზა-ბილიკს მითმობს,
მიცურავს ისე,
რომ სინდისის ხმა
მოსაკლავად
არ მიშვებს მისკენ.

თარგმნა დათა ხარაიშვილმა

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004